




Georgian National Academy of Sciences  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
Arn. Chikobava Institute of Linguistics  
Institute of Caucasiology at Faculty of Humanities

## **IV International Symposium of Linguist-Caucasiologists**

Issues of Structure of Stem and Root  
in Ibero-Caucasian Languages

### **M a t e r i a l s**



Национальная Академия наук Грузии  
Тбилисский государственный университет  
имени Ив. Джавахишвили  
Институт языкознания имени Арн. Чикобава  
Институт кавказоведения факультета  
гуманитарных наук

## **IV Международный симпозиум лингвистов-кавказоведов**

Вопросы Структура основы и корня  
иберийско-кавказских языков

### **М а т е р и а л ы**

Tbilisi 2015 Тбилиси

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის  
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

## **ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმი**

იბერიულ-კავკასიურ ენათა ფუძისა და  
ძირის სტრუქტურის საკითხები

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი

2015

**სარედაქციო კოლეგია:** რ. აბაშია, ლ. აზმაიფარაშვილი (სწავლული მდივანი), ა. არაბული, ნ. არდოტელი, თ. ბურჭულაძე, ც. ბარამიძე, გ. გოგოლაშვილი, თ. ვაშაკიძე, მ. თეთრაძე, დ. კაკაშვილი, გ. კვარაცხელია, რ. ლოლუა, ნ. მაჭავარიანი, ე. საბანაძე, მ. სუხიშვილი, თ. უთურგაიძე, რ. ფარეულიძე, მ. ღლონტი, ვ. შენგელია (მთავარი რედაქტორი), ი. ჩანტლაძე, მ. ჩუხუა, რ. ჯაიანი.

**Editorial Board:** R. Abashia, A. Arabuli, N. Ardoteli, L. Azmaiparashvili (Scientific Secretary), Ts. Baramidze, T. Burchuladze, I. Chantladze, M. Chukhua, M. Glonti, G. Gogolashvili, R. Jaiani, D. Kakashvili, G. Kvaratskhelia, R. Lolua, N. Machavariani, R. Pareulidze, E. Sabanadze, V. Shengelia (Editor-in-chief), M. Sukhishvili, M. Tetradze, T. Uturgaidze, T. Vashakidze.

**Редакционная коллегия:** Р. Абашиа, Л. Азмайпарашвили (ученый секретарь), А. Арабули, Н. Ардотели, Ц. Барамидзе, Т. Бурчуладзе, Т. Вашакидзе, М. Глонти, Г. Гоголашвили, Р. Джаиани, Д. Какашвили, Г. Кварацхелиа, Р. Лолуа, Н. Мачавариани, Р. Пареулидзе, Э. Сабанадзе, М. Сухишвили, М. Тетрадзе, Т. Утургаидзе, И. Чантладзе, М. Чухуа, В. Шенгелиа (главный редактор).

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

რ. ა ბ ა შ ი ა (თბილისი)

## **საერთოქართველური ფუძე-ენის არქეტიპთა სტრუქტურის საკითხები**

ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ქართველურ ენათა ფონემატური სისტემის ამოსავალი ვითარების აღდგენა და საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე არქეტიპთა (ძირ-ფუძეთა) რეკონსტრუქცია, მიუხედავად ამ მხრივ დღემდე შესრულებული არაერთი მეცნიერულად ღირებული ნაშრომისა, კვლავაც ქართველოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანია.

ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკისა და ლექსიკის სრულფასოვანი ანალიზისათვის აუცილებელია არგუმენტირებული, კომპარატივისტიკაში აპრობირებულ კანონზომიერ ფონოტაქტიკურ წესებზე დამყარებული როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ დონეზე არსებული სათანადო მასალებით გამყარებული კვლევის წარმართვა. ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს ქართველოლოგიაში არსებული პრობლემატური საკითხების სრულფასოვანი კვლევა, რაც, განსხვავებული სამეცნიერო თვალსაზრისების მიუხედავად, გულისხმობს დამაჯერებელი დასკვნების მიღებას.

ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკისა და ლექსიკის პრობლემატურ თემათა შორის, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ სამეცნიერო ინტერესს აღძრავს და, შესაბამისად, მკვლევართა სათანადო ყურადღებას კვლავაც საჭიროებს შემდეგი საკითხების კვლევა:

1. საერთოქართველური ფუძე-ენის ფონემატური სისტემის სარეკონსტრუქციოდ სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა რაოდენობის დადგენა (რამდენი სიბილანტური ფონემა გვქონდა ფუძეენაში: 10, 15 თუ სხვა რაოდენობისა?);

2. რა ფონოტაქტიკურ წესებს ემორჩილებოდა არქეტიპებში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები და რა მასშტაბით?

3. ისტორიულად რა მიმართულებით გადაიწია სართიკულაციო ბაზისმა – წინა რიგიდან უკანა რიგისაკენ, პირიქით თუ ორივე მიმართულებით?

4. რა როლს ასრულებდა და ასრულებს დიალექტური ლექსიკა ფუძე-ენის ლექსიკური ფონდის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით და სხვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე ძირ-ფუძეთა სტრუქტურის მართებული რეკონსტრუქცია, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ამ არქეტიპებში ფონემათა შეთავსებადობის საკითხის გარკვევას. კერძოდ, ჩვენი აზრით, ცალკეულ ძირში თუ ძირისეულ მორფემაში დაუშვებელი იყო სხვადასხვა რიგის სიბილანტური ფონემა – სპირანტი ან აფრიკატი, მაგრამ ბუნებრივი იყო ერთი რიგის სიბილანტურ ფონემათა ცალკეულ ძირში თანა-არსებობა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით გადაისინჯა ქართველოლოგიაში საერთოქართველური ფუძეენის დონეზე აქამდე რეკონსტრუირებული ის არქეტიპები (ძირეული მორფემები), რომლებშიც სხვადასხვა რიგის სიბილანტური ფონემებია დაშვებული. საინტერესოა, რომ სიბილანტების შეთავსებადობის ეს პრინციპი გატარებულია არა მხოლოდ საერთოქართველური ფუძეენის ძირეულ მორფემებში, არამედ ცალკეული ქართველური ენის დონეზე აღდგენილ არქეტიპებშიც. ეს წესი, როგორც ჩანს, არც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათათვის არის უცხო.

მოხსენებაში მსჯელობა იქნება ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით ქართველურ ენათა ლექსიკაში გამოვლენილ ახალ მასალაზეც, რომლის გათვალისწინებით აუცილებელია საეთოქართველური ფუძეენის დონეზე რეკონსტრუირებული ზოგიერთი პრაფორმის რეინტერპრეტაცია.

ლ. ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

## **დეტერმინანტი სუფიქსების საკითხისათვის ხუნძურ ენაში<sup>1</sup>**

ხუნძურ ენაში მრავალი არსებითი სახელი ამჟამად მარტივფუძიანი და დაუშლელი ჩანს, თუმცა კვლევა-ძიება არკვევს, რომ ისტორიულად ეს მარტივი ფუძე სხვადასხვა მორფემული ელემენტებისაგან შედგებოდა. ერთ-ერთი ასეთი მორფემა, რომელიც დღეს სიტყვის განუ-

---

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № 31/45).

ყოფელ ნაწილად აღიქმება (გაქვავებულია), იყო დეტერმინანტი სუფიქსი (resp. ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი). მკვლევართა მიერ ხუნძურში (და მის ახლო მონათესავე ანდიურ ენებშიც) გამოვლენილია აწ უკვე ფუძეს შეზრდილი შემდეგი დეტერმინანტები **რ, ნ, მ, ლ, ზ, დ** (ი. ცერცვაძე, ტ. გუდავა, ყ. მიქაილოვი...). დეტერმინანტი სუფიქსი ძირეულ თანხმოვანს დაერთვოდა ხმოვანი ელემენტის მეშვეობით, მაგ., **-Vრ** (ლ'-**არ** „რქა“, ც-**ერ** „მელა“, მილ'-**ირ** „ბუმბული, ნაკრტენი“, ტ-**ორ** „თავთავი“, ხ-**ურ** „ყანა, მინდორი“...), **-Vნ** (ქ-**ან** „კვარი“, ც-**ინ** „ნაღველი“...), **-Vზ** (ზ-**იზ** „ცა“, ხ-**იზ** „სამარე“...), **-Vდ** (რალ'-**ად** „ზღვა“, ყ-**ედ** „კედელი“...) და სხვა.

ამავე დროს, ხუნძური ენის ლექსიკურ ერთეულებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში დეტერმინანტმა სუფიქსებმა ზოგ შემთხვევაში დერივატის ფუნქციაც შეიძინეს, ანუ ფუძის მაწარმოებელი აფიქსებიდან ისინი გადაიქცნენ სიტყვაწარმოებით აფიქსებად, რომელთა მეშვეობითაც ამა თუ იმ ლექსემისაგან წარმოქმნილია ახალი, განსხვავებული სემანტიკის მქონე სიტყვა; მაგალითად:

მუჭ-**ურ** „ნამწვი, ფერფლი“ < ბუჭ-ი-ზე „წვა“ (ყ.მიქაილოვი); კანწ-**ურ** „ბურთი“ (ბავშვთა ლექსიკაში) < კანწ-ი-ზე „ხტუნვა“; ჯუმ-**ურ** / ჯომ-**ორ** „მგელი“ < ჯამ-ი-ზე „მოტაცება“ (პ. უსლარი); მუჩ-**არ**-ი „ფეტვის პური“, შდრ. მუჩ „ფეტვი“ (ლ. ჟირკოვი); ტად-**ურ** „ქუდი“ < ტად ღ-ე-ზე „დადგმა, დახურვა“; წაეკ-**ურ** „მჟაუნა“ (ყელებურ ნარევ კილოში) < წაეკ-აბ „მჟავე“...

რახ-**ან** „მუძუმტე“ < რახ „რძე“; რატ-**ან** „კედლის ან ღობის საძირკველი“ < რატ „მიწა“; ეხეთ-**ან** „თამადა“ (ყელებურ ნარევ კილოში) < ეხედე „მალა“; რაჰ-**ინ** „ხვრელი“ (ანწუხურ დიალექტში) < რაჰ-ზი „გაღება“; ემ-**ენ** „მამა“ < \*იმ-ენ, შდრ. იმ-ჰალ „ბიძა“; ხ-**ონ** „თესლი“ < ხ-ზე „თესვა“ (ტ.გუდავა); რუკ-**უნ** „ბუდე“, შდრ. რუკ-**ელ** „საცხოვრისი, ბუნაგი“ < ბ-უკ-ი-ნე „ყოფნა“; რატ-**ინ**-ა (I კლ.), მატ-**ინ**-ა (II კლ.) „საყვარელი, კურო“ < ბ-ოტ-ი-ზე „ყვარება“...

ჯამ-**ალ** „მარცვა-გლეჯა, დატაცება“, ჯამ-**ალ**-ო „ბუა“ (ბავშვების შესაშინებლად გამოგონილი არსება) < ჯამ-ი-ზე „მოტაცება“; მეხ-**ელ** „დღე-ღამე“; შდრ. მეხ „დრო“; რუკ-**ელ** „საცხოვრისი, ბუნაგი“ < ბ-უკ-ი-ნე „ყოფნა“; შინკ-**ილ** „ქაჩაჩი“, შდრ. შინიკ (ყარახულ დიალექტში), ჩინკ (ანწუხურ დიალექტში) „id.“...

უბატო-ად „სიმაღრი“, აბატო-ად „სიდედრი“ < ბ-ატო-ი-ნე „ყვარება“, „ნდომა“ (პ. უსლარი), შდრ. ქართ. მო-ყვარ-ე; შებ-ედ-ო „ხარი განზე წასული რქებით“ < შებ-აბ „ფართო“...

ერთსა და იმავე ფუძეზე განსხვავებული სუფიქსების დართვით არის მიღებული ფურჭ-ინ-ა „ქერი“ და ფურჭ-უნ „ქერის მარცვალი“ (ნიშნავს „კურკასაც“), აგრეთვე „ჯიბლიბო“ (შდრ. რუს. ячмень „ჯიბლიბო“). მსგავსადვე: ბ-ი-ხ-ინ „მამრი, ხვადი“, შდრ. ბ-ე-ხ-ერ „penis“ (ანწუხურ დიალექტში; შდრ. ლიტ. ხუნძ. მეხერ. ამოსავალია ანწუხურის ფორმა). ორივე სიტყვისათვის საერთო ძირია **ხ**, ხოლო თავკიდური **ბ** წარმოადგენს კლასის ნიშანს (აგებულების მხრივ შდრ. ბ-ე-ტ-ერ „თავი“). სუფიქსი -ერ ამჟამად გაქვავებული სახით წარმოდგენილია სხეულის ნაწილთა არაერთ სახელწოდებაში: ბეტ-ერ „თავი“, ქუ-ერ „ხელი“, ბ-ერ „თვალი“, შეყ-ერ „ყელი“, ტენსა-ერ „წარბი“, ჰუმ-ერ „სახე“, ჰუყ-ერ „ფილტვი“, მეშ-ერ „ცხვირი“.

ამრიგად, ხუნძური ენის ისტორიის გარკვეულ პერიოდში ზოგიერთი დეტერმინანტი სუფიქსი, როგორც ჩანს, სიტყვაწარმოებით აფიქსებად (დერივატებად) ჩამოყალიბების ტენდენციას ავლენდა, თუმცა ამ პროცესმა შემდგომში ფართო განვითარება ვერ ჰპოვა. გამოწვევის წარმოადგენენ სუფიქსები -ელ, -ენ, რომლებიც ამჟამად გვევლინებიან საკმაოდ პროდუქტიულ დერივატებად ზმნურ ფუძეთაგან არსებით სახელთა წარმოების დროს, მაგ., ურლ-ელ „ფიქრი, დარდი“ < ურლ-ი-ზე „ფიქრი“; ხუ-ელ „სიკვდილი“ < ხუ-ე-ზე „მოკვდომა“; ყოტ-ელ „ნაჭერი“ < ყოტ-ი-ზე „ჭრა“; ჰეყ-ელ „სასმელი“ < ჰეყ-ე-ზე „სმა“; რუკ-ელ „საცხოვრისი, ბუნაგი“ < ბ-უკ-ი-ნე „ყოფნა“; ბიც-ენ „თქმულება, გადმოცემა“ < ბიც-ი-ნე „თქმა“; ქუ-ენ „საჭმელი“ < ქუ-ი-ნე „ჭამა“ და სხვა. ასევე მრავლად გვხვდება -ელ და -ენ დაბოლოებიანი ისეთი სიტყვებიც, რომელთა ამოსავალი ფუძის სემანტიკა დღეს დაჩრდილულია და მხოლოდ სპეციალური ეტიმოლოგიური კვლევა-ძიებით თუ მოხერხდება მათი წარმომავლობის დადგენა.



ა. ა რ ა ბ უ ლ ი (თბილისი)

## შესატყვისობათა დიაქრონიული პლასტებისათვის ქართველურ ენათა ძირეულ მასალაში

ქართველური ენების საერთო წარმომავლობის ძირთა ერთი ნაწილი აშკარად გვიჩვენებს არაერთგვაროვან რეფლექსებს ხმოვანთა შესატყვისობის ნაწილში, რაც, ბუნებრივია, განსხვავებული ინტერპრეტაციების შესაძლებლობას იძლევა.

მაგალითად, ცნობილია, რომ CVC სტრუქტურის **ვ Vდ** ძირი ქართულ-სვანური მონაცემების მიხედვით გვიჩვენებს **ჟად-//ჟედ-** ალტერნანტებს, რომლებიც ძველი ქართულის დონეზე ჯერ კიდევ წარმოაჩენს აქტივ-პასივის სემანტიკურ ოპოზიციას: გან-**ჟად-**ე//გან-**ჟედ-**.

ჟედ- ძირი, თავის მხრივ, განიცდის შემდგომ აბლაუტურ სახეცვლილებას: **ჟედ-//ჟიდ-//ჯდ-**, რომლის რეფლექსები ფუძეთა უხვ ნაყარს იძლევა სამსავე ქართველურ ენაში:

ქართ. **ჯდ-**ომა, **ჟედ-**ნა, -**ჟედ-**ი, **ჟიდ-**ი...

სვან. **ჟედ-** (ლი-ჟედ „მოსვლა“), **ჯდ-** (ან-ჯდ-ენ-ი „მოვა“), **ჟიდ** „ძღვენი“...

ზან. **ხთ-//რთ-** (ლაზ. მო-ხთ-უ „მოვიდა“ // მეგრ. გე-რთ-უ „ამოვიდა“)...

უფრო პირვანდელი შესატყვისობის მაჩვენებელი ჩანს **ა-ხმოვნია-**ნი ძირის რეფლექსები:

ქართ. **ჟად-** : სვან. **ჟად-** : ზან. **ხოდ-**.

მსგავსი დიაქრონიული პლასტების მაჩვენებელი უნდა იყოს **ჰარ-//ჰერ-** ალტერნანტებთან დაკავშირებული ქართველურ ძირ-ფუძეთა რეფლექსები:

ერთი მხრივ: ქართ. **ჰარ-** (ნა-ჰარ-ი) : ზან. **ჰკორ-** (ლაზ. ო-ჰკორ-ე „თიბვა“);

მეორე მხრივ: ქართ. **ჰერ-//ჰრ-** : ზან. **ჰკირ-** (მეგრ. ჰკირ-უა „ჰრა“).

შედარებით რთული აღმოჩნდა ამ ძირის სვანური რეფლექსის მოძიება; ამ წარმომავლობისად ნავარაუდევია **ლარე** „თიბვა“, თუ ის სწორია, ძირის უხმოვნო ვარიანტს გულისხმობს, შემდგომი ფონეტიკური პროცესებით.

ამგვარი არაერთგვაროვანი რეკონსტრუქციის შესაძლებლობა, ვფიქრობთ, მიუთითებს ძირ-ფუძეთა ისტორიული ფორმირების ერთ-გვარ დიაქრონიულ თანხვედრას ბგერათშესატყვისობათა ჩამოყალიბების გარკვეულ პერიოდთან.

მ. ბ უ კ ი ა (თბილისი)

### **სახელთა წარმოქმნისათვის ზანურში**

ქართველური ენები გრამატიკის ყველა დონეზე ძლიერ სიახლოვეს ამჟღავნებენ. ეს სიახლოვე ჩანს სიტყვათწარმოებაშიც: მეგრულ-ლაზური, ქართლის მსგავსად ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად მიმართავს სუფიქსურ და პრეფიქს-სუფიქსურ წარმოებას, მეტიც, ამა თუ იმ ჯგუფის მაწარმოებელი აფიქსები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა.

მოხსენებაში განიხილება წარმოქმნილ სახელთა რამდენიმე ჯგუფი და წარმოქმნისას მიმდინარე პროცესები, რომელიც გავლენას ახდენს სახელთა ფუძის აგებულებაზე.

წარმომავლობის (სადაურობის) სახელები იწარმოება **-არ** და **-ურ** სუფიქსებით: **სიდერ-არ-ი** „სიდერელი“, **ოდიშ-არ-ი** „ოდიშელი“, **დუთხ-ურ-ი** „დუთხელი“, **ზუგიდ-ურ-ი** „ზუგდიდური“.

ქონების სახელები მეგრულში იწარმოება **-ამ**, **-იან**, **-იერ**, **-უან**, **-ოსან**, ლაზურში კი **-ონ**, **-იარ** > **-მარ**, **-ერ** სუფიქსებით: **ჩილ-ამ-ი** „ცოლიანი“, **სამართ-იან-ი** „სამართლიანი“, **ქონებ-იერ-ი** „მდიდარი“, ზედმ. „მქონებელი“, **სახელ-უან-ი** „სახელოვანი“, **ჟირ-ოსან-ი** „ოროსანი“ (მეგრ.), **ჩილამრ-ონ-ი** „ცრემლიანი“, **დერდი-მამ-ი** „დარდიანი“, **მეანგ-ერ-ი** „უანგანი“ (ლაზ.).

უქონლობას მეგრულში გამოხატავს **უ-ე / უ-ო**, **უ-ურ**, **უ-ოლ** თავსართ-ბოლოსართი, ლაზურში კი **უ-ელ**, **უ-ე**, **უ-უ**, **უ-იარ** თავსართ-ბოლოსართი: **უ-კუჩხ-ე** „უფეხო“, **უ-მინჯ-ურ-ი** „უპატრონო“, **უ-ჯიმ-ოლ-ი**

„უმარილო“ (მეგრ.), **უ-ფარ-ელ-ი** „უფულო“, **უ-მით-ელ-ი** „უპატრონო“ (ზედმ. „უარავისო“), **უ-გუბ-უ** „უმი, მოუხარმავი“, **უ-ონჯღორ-იარ** „უსირცხვილო“ (ლაზ.)

დანიშნულების სახელებს აწარმოებს **ო-ელ / ო-ალ, ო-უ, ო-ონ** პრეფიქს-სუფიქსი: **ონწე** (მეგრ.), **ონწელი** (ლაზ.) „აკვანი“, ზედმ. „და-სარწევი“, **ოქოსალე / ოქოსონი** (ლაზ.), **ოქოსალი** (მეგრ.) „ცოცხი“, ზედმ. „გამოსაგველი“, **ონცორუ** „საცერი“, **ონწკიალონი** „ეჟვანი, საწკარუნო“.

გეოგრაფიული სახელები იწარმოება **-ეთ, -ათ** სუფიქსით, **ნა-ო, ნო-ენ** კონფიქსი: **თოლიქ-ეთ-ი, სერგი-ეთ-ი, ნა-გვაზა-ო, ნო-ჯიხ-ენ-ი.**

**აბსტრაქტული** სახელების მაწარმოებელი **-ობა** სუფიქსი მეგრულ-ლაზურს საერთო აქვს ქართულთან: **ბერ-ობა** (ლაზ.), **ბადან-ობა** (მეგრ.), **ბავშვ-ობა** (ქართ.) „ბავშვობა“, **დამთე-ობა** (ლაზ.), **დიანთილ-ობა** (მეგრ.), **დედამთილ-ობა** (ქართ.) „დედამთილობა“, **კოჩინ-ობა** (ლაზ.), **კოჩ-ობა** (მეგრ.), **კაც-ობა** (ქართ.) „კაცობა“. საინტერესოა, რომ **-ობა**-თი ნაწარმოები რამდენიმე მეგრული აბსტრაქტული სახელი ანთროპონიმად იქცა: **კოჩობა** – მამაკაცის საკუთარი სახელი, **ცირობა** – ქალის საკუთარი სახელი.

ზანური სახელის წარმოქმნაში შეინიშნება მეზობელი ენების გავლენაც (ლაზურზე გავლენას ახდენს თურქული, ხოლო მეგრულზე ნაკლები ინტენსივობით აფხაზური ენა), სიტყვათწარმოებაში ჩანს აფხაზური და თურქული მორფემები, მაგ., მეგრულ უქონლობის სახელებში გვხვდება აფხაზური **-გა** სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები: **ტვინ-გა** „უტვინო“, **ყუნ-გა** „ყრუ“ (ზედმ. „უყურო“), **ხან-გა** „გიჟი“ (ზედმ. „უთავო“, აფხაზ. **ა-ხ** „თავი“). ლაზურში ჩანს **-ლულ** სუფიქსი: **კაილული** „სიკეთე, სიკეთის გაკეთება“ (**კაი** < „კარგი“), **ისილული** „ისლნარი“ (**ისირი** „ისლი“), **ცხემლული** „რცხილნარი“ (**ცხემური** „რცხილა“).

თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე (თბილისი)

## **დანიშნულება-აბსტრაქტულობის გამოხატვისათვის თანამედროვე ქართულში**

წარმოქმნილი სახელების ერთი ჯგუფი გამოხატავს დანიშნულებას ან განკუთვნილებას. ამ სახელების საწარმოებლად გამოიყენება **სა-**პრეფიქსი და მასთან ერთად **-ე**, **-ო**, **-ურ** (**-ულ**), **-არ** (**-ალ**) სუფიქსები. **სა-ე** და **სა-ო** კონფიქსთა დაპირისპირება არასისტემურია და მისი განზოგადების საფუძველი არ არსებობს. **სა-ო** კონფიქსი დაერთვის თითქმის ყოველგვარ სახელს და აღნიშნავს დანიშნულება-განკუთვნილებას ან თვისებას.

თანამედროვე ქართულში ხშირად გვხვდება **სა-ო** მაწარმოებლიანი დანიშნულების სახელები, რომლებიც **-ობა** სუფიქსის დართვით აბსტრაქტულ სახელებად გარდაიქმნიებიან:

სარწმუნო – სარწმუნოობა

სახიფათო – სახიფათოობა

საიმედო – საიმედოობა

საჯარო – საჯაროობა

საზრდო – საზრდოობა

სანდო – სანდოობა

მსგავსი ვითარება ზოგჯერ გვაქვს უქონლობის გამომხატველ სახელებთანაც, რომელთა მაწარმოებელია **უ-ო** აფიქსები:

უკაცო – უკაცობა

უგუნებო – უგუნებობა

უნუგეშო – უნუგეშობა

უიმედო – უიმედობა

უბედო – უბედობა

უსამშობლო – უსამშობლობა

კანცელარულ სტილსა თუ დოკუმენტების ენაში დღეს ძალზე გახშირდა აღნიშნული სახის მაწარმოებლიანი აბსტრაქტული სახელები. როგორც ჩანს, რაკი დოკუმენტებისა თუ კანონის ენისათვის დამახასიათებელია სათქმელის განზოგადება და რაიმე ქმედების განყენებუ-

ლად წარმოდგენა, ამიტომ ანიჭებენ უპირატესობას ასეთ ფორმებს. ენამ ეს სემანტიკა გამოხატა დანიშნულების სახელებზე **-ობა** სუფიქსის დართვით. ასეთი სტრუქტურის ფუძის სახელებში დანიშნულებასთან ერთად განყენებულობაცაა წარმოჩენილი, ქმედება კი განზოგადებულია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ **სა-თ** და **უ-თ** მაწარმოებლიან სახელებთან აბსტრაქტულობის **-ობა** სუფიქსის დართვისას სახელები ხან ორ **-თ**-ს ინარჩუნებენ (საჯარო – საჯარობა, სანდო – სანდობა, სარწმუნო – სარწმუნობა...), ხან კი – ერთს (უნუგემო – უნუგემობა, უპატივცემულო – უპატივცემულობა, უგუნებო – უგუნებობა...). როცა ენა **სა-თ** კონფიქსიანი დანიშნულების სახელებისაგან აწარმოებს **-ობა** სუფიქსიან აბსტრაქტულ სახელებს, ყველგან ორი **-თ** მოიყრის თავს და, ვფიქრობთ, ფორმაწარმოების დროსაც ეს ორი **-თ** უნდა შენარჩუნდეს კიდევ. ხოლო **უ-თ** მაწარმოებლიან სახელებთან ჩანს ტენდენცია უქონლობის **-თ** სუფიქსის დაკარგვისა – რჩება აბსტრაქტულობის **-ობა** მაწარმოებლის პირველი ხმოვანი **-თ** (აბსტრაქტულობის სემანტიკის ხაზგასასმელად).

შ. გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა (თბილისი)

### **„ღვინო“ და „ვენახ-“ ფუძეთა აგებულებისათვის**

იბერიულ-კავკასიურ, ინდოევროპულ და სემიტურ-ქამიტურ ენებში დადასტურებული ღვინის აღმნიშვნელ ფონეტიკურად მსგავსი სიტყვების შესახებ მეცნიერებაში მრავალი თვალსაზრისია გამოთქმული. წარსულში ღვინოს მკვლევართა ნაწილი მედიტერანულ სიტყვად განიხილავდა, შემდგომ იგი ინდოევროპული წარმომავლობის მიგრაციულ ტერმინადაც იქნა კვალიფიცირებული. ზოგიერთ გამოკვლევაში ქართველურ ენებში ვენახიც ინდოევროპულიდან შემოსულ სიტყვადაა მიჩნეული.

დიდი ხანია, არსებობს ასევე თვალსაზრისი ამ სახელის ქართული ენობრივი სამყაროდან მომდინარეობის შესახებ. მკვლევართა ნაწილი ქართველური და ინდოევროპული ენების მონაცემების საფუძველზე ტერმინ ღვინოსთან ერთად განიხილავს ასევე ვენახსაც.

იმ გარემოების გამო, რომ აღმოსავლეთ ინდოევროპულ ენებში ჩვენთვის საინტერესო ღვინის აღმნიშვნელი ტერმინი არ დასტურდება, მეცნიერებაში არის ეჭვი სხვა სისტემის ენიდან მისი ნასესხობის შესახებ.

რატომ არ ჩანს სომხურში ღვინის მნიშვნელობის ინდოევროპული ფორმები, სადაც ზანური ღ(ვ)ინისგან მიღებული გინი არის? (გ. წერეთელი).

მოხსენებაში აღნიშნული ტერმინების აგებულებისა და სხვა სისტემის ენების ფორმებთან მათი დამოკიდებულების ჩვენების კიდევ ერთი ცდაა.

ქართველოლოგების უმრავლესობა ღვინოსა და ვენახს ერთმანეთთან კავშირში განიხილავს. პროფ. გ. კლიმოვის ვარაუდი, რომელიც ამ ტერმინებს დამოუკიდებლად აანალიზებს, გაუმართლებელი გვეგონია, ისევე როგორც მისი მოსაზრება ღვინის პირველსახედ \*ywino-ს, ხოლო ვენახის არქეტიპის \*wenaq-ის სახით დაშვების შესახებ. მეცნიერის აზრით, q>x გადასვლის შედეგადაა მიღებული ქართული ვენახ-ი. პროფ. ჰ. ფენრიხის ეტიმოლოგიით \*ღუნ- საერთოქართველურ \*ღუნ- ფუძეს უკავშირდება, რომელშიც უ-ს უმლაუტიზების შედეგადაა მიღებული უი.

ვფიქრობთ, მისაღებია თვალსაზრისი, რომელიც განსახილველი სახელების ამოსავლად \*უნ-ს გულისხმობს: \*უნ „ყურძენი, ღვინო“, რომელზეც არქაული კრებითობის მაწარმოებელი -აჰ სუფიქსის (შდრ. კოლხი, ტაოხი, მესხი, კარდუხი და სხვა) დართვითაა მიღებული ვენახ-ი (შდრ. ძვ. ქართული საყურძენი, საყურძნე „ვენახი“), მეგრული ბინეხ-ი „ვაზი; ვენახი“, ლაზური ბინეხ- „ვაზი“. ქართულის მსგავსად ზოგიერთ ენაში ერთი და იგივე ლექსემა ყურძენსაც და ღვინოსაც აღნიშნავს.

მოხსენებაში გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს ტერმინ ღვინის შესახებ ქართველ მეცნიერთა თვალსაზრისები.

ტერმინ ღვინოში თავკიდური ღ- (აკად. ვ. თოფურია), ხოლო ბოლოკიდურ პოზიციასში ო არის განვითარებული (აკად. გ. წერეთელი).

პროფ. თ. უთურგაიძის აზრით, ქართული სახელის ბრუნებათა სისტემაში ერთადერთი გამონაკლისია ღვინო, რომელსაც ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვებში ო ეკვეცება (ღვინ-ის, ღვინ-ით), რაც აიხსნება იმ მიზეზით, რომ ამ სახელის პარადიგმაში გამოყენებულია ორი ფუძე: ღვინო და ღვინ-.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ტერმინ ღვინის ევოლუცია ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ: \*უინ > ღ-უინ და შემდგომ უკვე ძველ ქართულ ტექსტებში დამოწმებული ღვინ-ო. ღვინის მნიშვნელობით ფუძის უძველეს წინასახეს იბერიულ-კავკასიური (ზაცბური ვენ), ინდოევროპული და სემიტური ფორმები წარმოადგენს, ხოლო თავკიდურ პოზიციაში ღ დართულმა ღ(ვ)ინ-მა სომხურში გინი მოგვცა.

ამ კუთხით ის გარემოებაც იქცევს ჩვენს ყურადღებას, რომ ძველი სამიწათმოქმედო ინდოევროპული ნასესხობები სემიტურ ენებში არ ჩანს, მაშინ როდესაც ამ სისტემის ენებსა და დიალექტებში შეინიშნება მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ლექსიკური ქართველიზმები:

აქადური sanaku „წნეხვა“, აქადური, არამეული, არაბული kur „ქვევრი“.

ლიბანის არაბულ დიალექტში ქართულის მნიშვნელობით გმოვლენილია აკიდო (პროფ. გ. ჩიქოვანი).

არაბულ სალიტერატურო ენაში ქართული ყურძნისგან მიღებულად მიგვაჩნია ღურჯუნ „პალმის მტევანი“.

ქართულ \*უინ-ს შეეძლო მოეცა როგორც ინდოევროპული, ასევე სემიტური ფორმები. სემიტური ენებისთვის კ. ფრონცაროლი \*wajn-ს ვარაუდობს. ზემოჩამოთვლილ ენებს შეიძლება დაემატოს ასევე ხათური uindu, რომელიც ღვინოს უნდა ნიშნავდეს.

ე. გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი (თბილისი)

### **ბოლოხმოვნაანი სახელის ფუძისა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ურთიერთობისათვის სვანურში**

დღევანდელი სვანურის დიალექტებში, (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური), ნათესაობითი ბრუნვის ალომორფები სხვადასხვა ხმოვნით არის წარმოდგენილი, თანხმოვანი ერთია -შ, რომელიც ხშირად იკარგება.

ნათესაობითი ბრუნვის ალომორფებში სხვადასხვა ხმოვანთა არსებობას განაპირობებს ამ ბრუნვის ამოსავალი მორფემის -იშ-ის დართვა -ა, -ე, -ო, -ო, -უ ბოლოხმოვნაან სახელებზე და იქ მიმდინარე მორფონოლოგიური პროცესები, რომლებიც განსხვავებულია სვანურის დიალექტებისა და ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის რომელობის მიხედვით.

#### **-ა ბოლოხმოვნაანები**

ბზ.	დრნა	„გოგო“	ნათ.	<b>დრნა-წშ</b>	„გოგოსი“ (<*დრნა+იშ)
ბქ.	დინა		ნათ.	<b>დინ-წშ</b>	(<*დინა+იშ)
ლშხ.	დრნა		ნათ.	<b>დრნ-წშ</b>	(<*დინა+იშ)
ლნტ.	დენა		ნათ.	<b>დენა-მშ</b>	(<*დენა+იშ)

#### **-ე ბოლოხმოვნაანები**

ბზ. ლშხ.	დედე	„დედა“	ნათ.	<b>დედ-ეშ</b>	„დედის“ (<*დედე+იშ)
ბქ.	დედე		ნათ.	<b>დედ-ეშ</b>	(<*დედე+იშ)
ლნტ.	დედე		ნათ.	<b>დედე-მშ</b>	(<*დედე+იშ)

#### **-ო ბოლოხმოვნაანები**

ბზ. ლშხ.	მუშგური	„სტუმარი“	ნათ.	<b>მუშგურ-რშ</b>	„სტუმრის“ (<*მუშგური+იშ)
ბქ.	--		ნათ.	<b>მუშგური-წშ</b>	
ლნტ.	მუშგუარი	–	ნათ.	<b>მუშგუარი-მშ</b>	(<*მუშგუარი+იშ)



ბალსქვემოურში -**ი** და -**უ** ბოლოხმოვნისანი სახელები ნათ. ბრუნვაში -**წ** ალომორფს დაირთავენ, რაც, სავარაუდოდ, გვიანდელი მოვლენაა, მას შემდეგ გაჩენილი, რაც ზოგ სახელთან ნათ. ბრუნვის ერთ-ერთ ნიშნად -**წ** ალომორფი დამკვიდრდა. ეს და მსგავსი გამონაკლისები დამატებით კვლევას მოითხოვს.

**-ო ბოლოხმოვნისანები**

ბზ.	<b>საბჟო</b>	„საბჟო“	ნათ. <b>საბჟჷ-ეშ</b>	„საბჟოსი“ (<*საბჟჷე+იშ <*საბჟო+იშ)
ბქ.	–	–	– <b>საბჟჷ-ეშ</b>	(<*საბჟჷე+იშ <*საბჟო+იშ)
ლშხ.	–	–	– <b>საბჟ+რშ</b>	(<*საბჟო+იშ)
ლნტ.	–	–	– <b>საბჟო-მშ</b>	(<*საბჟო+იშ)

**-უ ბოლოხმოვნისანები**

ბზ.	<b>ტუნუ</b>	„ქოთანი“	ნათ. <b>ტუნჷ-იშ</b>	„ქოთნის“ (<*ტუნჷე+იშ <*ტუნუ+იშ)
ბქ.	<b>ტუნუ</b>	–	– <b>ტუნუ-წ</b>	
ლშხ.	<b>ტუნუ</b>	–	– <b>ტუნ+რშ</b>	(<*ტუნუ+იშ)
ლნტ.	<b>ტუნუ</b>	–	– <b>ტუნუ-მშ</b>	(<*ტუნუ+იშ)

რ. გერსამია (თბილისი)

## ნულოვანი ძირი მეგრულ ზმნაში

მორფემათა რანგობრივი სტრუქტურის მიხედვით მეგრულ ზმნაში ფუნქციური ელემენტების რაოდენობა განისაზღვრება ძირისგან მარცხნივ – პრეფიქსი არის ხუთი, ხოლო მარჯვნივ სუფიქსი თორმეტი, თუმცა მათი ერთდროულად რეალიზება შეზღუდულია და მაქსიმალური რაოდენობა მარჯვნივაც შეიძლება იყოს მხოლოდ ხუთი (ცხადია, თუ მოდალურ ელემენტებს არ ვიგულისხმებთ). ზმნური პრეფიქსების სინტაგმატურ ჯაჭვში რთული ფონოლოგიური პროცესები მიმდინარეობს, რის გამოც ხშირად ამოსავალი მორფემა იმდენად რედუცირებულად ან შეცვლილი ხმოვნითი ელემენტებით წარმოგვიდგება, რომ თავდაპირველი ზმნური ძირის თუ ფუძის სემანტიკა გაბუნდოვანებულია ან სულაც ჩაკარგული, რის გამოც ფორმა ღრმა ლინგვისტურ ანალიზს ითხოვს.

მეგრული ენის *სენაკურ-მარტვილურ დიალექტში* არის რამდენიმე ზმნური ფორმა, რომელთა ძირეული მორფემის გამოყოფა შეუძლებელია ენობრივი ანალიზის სინქრონიულ დონეზე, ან მისი არსებობა საერთოდ სადავო ხდება.

ნულოვანი ძირისათვის ორი აუცილებელი პირობაა საჭირო:

1. ლინეალურად ძირის მოკლე ფონოსტრუქტურა და
2. ფონოლოგიური პოზიცია, რომელიც ცვლილებას აპირობებს; ძირითადად, ეს არის [ვ + უ], სადაც /ვ/ პირველი პირის მორფემაა, ხოლო /უ/ ძირისეული მორფემა ან მისი ნაწილი ანლაუტში. მეგრულში მოქმედი მორფემათა გარდაქმნის ჰომოგენურობის წესების თანახმად ვ > უ ასიმილაციურად მიიღება /უ/-ს წინა პოზიციაში, ხოლო შემდგომი ფონოლოგიური გარდაქმნის საფუძველზე ხდება დისიმილაციური დაკარგვა – ვც > უც > უ;

*მაგალითები:*

(1) **პ-უნ-ქ** „ვყავარ“

S.1-Ø<sub>(ყოლა)</sub>-THM-PRS.S1/S2.SG

შდრ.

**ვ-ც-უნ-ქ** „ვყავარ“

S.1-ყოლა-THM-PRS.S1/S2.SG

ანალოგიური ვითარებაა ობიექტური წყობის დროსაც: **პ-უნ-ს** < **\*მ-ც-უნ-ს** < **მ-ი-ც-უნ-ს** „მყავს“

(2) **პ-ი** [|| < **პ-ი-ი** || **პ-ე-ი**] „ვყავი“

S.1-Ø (ყოლა.AOR) –PM [||S.1- ყოლა.AOR –PM] შდრ.

**\*პ-ცი-ი** < **\*გ-ცი-ი**

S.1- ყოლა.AOR –PM

თუმცა არის შემთხვევები, როცა ანალოგიური გარდაქმნა და-ჩნდება იქ, სადაც თითქოს სრულიად მოულოდნელია ანუ არ არსებობს შესაბამისი ფონოლოგიური გარემო:

**მინი-პ-ე[ნქ]** „შევალ“

PRV-S.1-Ø (სვლა)-THM-FUT.S1/S2.SG,

**მინი-პ-ი** „შევედი“

PRV-S.1-Ø(სვლა)-AOR.SG, სადაც ძირი სწორედ ნულოვანი ალო-მორფიტაა წარმოდგენილი, შდრ. ფუნქციური ელემენტების ჯაჭვი ამოსავალ ფორმებში:

**მინი-ვ-ლ-ენ-ქ** „შევალ“

PRV-S.1-სვლა-THM-FUT.S1/S2.SG,

**მინი-ვ-ლ-ი** „შევედი“

PRV-S.1-სვლა-AOR.SG

**ვ-ლ-** > **პ** ცვლილება ხორციელდება I სერიის მყოფადის, II და IV სერიების ყველა მწკრივის პირველი პირის ფორმებთან როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითში. მოხსენებაში არის ცდა **ვ-ლ-** > **პ** გადასვლის ახსნისა.

ამგვარი ანალიზის შემდგომ მნიშვნელოვანია ტრანსფორმირების შედეგად მიღებული ცალად დარჩენილი /პ/ თანხმოვნის მორფოლოგიური კვალიფიკაციის საკითხი, კერძოდ, მორფემათა თუ რომელ რიგს მიეკუთვნება იგი, ძირეულს თუ პირისას? ასეთ დროს უფრო რელევანტური ჩანს ფუნქციურ ელემენტად კვალიფიკაცია ორი მიზეზის გამო, რადგან

1. უღლების პარადიგმაში სხვა პირში გადაყვანის შემთხვევაში სრულად აღდგება ყველა მორფემა, როგორც ძირის, ასევე პირისა: **პ-უნ-ქ** „ვყავარ“, **Ø-ც-უნ-ქ** „ყავხარ“, **ც-უნ-ს** „ჰყავს“; მინი-**პ-ი** „შევედი“, მინი-**Ø-ლ-ი** „შეხვედი“, მინი-**ლ-უ** „შევიდა“

2. ზოგადად, პირის მარკერის აბსტრაქციის ხარისხი მაღალია ფუძესთან შედარებით.

გ. გოგოლაშვილი (თბილისი)

## **შენიშვნები ზმნის თემისა და თემის ნიშნების შესახებ**

თემა ზმნის ფუძის ნაირსახეობაა; იგი არის საერთო საყრდენი დრო-კილოთა I ან II სერიის ფორმათათვის (ა. შანიძე). თემისა და თემის ნიშანთა საკითხი განიხილება როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში.

დაპირისპირება რთულ (თემისნიშნიან) და მარტივ (უთემისნიშნო) თემათა შორის ძველსა და ახალ ქართულში არ ჩანს ერთგვარი. ძველ ქართულში ეს დაპირისპირება ასპექტური ხასიათისა უნდა იყოს; ახალ ქართულში დაპირისპირების მორფოლოგიური საფუძველი გაურკვეველია.

ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლამ გამოიწვია თემის ნიშანთა სისტემაში ცვლილებათა მთელი რიგი: თემისნიშნიანი ხდება უთემისნიშნო; უთემისნიშნო – თემისნიშნიანი; ხდება თემის ნიშანთა ურთიერთშენაცვლება (ებ>ავ, ავ/ამ>ებ, O>ავ, ებ>O, ებ>ობ...).

ძველ ქართულში რა იყო საფუძველი ცალკეულ თემის ნიშანთა განაწილებისა, ძნელი სათქმელია; ცვლილებათა ტენდენციის თვალის გადევნება და მიღებული შედეგები გვაფიქრებინებს, რომ ახალ ქართულში თემის ნიშანთა გადანაწილებას საფუძველად გვარის კატეგორია ედება; მოქმედებითი გვარის ზმნებში ადგილს იმკვიდრებს **-ავ/-ამ**, ვნებითებში – **-ებ**, ხოლო საშუალში – **-ობ**. ეს ტენდენცია სათავეს ძველ ქართულში იღებს. პროცესი არაა დასრულებული – გრძელდება დიალექტებში. ეს პროცესი საინტერესოა გვარის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც.

თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე (თბილისი)

**სახელის ფუძის კუმშვად-უკუმშველი ვარიანტების  
დისტრიბუციისათვის თანამედროვე ქართულში**

თანამედროვე ქართულში გამოიყოფა ერთი წყება სახელებისა, რომელთა ფუძეები უკუმშველადაა წარმოდგენილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, ხოლო ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით მართებულ ფორმებად მიჩნეულია კუმშვადი ვარიანტები:

I.

სახელი	ორთ. ლექს.	ქგლი
ხელოვანი	(ხელოვნისა)	(ხელოვანისა)
მშრომელი	(მშრომლისა)	(მშრომელისა)
მონათმფლობელი	(მონათმფლობლისა)	(მონათმფლობელისა)
მხცოვანი	(მხცოვნისა)	(მხცოვანისა)
ახოვანი	(ახოვნისა)	(ახოვანისა)
უკვეცილი	(უკვეცლისა)	(უკვეცილისა)

სახელთა ერთ ნაწილს ორთოგრაფიულ ლექსიკონში მიწერილი არა აქვს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, ხოლო განმარტებით ლექსიკონში კვლავ უკუმშველი ვარიანტებია გათვალისწინებული:

II.

სახელი	ორთ. ლექს.	ქგლი
მსმენელი	–	(მსმენელისა)
წვევამდელი	–	(წვევამდელისა)
მქსოველი	–	(მქსოველისა)
ასაკოვანი	–	(ასაკოვანისა)
სრულწლოვანი	–	(სრულწლოვანისა)
სრულფასოვანი	–	(სრულფასოვანისა)

ზემოთ წარმოდგენილი ტიპის სახელთა სია (ივარაუდება პირველი ცხრილი) საკმაოდ ვრცელია. თანამედროვე ქართულში შეინიშნება საინტერესო ტენდენცია მათი განაწილებისა მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმათა მიხედვით: მხოლოობითში გამოიყენება როგორც კუმშვადი, ისე უკუმშველი ვარიანტები, ხოლო მრავლობითში – მხოლოდ უკუმშველი. ვფიქრობთ, თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში აღნიშნული ტიპის სახელები შემდეგნაირად უნდა იყოს წარმოდგენილი:

მცოვანი (მცოვნის<sup>ა</sup> // მცოვანის<sup>ა</sup>, მრ. მცოვანები),  
უკვეცილი (უკვეცლის<sup>ა</sup> // უკვეცილის<sup>ა</sup>, მრ. უკვეცილები),  
მშრომელი (მშრომლის<sup>ა</sup> // მშრომელის<sup>ა</sup>, მრ. მშრომელები)...

გამონაკლისია „ხელოვანი“. ეს უკანასკნელი შეკუმშული ფორმით მხოლოობით რიცხვში, როგორც წესი, აღარ გამოიყენება (ხელოვანის, მრ. ხელოვანები).

მეორე ცხრილში წარმოდგენილი სახელები (მათი სიაც საკმაოდ ვრცელია) ძირითადად მხოლოდ უკუმშველი ფორმებით იხმარება ორსავე რიცხვში, რაც, ვფიქრობთ, ასევე გასათვალისწინებელი იქნება ახალი ორთოგრაფიული ლექსიკონის მომზადებისას:

მსმენელი (მსმენელის<sup>ა</sup>, მრ. მსმენელები),  
წვევამდელი (წვევამდელის<sup>ა</sup>, მრ. წვევამდელები),  
სრულწლოვანი (სრულწლოვანის<sup>ა</sup>, მრ. სრულწლოვანები)...

საინტერესო ჩანს თვისების გამომხატველი ზოგი სახელის კუმშვად-უკუმშველ ფუძეთა განაწილებაც ზმნისართებად მოქცევისას (სქელი – სქლად, თხელი – თხლად, ვრცელი – ვრცლად, ბრტყელი – ბრტყლად, მთელი – მთლად...).

სახელის ფუძის კუმშვად-უკუმშველი ვარიანტების დისტრიბუციასთან დაკავშირებით შეინიშნება სხვა ტიპის შემთხვევებიც.

რ. ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

## **ქართული ზმნის ფუძე, ძირი და აფიქსთა კომბინაციები**

ქართული ენის აგლუტინაციური ბუნება კარგად ჩანს ზმნის აგებულებაში. მართალია, **ძირი** საერთოა ზმნის ყველა მწკრივის ფორმისთვის, მაგრამ ის ყოველთვის არაა დაუშლელი ნაწილი, როცა თვითონ არის ნაწარმოები ან რთული სიტყვა. არსებობს **უმარცვლო** ძირი (ერთ-, ორ- და სამთანხმოვნანი: C, CC, CCC), ასევე **ერთმარცვლიანი** (CVC, CCVC, CCCVC) ან **მრავალმარცვლიანი**. აღსანიშნავია, რომ უხმოვნო ძირი არასოდეს გამოიყენება უაფიქსოდ. ის ზმნურ ფორმად იქცევა მაშინ, როცა ახლავს რომელიმე ხმოვანპრეფიქსი პირის ან თემის ნიშანთან ერთად (აგებ/დააგე, უქებ/შეუქე, ათბობ/გაათბე, ატკბობ/დაატკბე).

ქართული ზმნის წარმოებაში განსაკუთრებით პროდუქტიულია ნასახელარი ზმნები, რომლებიც შეიძლება იყოს მოქმედებითი, ვნებითი ან საშუალი გვარისა. ზოგჯერ სინქრონიულ ჭრილში დაუშლელი სიტყვა დიაქრონიულად ზმნური წარმომავლობისაა. მაგ., ზედსართავ და არსებით სახელთა ერთი ნაწილი ნაზმნარია, თუმცა დღეს ზმნასთან კავშირი აღარ ჩანს. ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ინტენსიურია უცხოური ენებიდან ნასესხები სიტყვების გამოყენება ზმნის ფუძედ (მაგ., აანონსებს, არეგულირებს/რეგულირდება, ფორმირდება, დეგრადირებს და სხვ.).

ზმნურ აფიქსთა პოზიცია ფიქსირებულია და ადგილის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ზმნის **ძირის წინ** და ზმნის **ძირის შემდეგ** გამოყენებული აფიქსები (ანუ პრეფიქსები და სუფიქსები). ყველაზე მარტივი აგებულების ზმნა შეიცავს მხოლოდ ერთ მორფემას – ძირს (CVC), რომელიც მეორე პირის ფორმაა (წერ, ჭამ), მას არ სჭირდება სუბიექტური პირის ნიშანი, ხოლო პირდაპირობიექტური პირი უნიშნოა.

ზმნურ აფიქსთა პოზიციურ რაოდენობაში გამოყოფენ 24 შემადგენელ ნაწილს მეშველი ზმნების (ვარ, ხარ, ვართ, ხართ; იყავი, იყო), მიმღეობის მაწარმოებლებისა (-ულ, -ილ, მ-არ) და ჩართული ელემენტების დამატებით (მაგალითად, ძირთან ერთად ზმნის 25 შემადგენელი ნაწილი აქვს გამოყოფილი პროფ. ჰ. ფენრიხს თავის სქემაში). ვფიქრობთ, ქართულ ზმნაში უნდა გამოიყოს მხოლოდ პოზიციები, რადგან ზოგიერთი მორფემა ურთიერთჩანაცვლებადია. ერთ ზმნურ ფორმაში

ერთდროულად გამოყენებულ აფიქსთა მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს 10-11.

**ძირის წინ** დგას: მარტივი ან რთული ზმნისწინი ახალი ან ძველი ფორმით (ა/ალ, გა/გან, და, შე, წა/წარ ჩა/შთა, გადა/გარდა, მი, მო, ამო/აღმო, გამო, შემო, წამო/წარმო, გადმო), ვინ-ის ან მან-ის რიგის პირის ნიშანი (ვ; მ, გვ, გ, ჰ, ს) და ხმოვანპრეფიქსი (ა, ე, ი, უ).

**ძირის შემდეგ** დგას: ვნებითის ნიშანი **დ**, თემის ნიშანი პირველი სერიის მწკრივებთან (ებ, ობ, ავ, ამ, ი, ემ, ოფ), კაუზატივის ნიშანი (ინ, ევ, ევინ), სავრცობი (დ/ოდ), მწკრივის ნიშანი (ი, ე, ო, ა), მესამე პირისა და რიცხვის სუფიქსი (ს, ა, ო; ნ, ან, ენ, ნენ, ეს, თ).

ქართული ზმნის აგებულების ძირითადი სქემა ასეთია: **Pr** – ზმნისწინი (1, 2) + **Pp** – სუბიექტური ან ობიექტური პირის პრეფიქსი + **Vp** – ხმოვანპრეფიქსი + **R** – **ძირი** + **Pm** – ვნებითის ნიშანი + **Ths** – თემის ნიშანი + **Cm** – კაუზატივის ნიშანი + **Im** – სავრცობი + **Mm** – მწკრივის ნიშანი + **Ps** – პირის ნიშანი/დამხმარე ზმნა + **Pls** – რიცხვის ნიშანი.

როგორც ცნობილია, ქართულში ზმნურ თავსართთა და ბოლოსართთა უმრავლესობას თავ-თავისი ფუნქცია აქვს, მაგრამ არსებობს გამონაკლისები: ფუნქციადაკარგული ანუ ე.წ. ცარიელი აფიქსები, რომლებიც დღეს მხოლოდ მწკრივის რომელიმე ფორმაში გამოიყენება, ასევე – ერთი და იმავე მორფოლოგიური დანიშნულების რამდენიმე აფიქსი ან ორი მორფოლოგიური მნიშვნელობის მქონე ერთი აფიქსი.

მ. თ ე თ რ ა ძ ე (თბილისი)

## **მეორეული თანხმოვანთკომპლექსების მორფონოლოგიისათვის ლეზგიური ენის ზმნურ ფუძეებში**

ლეზგიურში თანხმოვანთკომპლექსები, ძირითადად, დასტურდება სიტყვის შიგნით ან ბოლოკიდურ პოზიციაში. თავკიდურ პოზიციაში თანხმოვანთა კომპლექსის გაჩენა ახალ მოვლენად მიიჩნევა (კოდასოვი 1990, ჰასპელმათი 1993).



მეორეული თანხმოვანთკომპლექსები ანლაუტში ჩნდება ერთი მხრივ, ფუძისეული ხმოვნის დაკარგვით უმახვილო მარცვალში ძირითადად სახელებში და, მეორე მხრივ, ზმნურ ფორმებში პრეფიქსის ხმოვნური ნაწილის რედუქციით. ორივე შემთხვევაში მახვილი მოდის მეორე მარცვალზე, ამასთან პირველ მარცვალში არის მაღალი აწეულობის ხმოვანი i, u, y (უსლარი 1896, კოძასოვი 1990, ჰასპელმათი 1993). მაღალი აწეულობის ხმოვნების სინკოპე არასონორი თანხმოვნის გარემოცვაში უმახვილო მარცვალში ცნობილია სხვა ენების მონაცემებითაც. ლეზგიურის სახელურ ფორმათა აკუსტიკური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხშირ შემთხვევაში ხმოვნის რედუქციის შემდეგ მისი გავლენით იცვლება წინამავალი თანხმოვანი, კერძოდ, ხდება პალატალიზაცია და ლაბიალიზაცია (ჩითორანი, ისკაროუსი 2008, ჩითორანი, ბაბალიევა 2007). ეს მოვლენა ზეპირ მეტყველებაში რეგულარულ ხასიათს იღებს, თუმცა პროცესი განსხვავებულია დიალექტების მიხედვით.

კომპლექსთა გაანალიზებისას მათი მიღების მორფოლოგიური საფუძვლები გამოიკვეთა:

ა) მიმდევრობის პირველი წევრი არის განმეორებითობის ან მრავალგზისობის კატეგორიის ფორმანტი x და მისი ვარიანტები: x-// q<sup>h</sup> ან q.

ბ) k პრევერბის (იხ. ზემოთ) დართვა თანხოვნით დაწყებულ ზმნურ ფუძეზე ქმნის CC და CF ტიპის თანხმოვანთკომპლექსებს: ктадун [k-tad-u<sup>n</sup>] „მოშორება“, кфин [k-f-i<sup>n</sup>] „წასვლა“, кхьин [k-x'-i<sup>n</sup>] „წერა“; ксуи [k-s-u<sup>n</sup>] // kus-u<sup>n</sup> „დაძინება“.

გ) жгъана [žɣana] წარსულის ფორმა ზმნისა жугъун [žuɣ-u<sup>n</sup>] „პოვნა“. ანლაუტის ž სხვა დიალექტებში з აფრიკატიტაა წარმოდგენილი. ახტის დიალექტში ეს ზმნა გვხდება /gaɣu<sup>n</sup>/ ფორმით, ხოლო დოქუზბარის დიალექტში – /jiɣu<sup>n</sup>/. ამგვარად, დიალექტების მიხედვით თავკიდურა პოზიციაში ž// з // g// j თანხმოვანთა მონაცვლეობა და სხვა ლეზგიურ ენათა მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს გაქვავებულ კლასის ნიშანთან.

დ) ცალკე უნდა განვიხილოთ უკუთქმითი ბრძანებითის ერთი ფორმა, სადაც ანლაუტში მეორეული თანხმოვანთკომპლექსი იქმნება: -mir- აფიქსის ვარიაციებითა და ფონეტიკური პროცესების შედეგად: mraɣir // raqurmīr „არ გაუშვა“, q<sup>h</sup>mefir // q<sup>h</sup>fimir „არ წახვიდე“. (მეილანოვა 1966 : 302, 363 ).

განსახილველ მასალაში დაფიქსირებულ ორ ფუძეს, რომელთაც ანლაუტში თანხმოვანთკომპლექსი მოეპოვებათ, ცალკე გამოვყოფთ: *гзафарын* [gzaf-ar-u<sup>n</sup>] „გამრავლება“, ეს ფორმა ნასესხებია – შდრ. სპარსული *gezaf* „ბევრი, მრავალი“; *штIумын* [št'um-u<sup>n</sup>] „შრობა“, „აყროლება“.

ამგვარად, ლეზგიურ ზმნურ ფორმებში თავკიდურა პოზიციაში დასტურდება შემდეგი ტიპის მეორეული თანხმოვანთკომპლექსები:

FC, სადაც F არის უველარული ყრუ სპირანტი /x/, ხოლო კომპლექსის მეორე წევრად გვხვდება: უკანაენისმიერი ხშულები პრერუპტივი k, აბრუპტივი k', დენტალი პრერუპტივი t, წინაენისმიერი პრერუპტივი c; მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როცა მეორე წევრი არის მჟღერი უკანაენისმიერი ხშული g; დიალექტებში კომპლექსის მეორე წევრად ასევე შეიძლება შეგხვდეს უველარული პრერუპტივი /q/ – *xqadarna* შდრ. სალიტ. *xkadarna* „გადახტა“. იმავე ჯგუფისაა št' კომპლექსი, რომელიც მხოლოდ ერთ ფორმაში დასტურდება: მჟღერობა სიყრუის მიხედვით შეზღუდვა არ გვაქვს, თუმცა ფშვინვიერი ხშული მეორე წევრად არ გვხვდება.

თუ CC კომპლექსის პირველი წევრი არის ფშვინვიერი უველარული ხშული /q<sup>h</sup>/ ან ფშვინვიერი ველარული ხშული /k<sup>h</sup>/, მაშინ მეორე წევრი იქნება F ან S. ფშვინვიერი ხშული + ყრუ ხშული (მკვეთრი ან არაფშვინვიერი) თანმიმდევრობა მხოლოდ დიალექტებში დასტურდება თითო-ოროლა მაგალითში. ჰომოგენური თანხმოვანთმიმდევრობების სულ სამი მაგალითი გვაქვს, აქედან, /žv/ პირველი წევრი ž დეზაფრიკატიზაციის შედეგია, დიალექტებში იგივე ფუძე მჟღერი აფრიკატითაა წარმოდგენილი. მჟღერ არასონორს მოსდევს მჟღერი სპირანტი. ერთი ლოკალური რიგის თანხმოვანთა მიმდევრობა მხოლოდ ერთ მაგალითში დასტურდება *kx'*, სხვა შემთხვევაში, სალიტერატურო ლეზგიურის მონაცემების მიხედვით, კომპლექსები აქცესიურია. ზემოთ აღნიშნული დეცესიური კომპლექსები მხოლოდ დიალექტურ მასალაში დასტურდება (ისიც ერთეულ მაგალითებში). მოხსენებაში ვრცლად განვიხილავთ ლეზგიურის ზმნურ ფუძეებში მორფმათა ზღვარზე მიღებულ მეორეული თანხმოვანთკომპლექსების შემადგენელ წევრთა განაწილების წესებს.

დ. კ ა კ ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

## **კომპოზიტა წარმოებისათვის წოვათუშურში**

კომპოზიცია წოვათუშურში, როგორც სხვა მრავალ ენაში, ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. თხზვა სხვადასხვა საშუალებით წარმოებს: ფუძის გაორკეცებით: თხნ-თხნ „დღე-დღეზე“, ბუსჷ-ბუსჷ „ღამღამობით“ და ორი სხვადასხვა ფუძის შეერთებით: თუძხ-მაძნ „პურ-მარილი“, ზჷარჷკირი<sup>ნ</sup> „თვალ-მახვილი“, ახ- დ|ივუნნ „მხვენელ-მთესველი“ და სხვ.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ცნებიანია რთული სახელი,მისი შემადგენელი კომპონენტები ამაჷმად ერთმანეთს და კავშირის გარეშე უერთდება. ეს კომპონენტები შეიძლება იყოს როგორც ერთი და იმავე (არსებითები, ზედსართავები, მიმღებები), ისე სხვადასხვა მეტყველების ნაწილები (არსებითი და მიმღება, არსებითი და ზედსართავი).მაგალითად:

**არსებითი სახელი+არსებით სახელი:** ბატრ-ბაჷი „ცხვირ-პირი“, თუძხ-მაძნ „პურ-მარილი“;

**ზმნა+ზმნა:** თეფხ-აჷარ „ცემა-ბეგვა“ და სხვ.

**არსებითი სახელი+მიმღება:** ბაჷბელინნ „პირმცინარე“, ბეხკბა-ხუნნ „ბრალმდებელი“;

**არსებითი სახელი+ზედსართავი სახელი:** დედაცჷ<sup>ნ</sup> „დღემოკლე“ და სხვ.

როდესაც რთული სიტყვის პირველ ნაწილად არსებითი სახელი გვაქვს, მეორე კი მიმღებას ან ზედსართავ სახელს წარმოადგენს, არსებითი სახელი უმთავრესად წმინდა ფუძის სახითაა მოცემული, შდრ.: ბაჷბეხკინნ „კუშტი“ (სიტყვასიტყვით პირშეკრული: ბაჷ „პირი“, სახ. ბრ. ბეხკინნ „შეკრული“), ბუყფსტუნნ „შუახნის ქალი“, დედაცჷ<sup>ნ</sup> „დღემოკლე“ და სხვ.

ორი მიმღებური ფორმის შეერთებისას პირველი ნაწილი კარგავს მაწარმოებელ აფიქსს, მეორე ნაწილში კი მაწარმოებელი შენარჩუნებულია: დაყ-მაღარ – „საჷმელ-სასმელი“, თეფხ-აჷარ „ცემა-ბეგვა“ და სხვ.

ყურადღებას იქცევს ორი სახელური ფუძის შეერთებისას ბოლოში გაჩენილი **ი** ხმოვანი, რომელიც წარმოშობით მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი უნდა იყოს, თუმცა ახლა მისი ფუნქციის დადგენა ჭირს: ათ-პაპი „მამა-პაპა“ (შდრ.: მამა-პაპანი), ატყ-წაქი „მშვილდ-ისარი“ (შდრ.: მშვილდ-ისრები) და სხვ.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტები და ფონეტიკური პროცესები, რომლებიც უკავშირდება ფუძეთა შეერთებას.

გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა (თბილისი)

## სიტყვის ძირი და შიდა ფორმა

როგორც ცნობილია, ენის შიდა ფორმის (გერმ. innere Form, ინგლ. inner form) იდეა XIX ს. დასაწყისში ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა წამოაყენა. მისი განმარტებით, ცნება გულისხმობს „ენის შიდა, წმინდა და ინტელექტუალურ მხარეს“, რომელშიც მდგომარეობს „ეროვნული სული“ და ეროვნული თვითმყოფადობა. ცნებამ მეცნიერული დამუშავება და განვითარება პოვა ჰუმბოლდტის მიმდევართა ნაშრომებში, მათ შორის ა. პოტებნიას გამოკვლევებში. პოტებნიას კონცეფცია იყო ჰუმბოლდტის მაკროლინგვისტიკური სპეკულაციიდან მეტყველების დინამიკის მიკროლინგვისტიკურ ანალიზზე გადასვლის ცდა. ნაცვლად **ენის შიდა ფორმისა** პოტებნია გვთავაზობს **სიტყვის შიდა ფორმის შესწავლას**. მან სიტყვის სამ ნაწილად დაყოფის იდეა წარმოადგინა (1862 წ.): „სიტყვაში განვასხვავებთ **გარე ფორმას**, ანუ დანაწევრებულ ბგერას, ბგერის მეშვეობით ობიექტივირებულ **შინაარსსა** და **შიდა ფორმას**, ანუ სიტყვის უახლოეს ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას, რომლითაც შინაარსი გამოიხატება“.

„ენის შიდა ფორმის“ ჩანაცვლებამ „სიტყვის შიდა ფორმით“ და ამ ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა პარალელურმა ხმარებამ გამოიწვია ის, რომ ხშირად მათ ერთმანეთში ურევენ. აღნიშნულ ცნებათა ეს აღრევა პირველად შეამჩნია პროფ. გ. რამიშვილმა, რომელმაც იგი რუსეთში პოტებნიას ნაშრომებითა და დიდი ავტორიტეტით ახსნა.

ზემოდასახელებულ ცნებათა შორის არსებული განსხვავების თვალსაჩინოებისათვის საკმარისია მათი განმარტებების მოყვანა:

**ენის შიდა ფორმა** – ენობრივ ერთეულთა ორგანიზაციის, რეალიზაციის სისტემა, რომელიც ასახავს მოცემული გამოხატულების გარკვეულ შინაარსთან კავშირის სპეციფიკას.

**სიტყვის შიდა ფორმა** – სიტყვის შინაარსობრივი მხარე, რომელიც სიმბოლურ სახეს მიუსადაგებს ენობრივი ერთეულის ბგერით (გრაფიკულ) იერს. სინონიმებია: სიტყვის აზრობრივი სტრუქტურა, სიტყვის სემანტიკა, სიტყვის სიმბოლური სტრუქტურა, სიტყვის ეტიმონი.

შევუდაროთ უკანასკნელი განმარტება **მორფემა-ძირის** შემდეგ განმარტებას: სიტყვის ძირი – მარტივი ფუძე, რომელიც არავითარ სუფიქსს არ შეიცავს და რომელიც გამოიყოფა ა) ენის მოცემული მდგომარეობის მიხედვით – მორფოლოგიური ძირი, ანუ ძირეული ფუძე და ბ) მისი განვითარების მიმართების მიხედვით წარსულ ეპოქებთან – ეტიმოლოგიური ძირი, საკუთრივ ძირი ანუ ეტიმონი, ე. ი. პირველყოფილი ფორმა ან სიტყვის პირველადი მნიშვნელობა, მისი ამოსავალი ან ძირითადი სახე, რომელიც გააზრებულია როგორც სწორი, უძველესი, ნამდვილი, როგორც ვხედავთ, სწორედ ეს ნიშანია სიტყვის ძირისა და შიდა ფორმის ცნებათა ურთიერთგადაკვეთის წერტილი.

ლ. კოჭლამაზაშვილი (თბილისი)

### **გრამატიკულ კლასთა სისტემა და მისი ასახვის თავისებურებანი ხათურ სახელში**

მოხსენებაში განხილულია გრამატიკული კლასის არსებობის საკითხი ხათურ ენაში: როგორც ჩანს, სახელები იყოფოდა ორ კლასად. პირველი კლასის ფორმანტია  $wa_a$ - პრეფიქსი, მეორისა –  $\check{s}(e)$ -. მორფოლოგიური სისტემის დიაქრონიულმა ტრანსფორმაციამ განაპირობა გრამატიკული კლასის მოშლა. წერილობითი ძეგლების ენა, რომელიც

მკ. წ. მე-3-2 ათასწლეულთა მიჯნის ხათურითაა შესრულებული, მოიცავს ენობრივი სისტემის ისტორიული გარდაქმნის იმ სინქრონიულ მონაკვეთს, როდესაც კლასის ნიველირება დასასრულს უახლოვდება და ოდენობის აღმნიშვნელი ფორმანტი სახელურ ფუძეს შეერწყმის.

აქვე გამოვთქვამთ მოსაზრებას სახელთა ორ კლასად დაჯგუფების პრინციპებზე და პარალელებს გავავლებთ ორკლასოვანი სისტემის მქონე იბერიულ-კავკასიურ ენებთან (აფხაზურთან, თაბასარანულთან და სხვ.).

მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა (თბილისი)

### **მყოფადი დროის მიმღობათა საწარმოებელი ფუძისათვის თანამედროვე ქართულში**

თანამედროვე ქართულში მყოფადი დროის მიმღობათა ერთი ნაწილი საწარმოებლად იყენებს როგორც პირველი, ისე მეორე სერიის ფუძეებს.

აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში აღნიშნული ტიპის მიმღობათა პარალელური ვარიანტები მართებულ ფორმებადაა მიჩნეული ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით (**დასალოცავი // დასალოცი; შესაწირავი // შესაწირი; ჩასაჭიდებელი // ჩასაჭიდი; საამბორებელი // საამბორო...**), თუმცა – არა ყოველთვის, მაგ., **საბარავი** [და არა საბარი]; **საბადებელი** [და არა საბადი]; **შესაზღუდავი** [და არა შესაზღუდი], თუმცა თანამედროვე ქართულში „შესაზღუდი“ ვარიანტი, ვფიქრობთ, მისაღები უნდა იყოს (არის სხვა ამ სახის შემთხვევებიც).

სხვა შემთხვევაში ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი ითვალისწინებს ორსავე ფორმას, მაგრამ – ცალ-ცალკე (არაპარალელურ ვარიანტებად: **საანდერძებელი – საანდერძო...**).

საინტერესოა ისიც, რომ არცთუ იშვიათად პარალელური ვარიანტები დამოუკიდებელ მნიშვნელობასაც მოიპოვებს ხოლმე. სწორედ მყოფადი დროის პირველი და მეორე სერიის ფუძეთა მონაცვლეობა

არის ერთ-ერთი მიზეზი პარონიმიისა, მაგ.: **დასახვედრი** (= ვისაც ან რასაც უნდა დაუხვდნენ) – **დასახვედრებელი** (= რაც უნდა დაახვედრონ); **მოსაგონარი** (= ვინმეს გასახსენებლად განკუთვნილი) – **მოსაგონებელი** (= რაც უნდა მოიგონონ ან გაიხსენონ); ან კიდევ: **მოსალოცი** (ბარათი) – **მოსალოცავი** (ადგილები) და ა. შ. ეს უკანასკნელი (**მოსალოცი** და **მოსალოცავი**) ორთოგრაფიულ ლექსიკონში პარალელურ ვარიანტებადაა წარმოდგენილი, თუმცა თანამედროვე ქართულში ისინი ფაქტობრივად უკვე პარონიმებად გვევლინება.

თანამედროვე ქართულში (სასაუბრო მეტყველებაში) შეინიშნება მყოფადი დროის მიმღეობათა მეორე სერიის ფუძეზე დამყარებული (ოდენ პრეფიქსული) ვარიანტების მოჭარბება („ბავშვი მყავს **დასატოვი** სკოლაში“). ზოგჯერ კი **სა-** – **-ელ** თავსართ-ბოლოსართის ნაცვლად გამოყენებულია მხოლოდ პრეფიქსი („ეს საქმე მაქვს **გასაკეთები**“) და ა. შ. **დასატოვი** თუ **გასაკეთები** და მისთ. ტიპის ფორმათა გამოყენება, რასაკვირველია, დაუშვებელია.

რ. ლ ო ლ უ ა (თბილისი)

## **ზმნური ძირების მონოკონსონანტიზმისათვის უდიურ ენაში<sup>2</sup>**

უდიურ ენაში ზმნური ლექსემების დიდი ნაწილი კომპოზიტებს წარმოადგენს. არანაწარმოები, ანუ მარტივი აგებულების ზმნური ფუძეების რიცხვი უდიურ ენაში არ არის დიდი და 60-70 ერთეულს არ აღემატება. მათი დიდი ნაწილი ერთმარცვლიანია და C, VC, VCC, CVC, CVCC სტრუქტურისაა:

**C:** ბ-ეს „კეთება“; ფ-ეს „თქმა“, „ქმნა“;

---

<sup>2</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო პროექტით – № 31/45).

**VC:** აკ-ეს „ნახვა“, „დანახვა“, „გამოჩენა“; აყ-ეს „აღება“, „აყვანა“; უქ-ეს „ჭამა“; ულ-ეს „დაღევა“; ეწ-ეს „შემოზობა“; ოწ-ეს „გარეცხვა“; ეჭ-ეს „დაჭერა“, „დაკავება“...

**VCC:** არც-ეს „დაჯდომა“; უსკ-ეს „გაზომვა“...

**CVC:** ბაქ-ეს „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“; ბიხ-ეს „მოზა“, „დაბადება“; ბოკ-ეს „წვა“, „ხრუკვა“; ბიხ-ეს „ხარშვა“; ბიყ-ეს „კრეფა“; ჰურ-ეს „გრეხა“; ჩურ-ეს „გავლა“, „გასეირნება“ (ნიჯ. „ყვარება“, „შეყვარება“); ჟალ-ეს „დუღება“; გურ-ეს „წაქცევა“; ჯარ-ეს „წვა“, „ხრუკვა“; შამ-ეს „კვლა“; დოფ-ეს „სკდომა“...

**CVCC:** ბასკ-ეს „დაწოლა“, „დაძინება“; ბურჯ-ეს „დაწყება“; ბაშყ-ეს „მოპარვა“; მანდ-ეს „დარჩენა“; ჩალხ-ეს „გაცნობა“...

იმვითად გვხვდება ორმარცვლიანი მარტივი აგებულების ფუძეები, მაგ., წორო-ეს „დინება“ [წურწურით, წვეთ-წვეთად]; ახა-ეს „აკიდება“, „ზურგზე ჩამოკიდება“...

რაც შეეხება ნაწარმოებს, ანუ რთული აგებულების ზმნურ ფორმებს: კომპოზიტების პირველი კომპონენტი მარტივ არაუღვლებად ფუძეს წარმოადგენს, ხოლო მეორე შემადგენელი ნაწილი – მეშველ ზმნას. მეორე კომპონენტაგან ცალკე აღებული მხოლოდ სამი ზმნა წარმოადგენს დამოუკიდებელ ლექსემას, ესენია: ბაქ-ეს „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“; ბ-ეს „კეთება“ და ფ-ეს „თქმა“, „ქმნა“. მათ რიცხვს შესაძლოა მივუმატოთ ერთი ლექსემაც – ეც-ეს, რომელიც მოძრაობის აღმნიშვნელ დეფექტურ ზმნად უნდა მივიჩნიოთ და, ამასთან ერთად, იგი დეკაუზატივისაც აწარმოებს (სხვა თვალსაზრისის მიხედვით – ვნე-ბითი გვარის მაწარმოებელს წარმოადგენს – ევგ. ჯეირანიშვილი).

**ბაქ-ეს** – გარდაუვალ ზმნებს აწარმოებს, მაგ., ქალა-ბაქეს „გაზრდა“ (ქალა „დიდი“); ჭოჭა-ბაქსუნ „გაწითლება“ (ჭოჭა „წითელი“)...

**ბ-ეს** – გარდამავალ ზმნებს აწარმოებს, მაგ., აშ-ბეს „მუშაობა“ (აშ „საქმე“); ბარ-ბესუნ „დარიგება“, „დანაწილება“ (ბარ „წილი“)...

**ფ-ეს** – ძირითადად სემანტიკურად მეტყველებასთან, ხმასთან დაკავშირებული მოქმედებების აღმნიშვნელ და სხვა გარდამავალ ზმნებსაც აწარმოებს, მაგ., აძთ-ფეს „ლაპარაკი“ (აძთ „სიტყვა“); მალ-ფეს „მღერა“ (მალ „სიმღერა“); ჯოჯ-ფეს „დახველება“, ახშუმ-ფეს „გაცინება“; მაგრამ: აჩი-ფეს „თამაშობა“ (აჩი „თამაში“); ოხ-ფეს „ვარცხნა“ (ოხ „სავარცხელი“); ცამ-ფეს „წერა“ (ცამ „ნაწერი“)... ფორმა



**ფ-ეს** იშვიათად აწარმოებს გარდაუვალ ზმნებსაც, მაგ., ჩურ-ფეს „დგომა“, „გაჩერება“...

**ივ-ეს** – აწარმოებს დეკაუზატივს, მაგ., აკ-ე-ნე „ნახა“ – აკ-**ივ**-ე-ნე „დაენახა“; თად-ე-ნე „მისცა“ – თად-**ივ**-ე-ნე „მიეცა“... ამას გარდა, ეს ფორმა, ჩვენი აზრით, მეშველ ზმნადაც გვევლინება, შდრ.: ცამ-**ფ**-ე-ნე „წერს“ – ცამ-**ივ**-ე-ნე „იწერება“; გამ-ნე-**დ**-ე „აცხელებს“ – გამ-**ივ**-ე-ნე „ცხელდება“; გირ-**ბ**-ე-ნე „თავს უყრიან“ – გირ-**ივ**-ე-ნე „თავს იყრის“... ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ ფორმა **ავ**-ეს პირველ კომპონენტს დაერთვის როგორც მეშველი ზმნა და სხვა უღვლესად კომპონენტებს (**ბ**-ეს, **ფ**-ეს, **დ**-ეს) ენაცვლება (უდიურში დაუშვებელია ორი დამხმარე ზმნის ერთად თავმოყრა).

რთული აგებულების ზმნებში ხშირად გვხვდება მეორე უღვლესადი კომპონენტი, რომელსაც ამჟამად დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არ გააჩნია; ამათგან ყველაზე გავრცელებულია **დ**- (ყრუ თანხმოვნების შემდეგ ხშირად გვადლევს **ტ**-ს, მაგ., აკეს-ე-**დ**-ი „დანახა“ – აკეს-**ტ**-ეს „დანახვა“), მაგ., ჟოლ-დ-ეს „დაცობა“ (ჟოლ „საცობი“); თოგ-დ-ეს „გაყიდვა“ (თოგ „ფასი“). ეს ელემენტი გვევლინება ასევე კაუზატივის მაწარმოებლად (-**ივვ** მაწარმოებელთან ერთად), მაგ., ბ-ე-ს „კეთება“ – ბ-ეს-**ტ**-ეს „კეთებინება“; უქ-ეს „ჭამა“ – უქეს-**დ**-ეს „ჭმევა“; უღ-ეს „დაღვა“ – უღ-ეს-**დ**-ეს „დაღვევინება“...

უდიურის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში, რთული აგებულების ზმნებში გამოიყოფა სხვა ელემენტებიც: **კ**-, **ჭ**-, **ყ**-, **ხ**-. ამ ელემენტების გამოყოფა ხერხდება მხოლოდ სიტყვაწარმოებითი ანალიზის ან ეტიმოლოგიური ძიების საშუალებით, მაგ., ბათ-**კ**-ეს „ხრჩობა“, „ჩაძირვა“, „წყალში დაშვება“; შდრ. აზერბაიჯანული: **ბათ** „ხრჩობა“.

რთული აგებულების ზმნების პირველი კომპონენტი, როგორც წესი, წარმოშობით სახელს ან ადვერბიალურ სიტყვას წარმოადგენს. იშვიათად პირველ კომპონენტად შეიძლება შეგვხვდეს ზმნური ფუძე. ხშირია შემთხვევები, როდესაც პირველ კომპონენტს – არაუღვლესად ფუძეს, ამჟამად არ აქვს დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა, მაგ., ბა-ფეს „ჩასხმა“, „ჩაყრა“; შამ-ფეს „დაკვლა“; ტი-ტეს „დაძახვა“; ჭურ-დეს „მოგრეხა“, „მოღრეცა“ და სხვა.

გვხვდება იდიომატური მნიშვნელობის კომპოზიტები, მაგ., ხა-ბარ-აყ-ეს „შეკითხვა“ (ხაბარ „ახალი ამბავი“ + აყ-ეს „აღება“); აჭჩი-დულ-ეს „მოტყუება“ (აჭჩი „ტყუილი“ + დულ-ეს „დარტმა“,

„ცემა“); გომ-დულ-ეს „ღებვა“ (გომ „ფერი“ + დულ-ეს „დარტმა“, „ცემა“); იშეხ-თაღ-ეს „გათხოვება“ (იშეხ „ქმარი“ [მიც.] + თაღ-ეს „წასვლა“); ნეკახ-ეს „დაძინება“ (ნეკახ „ძილი“ [მიც.] + ეს-უნ „მოსვლა“)...

იმის მიუხედავად, რომ უდიურში დღეს მხოლოდ ორად-ორი ზმნა დასტურდება (ზ-ეს „კეთება“ და ფ-ეს „თქმა“, „ქმნა“), რომელთა ფუძეც თითო თანხმოვნისაგან შედგება, დიაქრონიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა მარტივი აგებულების ზმნური ფორმის ძირი უდიურში მონოკონსონანტური უნდა ყოფილიყო. სათანოდო დასაბუთება წარმოდგენილი იქნება მოხსენებაში.

თ. ლ ო მ თ ა ძ ე (ქუთაისი)

## **ებრაული ძირების ადაპტაციისათვის ქართულში**

ქართულ-ებრაული ენობრივი კონტაქტები უძველესი დროიდან იღებს სათავეს. სავარაუდოა, რომ ებრაული ლექსიკური ერთეულების შემოსვლა და დამკვიდრება ქართულში უნდა მომხდარიყო წერილობითი გზითაც და ზეპირი ურთიერთობებითაც. ერთი მხრივ, ბიბლიის თარგმნა ხელს უწყობდა წერილობითი ფორმით ებრაიზმების შემოტანას და მეორე მხრივ, თავად ებრაელთა ჩამოსახლება საქართველოში და მათი საქმიანობა ებრაიზმების ყოველდღიურ ურთიერთობებში გავრცელებისა და დამკვიდრების საშუალება იყო. რადგან ორივე გზა უძველეს ეპოქას განეკუთვნება, ზოგ შემთხვევაში ებრაული ძირი იმდენად გაქართულდა, რომ შეიძლება მისი წარმომავლობა კამათის საგანიც კი იყოს. ზოგ შემთხვევაში კი ებრაული წარმოშობა აშკარაა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქმული აქვთ კ. დუმბაძეს, კ. ლერნერს, რ. ენოხს და სხვებს.

შეიძლება გამოვყოთ ლექსიკური ერთეულები, რომლებშიც ებრაული ძირები შემორჩენილია: ა) უცვლელად, ყოველგვარი ტრანსფორმაციის გარეშე ბ) სემანტიკურად უცვლელია, თუმცა განიცდის ფონე-

ტიკურ ტრანსფორმაციას, გ) ზოგჯერ ნაწილობრივ შეცვლილია სემანტიკურად და ფონეტიკურადაც დ) გაფორმებულია ქართული მაწარმოებლებით და გვაქვს მორფოლოგიური ტრანსფორმაციის შემთხვევები გ) შენარჩუნებულია ებრაული კომპოზიტური ძირები გარკვეული ცვლილებებით გ) მყარი შესიტყვების ერთი სიტყვა ებრაულია, ხოლო მეორე ქართული ან – პირიქით.

მ. ლ ო მ ი ა (თბილისი)

### **მორფემისა და ძირის მიმართების საკითხი მეგრულში**

მორფემასა და ძირს შორის ურთიერთობა მკაცრად არის მოწესრიგებული მორფემათა რანგობრივი სტრუქტურის მიხედვით. ცნობილია, რომ მეგრულის დაყოფა არეალებად სახელურ თუ ზმნურ ფუძეებში განხორციელებულ ფონეტიკურ სახეცვლილებებს ემყარება. ფონეტიკური ტრანსფორმაცია სხვადასხვაგვარია, განსაკუთრებით მრავალფეროვანია იგი ზმნაში. მეგრულში 1-ლი S-ური პირისთვის ამოსავალი ნიშანი არის **ვ** პრეფიქსი, რომელიც, მცირეოდენი გამოწკლისის გარდა, ძირითადად სტაბილურად არის შენარჩუნებული როგორც ხმოვნების, ასევე თანხმოვნების წინ სენაკურ-მარტვილურში (აღმოსავლური არეალი), ხოლო ფონეტიკური ვარიაციების შედეგად მიღებული ალომორფები – **ბ**-, **ფ**-, **პ**-, **მ**- და **∅** - დასტურდება ზუგდიდურ-სამურზაყანულში (დასავლური არეალი). მათი გამოვლენა ფონოლოგიურად არის შეპირობებული – განსაზღვრულია მომდევნო, ფუძისეული, ფონემის ნაირსახეობით.

**ვ**- პრეფიქსი სენაკურ-მარტვილურში, როგორც აღვნიშნეთ, პოზიციურად მყარია და ნაკლებად ტრანსფორმირდება, თუმცა მისი პოზიციურ-ფორმობრივი ცვლა ამ არეალშიც შეუძლებელი არ არის; ზუგდიდურ-სამურზაყანულში კი იგი მოძრავია, ფუძეში ინფიქსად ჩაერთვის და ზემოჩამოთვლილი ალომორფებით წარმოდგება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ის, რაც იშვიათია ან ხშირია (ან კიდევ: ჩვეულებრივია), შემდეგ ენობრივ სურათს იძლევა დიალექტების მიხედვით:

(1) **ჳ**-ფიქრ-ენ-ქ (აღმოს. არ.) || ფი- <**ფ**> -ქრ-ენ-ქ (დას. არ.) „ვფიქრობ“

**S1**-ფიქრი-THM-PM || < **S1**>--ფიქრი-THM-PM

(2) **ჳ**-ბარ-უნ-ქ (აღმოს. არ.) || ბა- <**ბ**> -რ-უნ-ქ (დას. არ.) „ვბარავ“

**S1**-ბარვა-THM-PM || < **S1**>--ბარვა-THM-PM

(3) დე-**ჳ**-ბად-ი (აღმოს. არ.) || დე-ბა-<**ბ**>- დ-ი (დას. არ.) „დავიბადე“

PRV-**S1**-დაბადება- PM || PRV- < **S1**>--დაბადება- PM

ამ ფონზე ყურადღებას იპყრობს სენაკურ-მარტვილურ კილოში დადასტურებული ყიდვა „ციდირი“ ზმნის 1-ლი სუბიექტური პირის ფორმები და ამ ფორმათა სეგმენტაციის საკითხი:

(4) **ჳ**-ი- ცი-დ-ი || ი-<**ჳ**>-იდ-ი || **ჳ**-ი- პ+იდ-ი „ვიყიდე“

**S1**-SV-ყიდვა- PM || < **S1**>-- SV- ყიდვა- PM || **S1**-SV-ყიდვა- PM

**ჳ**ციდი „ვიყიდე“ ჩვეულებრივ სენაკური კილოსთვის დამახასიათებელი ფორმაა S1-ის **ჳ**- პრეფიქსით თავკიდურა პოზიციაში; თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სენაკური კილოსთვის გამონაკლისის სახით დამახასიათებელი პირის ნიშნის მეტათეზისის შედეგად შეიძლება მივიღოთ *აბიდი* ფორმა შემდეგი სახეცვლილების გათვალისწინებით:

**ჳ**ციდი -> \***იჳ**ციდი -> იპიდი (მეგრულში ანალოგიური პროცესის - ც-ს წინ ვ -> კ ასიმილაციური გადასვლისა და ც-ს დაკარგვის შესახებ იხ. გერსამია, 2010, 2015). *აბიდი* ზმნურ ფუძეში S1 პირის ნიშანი არის ინფიქსურად ჩართული -**ჳ**-, *ვიპიდი* ფორმაში კი „გადასმული ნიშნის ფუნქცია ერთგვარად იჩრდილება“ (ც. ჯანჯღავა) და ინფიქსი -პ- ძირს უერთდება, ხოლო S1-ის ნიშნად ისევ **ჳ**- პრეფიქსი გვევლინება თავკიდურა პოზიციაში.

ამგვარი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია იმის გათვალისწინებით, რომ ერთი რანგის მორფემების ერთდროულად გამოყენება შეუძლებელია, რადგან რანგობრივ სტრუქტურაში ერთ მორფემას, ძირთან მიმართებით, მკაცრად განსაზღვრული ერთი ადგილი აქვს გამოყოფილი (აღნიშნულ ფორმათა სეგმენტაციისა და გლოსირებული ჩანაწერის შესახებ იხ. მაგალითი (4)).

ნ. მ ა მ ი ს ე ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

## **-ებ/-ობ სუფიქსთა მონაცვლეობა ქართულ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში**

მკვლევართა ნაშრომებში -ებ/-ობ სუფიქსთა მონაცვლეობის სხვადასხვა მხარეა განხილული(ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ნ. მარი, გ. დეეტერსი, დი ენ ჰოლისკი, ბ. ჯორბენაძე, ლ. ნოზაძე, ჰ. ფოგტი, ბ. ცხადაძე, ი. ქობალავა, მ. მაჭავარიანი, რ. სალინაძე...).

ქართულში **-ებ /-ობ** ხშირად ენაცვლება ერთმანეთს, სულერთია, ის თემის ნიშანია თუ აბსტრაქტული სახელის მაწარმოებელი. გაზიარებული აზრია, რომ **-ობ - ებ** - ისაგან უნდა იყოს მიღებული(ნ. მარი, ვ. თოფურია).

დი ენ ჰოლისკი ამჩნევს - **ებ /-ობ** თემის ნიშანთა მონაცვლეობას, მაგრამ არ უთითებს ამ მონაცვლეობის სემანტიკურ საფუძველს. მისი ინფორმანტები ასახელებენ მედიალურ ზმნებს, რომლებიც შეიძლება ორივე სუფიქსით ვიხმაროთ. იქვე შენიშნავს, რომ -ებ/-ობ მონაცვლეობა აღნიშნული აქვს ლ. ნოზაძეს და ჰ. ფოგტს, რომლებიც ამბობენ, რომ „განსხვავება ორ სუფიქსს შორის ძვ. ქართულში არ იყო. თანამედროვე ქართული უპირატესობას ანიჭებს -ობ სუფიქსის ხმარებას“.

სადაც ჩხენკელის ლექსიკონი იძლევა **-ებ /-ობ** სუფიქსთა მონაცვლეობის ვარიანტებს, მაგ., ბორიალებს/ბორიალობს, მისი ინფორმანტები დასაშვებად მიიჩნევენ მხოლოდ ერთ ფორმას: ბორიალობს, სხვა შემთხვევაში, სადაც ჩხენკელი მხოლოდ ერთ რომელიმე სუფიქსიან ფორმას იძლევა, ისინი მოითხოვენ მეორეს.

დი ენ ჰოლისკი ხშირად მაგალითებად მოჰყავს ისეთი ზმნების რიგი, რომელიც „გვიჩვენებს მერყეობას აწმყოს ფუძის -ებ და -ობ სუფიქსებს შორის“: ლაყუნ-ებს/ლაყუნ-ობს, პროწიალ-ებს/პროწიალ-ობს, ტანტალ-ებს/ტანტალ-ობს...

მ. მაჭავარიანის აზრით, **-ებ/-ობ** სუფიქსთა მონაცვლეობის თვალსაზრისით, „შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს სუბიექტის სულიერებას: - **ებ** თემის ნიშანი ცოცხალ მეტყველებაში იჩენს მიდრეკილებას, აღნიშნოს სულიერი არსება; შდრ.: წისქვილი ჩუჩუნებს, თავგი ჩუჩუნობს, ბორბალი ტრიალებს, დიასახლისი ტრიალობს“.

ბ. ჯორბენაძის აზრით, ერთ სისტემაში ენა ცდილობს, თემის ნიშნებით განასხვავოს გვარის ეს ორი ფორმა. „ამის გათვალისწინებით, ადვილად აიხსნება, თუ რატომ ხდება ზოგიერთ საშუალო ფორმაში - ებ/ - ობ გადასვლა. აგუგუნებს – გუგუნებს, მაგრამ აშკარაა ასეთი შეფარდების ტენდენცია(განსაკუთრებით დიალექტებში): აგუგუნებს – გუგუნობს. მოხდა სისტემის გათანაბრება“.

მნელია რაიმე კანონზომიერების დანახვა სულიერ და უსულო საგანთა მიხედვით -ებ/-ობ თემის ნიშნებთან დაკავშირებით, მათი მონაცვლეობა ხშირად რომ დიალექტურ და სალიტერატურო ნორმებს გამიჯნავს, ადვილი შესამჩნევია. გუგუნებს – გუგუნობს, ტრიალებს – ტრიალობს თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს, თუმცა ზოგჯერ -ობ სუფიქსიანი ფორმებიც მართებულად არის ჩათვლილი.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ხშირ შემთხვევაში ორივე ფორმა არის წარმოდგენილი. მაგ.: დაწანწალებს/დაწანწალობს, ჭუჭყუნებს/ჭუჭყუნობს, კრიახებს /კრიახობს..., ზოგჯერ მხოლოდ **-ობ** სუფიქსიანი ვარიანტია მოცემული, თუმცა განმარტებისას **-ებ** თემის ნიშნიანი ზმნებია გამოყენებული, იშვიათადაა შენიშნული, რომ რომელიმე ფორმა უფრო მართებულია. შესაბამისად, „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ფონოსემანტიკურ სიტყვათა არასწორ ფორმებად უფრო ხშირად მიჩნეულია -ეფ/ოფ, იშვიათად კი – **-ობ** სუფიქსური ვარიანტები. მაგალითად , არასწორია: დალაყუნობს, დაწანწალებს, ხორხოცოფს... სწორია: დალაყუნებს, დაწანწალებს, ხორხოცობს...

„ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ და, შესაბამისად, ქართული ენის დიალექტურ ლექსიკონებში ხშირად **-ობ/-ოფ** თემისნიშნიანი მაგალითები არის დამოწმებული, ზოგჯერ ამ ფორმანტთა ფონეტიკური სახესხვაობებით.

ამგვარად, **-ობ** თემის ნიშანი, რომელიც შედარებით გვიანდელი წარმოშობის უნდა იყოს, საკმაოდ პროდუქტიულია ქართულში, ხშირად დასტურდება თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებში და, თავისთავად, არსებობას განაგრძობს დიალექტური ლექსიკური ერთეულების სახით.

ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი (თბილისი)

## შიდ ფუძიანი ზმნები სვანურ ენაში

**შიდ** ფუძეზე სვანურ ენაში არაერთი ზმნაა აგებული და ისინი ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ომონიმურია:

1. **შიდ** – „დაშვებულია, აკრძალული არ არის“: ზს. **ლჷდი ლიშდჷბ ჩუ შიდ**

– „დღეს მუშაობა დაშვებულია“ (ე. ი. რამე რელიგიური დღე არ არის);

საობიექტო ქცევის რელატიური **ხ-ო-შიდ** – „მისთვის დაშვებულია, მისთვის

აკრძალული არ არის“: ბზ. **ალ მწრა ალ დინა მნდ ხოშიდ** ბქ. **ალ მწრა ალ დინა მადე ხოშიდ** – „ამ კაცს ამ გოგოს ცოლად მოყვანა არ შეუძლია, ეკრძალება, მისთვის დაუშვებელია“ (ცხადია, ითქმის მხოლოდ იმ კონტექსტში, რომ ისინი ნათესავები არიან და არა, ვთქვათ, შეუფერებლები); ორივე ზმნა უპირატესად ნეგატიურ კონტექსტში გამოიყენება, თუმცა აქვთ უნარი დადებითი აზრის გამოხატვისაც.

2. (მნმ/დემეგ) **ხ-ა-შიდ** – „მისთვის შეუძლებელია, სხვა გამოსავალი არ აქვს“: ბზ. **ლჷდი მესტიათე უზად მნმ მაშიდ** ბქ. **ლჷდი მესტიათე უზად დემეგ მაშიდ** – „დღეს მესტიაში წაუსვლელობა ჩემთვის შეუძლებელია, არაფრით არ შეიძლება (დიალექტური „არ მივარგა“ შედარებით უკეთ ფარავს მის მნიშვნელობას, მაგრამ არა სრულად; სიტყვა-სიტყვით „წაუსვლელად არ შემეწევა“); ეს ზმნა ამ მნიშვნელობით მხოლოდ რელატიურია და ძირითადად უარყოფით ნაწილაკთან გვხვდება; კონტექსტის გარეშე მისი ქართულად განმარტება ჭირს;

3. **შიდ** – ყრია, **ხ-ა-შიდ** – აყრია, **ხ-ოშიდ** – უყრია.

4. **ხ-ა-შიდ** – შველის;

საანალიზო ზმნათაგან პირველი სამი სტატიკურია და, ვფიქრობთ, ისტორიულად ერთი და იმავე მნიშვნელობის ფუძეზე აგებული. პირველ (**შიდ** – „დაშვებულია“) და მეორე (**მნმ/დემეგ ხაშიდ** – „მისთვის შეუძლებელია, გამოუვალა, უსაშველოა“...) ფორმათა სემანტიკას აქვს გადამკვეთი წერტილი: ორივე მათგანი სუბიექტის ნებელობის უარყოფას, მისი ნებისგან დამოუკიდებელ ვითარებას გამოხატავს, თუმცა პირველი მათგანი (**შიდ**) მხოლოდ საკრალურ კონტექსტში გამოიყენება, მეორე კი (**ხაშიდ**) ყოფით ვითარებას ასახავს.

**ხაზიდ** („შველის) ზმნა დღეს ჩვეულებრივი გარდამავალი ზმნაა, მისი სემანტიკა კი გარკვეულწილად ეხმაურება მე-2-ს (**მამ/დემეგ ხა-ზიდ**), შეიძლება, მნიშვნელობით ის უფრო მეტად „შველას“, „შეწვენას“, უფრო ზუსტად კი „უსაშველობას“ უკავშირდებოდეს.

ვფიქრობთ, აღნიშნულ ზმნათა მატერიალური იდენტურობა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ ტიპის სტატიკური ზმნები მრავლადაა სვანურში (სიდ „დარჩენილია“, „რჩია?“, ბიდ/ხაზიდ „დაქცეულია/ასხია ის მას“, ხაზიდ გამოიყენება მხოლოდ ორკომპონენტის გამოთქმაში: ღერმეთ ხაზიდ „ღმერთი უწყრება, ღმერთი გამწყრალია მასზე“ (შდრ. ლიჩედ „გაქცევა, ვიმესგან“), ხოზიდ „არეულ-დარეული აქვს“ (ესეც მხოლოდ მეორე კომპონენტია ფრაზისა: „უშხვარ ხოზიდ“ ), ხოჯიდ „მოვლილი აქვს (ზნე)“...); ამ ზმნათა უმრავლესობის ზუსტად გადმო-პართულება ვრცელ კონტექსტშიც კი ჭირს;

ჩვენი აზრით, ყველა ამ ფორმის ძირი ისტორიულად ცალთან-ხმოვნია, -**იდ** სუფიქსი კი ფუძის მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო (სავარაუდოდ, სტატიკურობისა), რომელიც შემდგომში შეერწყა მას და დღეს ეს ნაწილიც ძირად განიხილება.

რ. მ ა რ ღ ა ნ ი ა (თბილისი-სოხუმი)

### **ფუძისა და ძირის საკითხი „აფხაზური ენის პრაქტიკულ სახელმძღვანელოში“<sup>3</sup>**

„აფხაზური ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო“, რომელიც ჩვენ მიერ მომზადდა 2013-2015 წლებში (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში), შედგება ოთხი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი მოიცავს სავარჯიშოებს, მეორე ნაწილი არის გრამატიკული მიმოხილვა, მესამე – ტექსტები, მეოთხე – ლექსიკონი.

---

<sup>3</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ((საგრანტო პროექტი № 30/10).



სავარჯიშოები აგებულია შემდეგი პრინციპით: აფხაზურში 64 ფონემაა, (ფონემები დალაგებულია ჰომოგენურობის პრინციპის გათვალისწინებით) თითოეულ ფონემასთან მოცემულია ამ ფონემის ფონეტიკური და მორფოლოგიური კვალიფიკაცია, საბოლოო ვარიანტში (ბეჭდურად გამოცემულ სახელმძღვანელოში), შესაბამის ფონემასთან მითითებული იქნება აგრეთვე წიგნის ის გვერდი, რომელზეც შესაბამისი თეორიული გრამატიკული მასალაა განთავსებული. აფხაზური აგლუტინაციური ტიპის ენაა, ამიტომ არც ერთი მორფოლოგიური თუ სინტაქსური კატეგორია არ გვხვდება აფიქსის გარეშე, მარკერები კი აფხაზური ფონემებია. სათითაოდ ყოველ ასო-ბგერასთან, ანუ ფონემასთან მოცემულია ლექსიკური მასალა, განხილულია ფუძეთა და ძირთა აგებულება, ყურადღებაა გამახვილებული ფუძე-წინდებულებსა და ძირ-სუფიქსებზე. სათარგმნი ტექსტები აფხაზურიდან ქართულად და ქართულიდან აფხაზურად, გამოტოვებულ ადგილებში ჩასასმელი სიტყვები თუ ბგერები, მოდალური, უღლების სხვადასხვა კატეგორიის შემცველი ზმნა-შემასმენლები, თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი წინადადებები, ანდაზები, აფორიზმები და სხვა. მარტივი ტექსტები, ფონეტიკური და მორფოლოგიური სავარჯიშოებით. მოხსენების დროს ნაჩვენები იქნება ვიზუალური მასალა.

ვ. მ ა ლ რ ა ძ ე (თბილისი)

### **-ზე თანდებულის უმართებულო გამოყენების შესახებ**

ქართულ სალიტერატურო ენაში ხშირად(როგორც ზეპირი ისე წერიტი მეტყველებისას) თანდებულების არადანიშნულებისამებრ, სხვა შინაარსით გამოყენების მაგალითები შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ თანდებულებს თავისი კონკრეტული, განსაზღვრული ფუნქციები აკისრიათ, რატომღაც ცდილობენ სხვა თანდებულის მოვალეობა შეუთავსონ (ზოგიერთ შემთხვევაში კალკირების წყალობით), რაც ხელს უწყობს გარკვეულ თანდებულთა არეალის შევიწროებასა და ენაში უმართებულო ფორმების წარმოქმნას.

პრესასა (ძირითადად) თუ მხატვრულ (როგორც ორიგინალურ, ისე თრგმნილ) ლიტერატურაში შეინიშნება **-ზე** თანდებულის უმართებულოდ გამოყენების რამდენიმე ტენდენცია.

ქართულ სალიტერატურო ენაში ზოგი სახელის **-ზე** და **-ში** თანდებულის ფორმა ერთი და იმავე დანიშნულებით იხმარება. მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება მაგალითად: **ბაზარში იყიდა** და **ბაზარზე იყიდა**, **გზაში ეყარა** და **გზაზე ეყარა...** საჭიროა, ყოველი კონკრეტული თანდებულის სახელისათვის ბუნებრივი, მართებული და არაბუნებრივი, უმართებულო კონტექსტების წარმოჩენა და, შესაბამისად, სალიტერატურო ენაში არსებული დარღვევების თავიდან აცილება.

ამისათვის, პირველ ყოვლისა, გავიხსენოთ, რომ **-ზე** თანდებული მიცემით ბრუნვას დაერთვის, მიუთითებს რამეზე ზემოთ მყოფობას და მიუგებს კითხვებზე: **რაზე** და **ვისზე...** თუმცა მისი ეს ფუნქცია, ზოგჯერ უარყოფილია და უმართებულო ფორმებიც შემოდის ენაში.

- ა) სწავლა **მაგისტრატურაში** და არა მაგისტრატურაზე;
- ბ) ექსკურსია თემის **ხეობაში** და არა ხეობაზე;
- გ) ცხოვრება **ბინაში** და არა ბინაზე;
- დ) სტუმრობა **ვილაში** და არა ვილაზე;
- ე) მუშაობა **კუბაში** (სახელმწიფო) და არა კუბაზე;
- ვ) შეკრება **კალოსუბანში** და არა კალოსუბანზე...

**-ზე** თანდებულით **-ში** თანდებულის ჩანაცვლება რუსული ენის გავლენაა, კალკს წარმოადგენს და უარსაყოფია. რუსულ ენაშიადგილისა და სივრცის აღნიშვნისას **на** თანდებული **в**-ს ფუნქციით გამოიყენება (жить **на** вилле, быть **на** квартире, отправиться **на** Кавказ, идти **на** работу). ქართულ ენაშიც (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ) **-ზე** და **-ში** თანდებულები გარკვეულ შემთხვევაში ერთმანეთს ფარავენ, ერთმანეთს ენაცვლებიან, მაგრამ არა აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევებში. დასახელებულ მაგალითებში მართებული იქნებოდა არა **-ზე**, არამედ **-ში** თანდებულის გამოყენება.

მართალია, მწერალს, მთარგმნელსა თუ ჟურნალისტს გამოხატვის სრული თავისუფლება, საკუთარი ორიგინალური სტილის შექმნის, ჩამოყალიბების უფლება აქვს, მაგრამ არა ენის ნორმების დარღვევისა და უგულებელყოფის ხარჯზე.

ლექსემებისა და ფორმანტების ერთმანეთთან დაკავშირებისას მათი მართებულად მისადაგება ენის სპეციფიკის გათვალისწინებითა და უნიფიცირებული ნორმების დაცვით უნდა ხდებოდეს.

ნ. მაჭავარიანი (თბილისი)

## **„სინტაქსური ბლოკი“ – აფხაზური ენის ფუძეთა**

### **ერთ-ერთი მახასიათებელი**

(აფხაზური ენის ფლორისა და ფაუნის ლექსიკის მაგალითზე)

აფხაზური ენის ლექსიკა მოიცავს ოდენფუძიან, აფიქსაციით ნაწარმოებ და კომპოზიციით თხზულ სიტყვებს. მოხსენებაში განხილულია ე. წ. „სინტაქსური ბლოკები“, ამჟამად დამოუკიდებელი მნიშვნელობის, ისტორიულად სინტაქსური შესიტყვებებისაგან ნაწარმოები ფუძეები, რომლებიც ორი, სამი და სამზე მეტკომპონენტია შეიძლება იყოს. დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილთა გარდა, რთული ფუძე (კომპოზიტი) შეიძლება შეიცავდეს აგრეთვე ე. წ. ლოკალურ პრევერბებსა და „ლ“-ს რიგის პირ-კლასის კუთვნილებით ელემენტებს, რომლებიც, თავიანთი მხრივ, დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებისგან წარმოიშვნენ. რთულ ფუძეებში გვხვდება არაგონიერთა კლას-კატეგორიის მრავლობითობის ნიშნის გამოვლენის შემთხვევები, ასევე სხვა მორფოლოგიურ კატეგორიათა: კაუზატივის, სათავისო ქცევის, საურთიერთო კატეგორიის, ინსტრუმენტალისის ნიშნები.

ორ კომპონენტია ნი კომპოზიტები

#### **საზღვრულ-მსაზღვრელი:**

**1.** სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** (უმეტესად მცენარისა და ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა) + **ზედსართავი სახელი**, ან მისი ფუძის ნაშთი:

**აჰაშა** „თეთრი მსხალი“, აჰა „მსხალი“, შა<აშჰ>აკა „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი.

#### **მსაზღვრელ-საზღვრული:**

**2.** სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** + **არსებითი სახელი**:

**აშამაშგა** „ჭიაფერა“, აშამაყა „ცვილის დიდი სანთელი“, აშგა „საღებავი“.

**აცვაბ** „ხვადი კატა“, **ახლაბ** „ხარ-ჯიხვი“, **აჩაბა** „მამალი ცხენი“, ახტა „ვაყა“. ცხოველთა მამრობითობის აღსანიშნავად გამოიყენება -აბ ნახევარსუფიქსი. ამ სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა არის „მამა“. ; **ა-მშ-გნყვზ** „გედი“, **ა-მშ-ნ** „ზღვა“, **(ა) ყვზ** „ბატი“, „ზღვის ბატი“. **ა-ძგ-ტგ** „გარეული იხვი“, **ა-ძგ** „წყალი“ **ა-კ-ტგ** „ქათამი“, „წყლის ქათამი“.

ა) კომპოზიტის საზღვრულია **აჯ/ჯა: ადგლაჯა** „ბამგი, ჭყორი“

**აშხარაჯ** „ჟოლო“ ბ) კომპოზიტის საზღვრულია **აწლა** „ხე“ ლექსემა:

**აწააწლა** „არყის ხე“, აწა „ყინვა“, აწლა „ხე“. გ) კომპოზიტის მსაზღვრელია **აზნა** „ტყე“: **აზნარასა** „გარეული, ტყის თხილი“ **აზნაწა** „მაჟალო, ტყის ვაშლი“, **ა-ზგნკატგ** „ხოხობი“, **აზგნ** „ტყე“, **აკატგ** „ქათამი“, „ტყის ქათამი“. დ) კომპოზიტის მსაზღვრელის როლში გვევლინება **ეთონონიმები, ტოპონიმები** და **ანთროპონიმები**: ეთონონიმი: **აშანგუჯ** „ყურძნის ჯიში“, აშანგუ „სვანი“, (ა)ჟ „ყურძენი“. ტოპონიმი: **აწასარხაჟ** „ყურძნის ჯიში“, აწასარხა „ცხვრის ბორცვი“, აჟ „ყურძენი“. ანთროპონიმი: **პაპგნიჟ** „ყურძნის ჯიში“, პაპგნ „მამაკაცის სახელი“, ი- III პირის (კუთვნილების) პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა, ჟ „ყურძენი“. ე) კომპოზიტის მსაზღვრელია **ზოონიმები: აჯმაყგ** „დენგრა, კუნელი“, აჯმა „თხა“, (ა)ყგ „ცურცილი“.

**3. სტრუქტურული მოდელი: ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი** (უმეტესად **მცენარის ან ცხოველის** აღმნიშვნელი ლექსემა)

**ათაჟ** „სავსე ყურძენი“, ათოგ „სავსე“, აჟ „ყურძენი“

**4. სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი + მასდარი**

**აბღვაბტრა** „გვირგვინის გახსნა“, აბღგ „ფოთოლი“, აბტრა „თავის ახდა“.

ორზე მეტკომპონენტის კომპოზიტები

**აბააჟშ** „ყურძნის ჯიში“, აბაა „ციხე-სიმაგრე“, (ა)ჟ „ყურძენი“, შა <აშკაკა „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი.

მცენარის სახელწოდებაში (შესაბამისად მცენარის სახელწოდების სემანტიკურ ველში შემავალ ტერმინოლოგიაში) გამოვლენილია **ლოკალური პრევერბები**:

**აწაყვდ** „ჭრელი ლობიოს ერთ-ერთი სახეობა“ **აწა** „ქვეშ, ქვევით“

სახელწოდებებში თავს იჩენს სხვადასხვა **მორფემები, ზმნური** და **სახელური** სიტყვათმაწარმოებელი ელემენტები:

გამოიყენება კუთვნილებით ნაცვალსახელთაგან მომდინარე კუთვნილებითი ელემენტები, ე. წ. „ლ“-ს რიგისა: **ი-, ლ-, რ-**:

**თაგოდჯ** თაგო „მამაკაცის სახელი“, ი- III პირის (კუთვნილების) აფიქსი მამაკაცის კლასისა. „თაგუს 'მისი' ყურძენი“

**ხუნალჯჯ** ხუნა „ქალის სახელი“, ლ- III პირის (კუთვნილების) აფიქსი ქალთა კლასისა. „ხუნას 'მისი' ყურძენი“

**აპარპაჰა** „მოცვი“, აპა „ღორი“, (ა)პაჰა „ტკიპა“, რ III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) აღმნიშვნელი პრეფიქსი. „ღორი (მათი) ტკიპა“.

**აზგარგმ** (ბზიფ.) „ციცინათელა“, „ელვანა“ ა-ზგა „მგელი“, რ- III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) აღმნიშვნელი პრეფიქსი, ამძ<ამწ „ბუზი“ ლექსემა. „მგელი მათიბუზი“.

მოხსენებაში განხილულია ე. წ. „რთულ სახელთა“ შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, შემოთავაზებულია „სინტაქსური ბლოკების“ ახლებური ინტერპრეტაცია.

დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

## **ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია – გრამატიკული კლასიფიკაციის პრინციპი**

(დიათეზა – ქართველური ზმნის მორფოსინტაქსური კატეგორია)

1. მოხსენებაში წარმოდგენილია ქართული ზმნის უღლებად ფორმათა კლასიფიკაცია გრამატიკული – მორფოსინტაქსური პრინციპით: ზმნურ ფორმათა **სტრუქტურისა და კონსტრუქციის** მიხედვით, რის საფუძველზეც გამოყოფილია **ქართული ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორია – „დიათეზა“ რომელიც ხასიათდება მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით.**

„გვარი“ (ავტოაქტივი, აქტივი, პასივი) დიათეზების მორფოსინტაქსურ სისტემაში (სქემაში) „დიათეზის“ სემანტიკურად განსხვავებული ქვესახეა, რომელიც გრამატიკულად არ არის მარკირებული.

2. დიათეზის გრამატიკული კატეგორია არის ზმნური შესიტყვების სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის ორგანიზაციისა და ზმნური აქტანტების სინტაქსური რელაციის მორფოლოგიური გამოხატვის წესების ერთობლიობის სისტემა, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა ენაში, მათ შორის, ქართულსა და ევროპულ ენებში: კერძოდ, ქართული ენის ზმნური შესიტყვების სისტემა ევროპულისაგან განსხვავებით, რთულია, მაგრამ მკაცრად ორგანიზებული და ლოგიკურად გამართულია აქტანტთა სუბორდინაცია-კოორდინაციის საფუძველზე.

3. დიათეზების სისტემა ისტორიულად საერთოა ქართველური ზმნური შესიტყვებისათვის.

4. **სტრუქტურისა და კონსტრუქციის ვარიანტების თვალსაზრისით გამოიყოფა დიათეზის სამი ჯგუფი:**

I დიათეზა: (ო-/უ-/ა)-R-[th.suf.]-Ø სტრუქტურა: გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: ა) „ავტოაქტიური“ სუბიექტის მქონე არასრული კონსტრუქციის შეზღუდული დინამიკის („ნაწილობრივი სტატიკის“) რეფლექსივები (*კანკალ-ებ-ს ის – ი-კანკალ-ებ-ს ის, ი-კანკალა მან; ი-ცინ-ი-ს ის – გა-იცინ-ებ-ს ის – გა-ი-ცინ-ა მან*) და ბ) აქტიური სუბიექტის მქონე სრული კონსტრუქციის დინამიკური ზმნები (*ა-კანკალებს ის მას, ა-ცინებ-ს ის მას, უ-თბ-ობ-ს ის მას მას*); აქვე შედის ლაბილური კონსტრუქციის ავტოაქტივთა/რეფლექსივთა ფორმები, რომელთა შინაგანი პირდაპირი ობიექტი ხან ამოტივტივდება, ხან იკარგება (*თამაშობს ის – თამაშობს ის მას, ლაპარაკობს ის – ლაპარაკობს ის მას, სწავლობს ის – სწავლობს ის მას*). პირველ ქვეჯგუფს მიეკუთვნება ასევე, არასრული კონსტრუქციის ორპირიანი (ირიბობიექტიანი) ზმნები (*უყურ-ებ-ს ის მას – უყურა მან მას, უჩხიკინ-ებ-ს ის მას – უჩხიკინა მან მას, უ-ცინ-ი-ს ის მას – გა-უ-ცინ-ა მან მას* ტიპისა და სხვ.).

II დიათეზა: გამოიყოფა 2 ქვეჯგუფი: ა) R+ი სტრუქტურის უგვარო (/ნეიტრალური) სტატიკური (*ჭ-გდ-ი-ე-ს > გდ-ი-ა იგი*) ზმნები და ბ) R-[th.suf.ებ]+ი სტრუქტურის დინამიკური ავტოაქტიური, აქტიური და პასიური სუბიექტის მქონე ზმნები (*ე-გდ-ებ-ი-ა, ი/ე-მალ-ებ-ი-ა, თბებ-ი-ა*) – შესაბამისად არასრული და სრული ნომინატიური კონსტრუქციით.

III დიათეზაშიც გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: ა) I ქვეჯგუფი: R-Ø სტრუქტურის (მიყვარ-ს, მიჟულ-ს, მომწონ-ს და ტიპისა) და R-ი სტრუქტურის ძირეული დატიური კონსტრუქციის არქაული ზმნე-ბისა (მში-ი-ს, მწყურ-ი-ს > მში-ა, მწყურ-ა); ბ) II ქვეჯგუფი: I და II დიათეზების ა-R- -[th.suf.ებ]-Ø და R--[th.suf.ებ]+ი სტრუქტურის ზმნათა ინგერსიით მიღებული დატიური კონსტრუქციის მქონე ზმნები (მაკანკალებს ის მე > მაკანკალებს მე /ა-კანკალ-ებ-ს მას ის > ა-კანკალ-ებ-ს მას; ა-ჟრჟოლ-ებ-ს, ა-ცი(ვ)-ებ-ს ის მას > აჟრჟოლებს, აცი-ებს მას; აინტერესებ-ს ის მას > აინტერესებს/ ე-ინტერეს-ებ-ა მას ის; მ-ანატრებ-ს ის მე მას > მ-ენატრ-ებ-ა მე ის – ვ-ენატრ-ებ-ი მას მე ...)

**დიათეზების სქემა**

I დიათეზა (ერგატიული)	
<p>სტატიკური, (ნაწილობრივი, რელატიური სტატიკა) გვარი: ავტოაქტივი//რეფლექსივი სტრუქტურა: R-Ø; ი-/უ-R[ე/ი]-Ø; prev.-R- ა-/ო-/უ-R-th.- Ø</p> <p>კონსტრუქცია არასრული: [ის – მან; ის მას – მან მას]</p>	<p>დინამიკური გვარი: აქტივი სტრუქტურა: ა-/ი-/უ-R-Ø; ა-/ი-/უ-R [ე/ი]-Ø; ა-/ი-/უ-R-th.suf.-Ø</p> <p>კონსტრუქცია სრული: [ის მას – მან ის; ის მას მას – მან მას ის]</p>

II დიათეზა (ნომინატიური)	
<p>სტატიკური (აბსოლუტური სტატიკა) უგვარო სტრუქტურა: Ø-/ი-/უ-R-ი</p> <p>კონსტრუქცია არასრული: [ის – ის]</p>	<p>დინამიკური გვარი: ავტოაქტივი, აქტივი, პასივი სტრუქტურა: Ø-/უ-R-ებ-ი; Ø-/უ-R-დ-ებ-ი; ა-R-ებ-ი; ე-R-ებ-ი; ი-/ე-R-ებ-ი</p> <p>კონსტრუქცია სრული: [ის – ის; ის მას – ის მას]</p>

III დიათეზა (დატიური)	
სტატიკური (განმცდელი სუბ.)	სტატიკური, დინამიკური. (განმცდელი სუბ.)
სტრუქტურა ძირეული: ი-/უ-R-Ø ი-/უ- R-ი	სტრუქტურა წარმოქმნილი: ა-R-ებ-Ø ე-R-ებ-ი
კონსტრუქცია: [მას – მას; მასის -მას ის].ს ის – მას ის]	კონსტრუქცია: [მას – მას;მას ის – მას ის]

კ. მ ი თ ა გ ვ ა რ ი ა (თბილისი)

### რედუპლიკაციის საკითხისათვის ადილურ სახელებში

რედუპლიკაცია სიტყვაწარმოების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, რომელიც ხშირად გამოიყენება ადილურ ენაშიც.

სახელური ფუძეების ფონეტიკური ცვლილებების გარეშე განმეორება იშვიათია (მაგ., ფსგ-ფსგ „დოლბანდი“). ტიპურია რედუპლიკაცია ბგერების შეცვლით.

რედუპლიცირებული სიტყვები იყოფა ორ ჯგუფად:

1) მცირე ჯგუფს შეადგენს ხმოვანშეცვლილი სიტყვები. აქ გამოიყოფა ლექსემები, რომლებშიც მახვილის ადგილმდებარეობის მიხედვით ხდება **ჰ** და **ა** ხმოვანთა მონაცვლეობა:

მაგ. ნან(წ) <\*ნწ-ნწ „დედა“ შდრ. ნწ-ნწ-წ(გ) „ბებია“.

2) მეორე ჯგუფი აღნიშნული ტიპის სახელებისა უფრო დამახასიათებელია ადილურისათვის. ამ შემთხვევაში რედუპლიკაცია ხდება თანხმოვანი ბგერების შეცვლით. აქ გამოიყოფა რამდენიმე ქვეტიპი:

ა) თანხმოვანთა სუბსტიტუცია:

**ჭაბწ-ლ** „აბწ(წ) „ძალიან სუფთა“, შდრ. ჭაბწა „სუფთა“; **ღგჯგ-რგჯ(გ)** „ძალიან მწარე“, შდრ. ღგჯგ „მწარე“;



ბ) თანხმომცემის შეცვლა **ზ** თანხმომცემით, რომელსაც შეუძლია სიტყვის დასაწყისში ჩაანაცვლოს ნებისმიერი თანხმომცემი:

**მწვებ-ზ** მწვებ „თივა და რამე“, შდრ. მწვებ „თივა“;

**შამსათ-ზ** ამსათ „შამსეტი და რამე“, შდრ. შამსათ (ანთროპონიმი).

თუ გაორკეცებისას პირველი კომპონენტი დიფთონგებით იწყება, მაშინ მეორე კომპონენტში **ზ** დიფთონგების პირველ ელემენტს ენაცვლება:

**პზზ-ზ** პზზ „ნაკელი და რამე“; **უგა პ-ზ** „წვიმა და რამე“.

თუ სიტყვა იწყება **ა** ხმოვნით, ამ შემთხვევაში **ზ** ბგერა შენაცვლების გარეშე თავში დაერთვის სიტყვას:

**არჯ-ზ** არჯ „არაყი და რამე“

გ) თანხმომცემის შენაცვლება თანხმომცემთა კომპლექსით: **დგჯგ-ფსგჯ** (გ) „ძალიან მწარე“, შდრ. დგჯგ „მწარე“.

დ) თანხმომცემთა კომპლექსის ჩანაცვლება თანხმომცემით:

**ფხზშა-ნამა** (ა) „ძალიან დიდი“;

**ფსაჟ-მაჟ** „მთელი და უვნებელი“, შდრ. ფსაჟ (გ) „მთლიანი, ჯანმრთელი“.

რედუპლიკაციის გზით მიღებული სიტყვებისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ ცალკეული ბგერების, არამედ მარცვლების შენაცვლება:

**დაღ-ფსღ** „სრულიად ყრუ“, შდრ. დაღებ „ყრუ“

**კაბზა-ცებზა** (ა) „ძალიან სუფთა“, შდრ. კაბზა „სუფთა“.

ამგვარად, რედუპლიკაციის გზით მიღებულ კომპოზიტებში პირველი კომპონენტის პირველ თანხმომცემს ან თანხმომცემთა კომპლექსს, როგორც წესი, სიტყვის მეორე კომპონენტში შენაცვლება შემდეგი თანხმომცემი და თანხმომცემთა კომპლექსები: **ს, შ, ფს, პჟ, ჯ, წ, ნ, ზ**.

რედუპლიკაციის გზით მიღებული სიტყვებით აღინიშნება კრებილობა, ნიშან-თვისების გაძლიერება.

მ. მიქელაძე (თელავი)

## **პლეონაზმი წოვათუშური ენის სინტაქსურ წყვილთა მოდელებში**

ისტორიულად წოვათუშურში ფორმაწარმოების მიხედვით განსხვავებული ზმნების ორი ჯგუფი ფუნქციონირებდა, რომლებსაც ქმნიდნენ კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ზმნები. ეს ვითარება დღემდე შემორჩა ნახურ ენათა შტოს სხვა წევრებს: ჩეჩნურსა და ინგუშურს, წოვათუშურში კი ქართულიდან ალგებრული სესხების გზით უკვე გაჩნდა ზმნის პირის კატეგორია, რასაც, როგორც პირდაპირი შედეგი, მოჰყვა ორი ახალი ჯგუფი ოდენპირისნიშნიანი და პირისნიშნიან-კლასნიშნიანი ზმნების სახით.

პირის ნიშნის შემოტანამ კარდინალურად შეცვალა წოვათუშური ენის მთავარ წევრთა სინტაქსური ურთიერთობის სტრუქტურა: მოხდა მართვისა და შეთანხმების წოვათუშურ-ქართული მოდელების მექანიკური შეკრება.

უკლასნიშნო ზმნებში, რომლებსაც ახლა ოდენპირისნიშნიანი ზმნები ენაცვლება, მთავარ წევრთა ურთიერთობის მარტივი, ოდენ ბრუნვის ნიშნით გამყარებული მოდელი ფუნქციონირებდა: პირდაპირ დამატებასა და ქვემდებარეს ზმნა მართავდა ბრუნვაში – ეს მოხდა. ინტერფერენტული გარდაქმნების შედეგად ახლა მას მექანიკურად მიემატა იმავე წევრთა ურთიერთობის პირის ნიშნებით გამოხატული ერგატიული კონსტრუქციის ქართული მოდელი, რომლის მიხედვითაც სახელი, თავის მხრივ, მართავს ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში. სახეზეა კოორდინაციის ტიპური ქართული მოდელი.

გაცილებით რთული ვითარება შეიქმნა ამ მხრივ კლასნიშნიან ზმნებში, რომლებიც ახლა კლასნიშნიან-პირისნიშნიან ზმნებად წარმოგვიდგებიან. საგულისხმოა, რომ წოვათუშურში კლასნიშნით გამოიხატება მხოლოდ გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე და გარდამავალი ზმნისა კი – პირდაპირი დამატება. მართვა-შეთანხმების მექანიზმი ორსავე შემთხვევაში ერთნაირია: ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში, სახელი კი ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში. ორენოვნების თანამედ-

როვე საფეხურზე პირის ნიშნების მეშვეობით ამავე ზმნებში დამატებით ირთვება მთავარ წევრთა ურთიერთობის ქართული მოდელი, რომლის მიხედვითაც ზმნა სახელს მართავს ბრუნვაში, სახელი კი ზმნას მართავს პირში და ითანხმებს რიცხვში.

შედეგად ვიღებთ მრავალჯერადი მართვა-შეთანხმების რთულ სინტაქსურ მოდელს. ახლა უკვე ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში, სახელი კი ზმნას მართავს პირში და ითანხმებს სამგზის: ერთხელ კლასის მიხედვით, ორჯერ კი რიცხვის მიხედვით. სახეზეა აშკარა გრამატიკული მეტობა, ანუ პლეონაზმი. მოვლენა საინტერესოა ზოგადი ლინგვისტიკის თვალსაზრისით.

ს. ო მ ი ა ძ ე (თბილისი)

## **ძირი – გრამატიკულად დაუშლელი ლექსიკური აბსტრაქცია**

მოხსენებაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- ძირი – სიტყვის თავის თავთან იგივეობის იდეის, მისი საგნობრივი მნიშვნელობის გამომხატველი ერთეული;
- ძირი – ფუძის შემქმნელი ელემენტი;
- ძირი – ლექსემის კორელატი;
- ძირი – მორფოლოგიურ პარადიგმათა საფუძველი;
- ძირი – სიტყვაწარმოებითი ბუდეების საყრდენი;
- ძირი – რეკონსტრუქციით არქეტიპთა დადგენის საშუალება;
- ძირი – ეტიმონი;
- ძირი – მუდმივი შესწავლის საგანი ქართულ ენათმეცნიერებაში.

რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

## ირანიზმების შესწავლისათვის ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში

სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა შესწავლისას სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს ფერეიდნული მასალის ანალიზს. ამ ქართული დიალექტის თავისებურება შეპირობებულია სპარსულ ენასთან და ირანულ ყოფით და კულტურულ გარემოსთან ხანგრძლივი და უშუალო ურთიერთობით. ფერეიდნული სალიტერატურო ქართული ენისაგან მოწყვეტით ვითარდებოდა. სრულმა მოწყვეტამ ქართული სამწერლო ენისა და დიალექტებისაგან, ამავე დროს, სტრუქტურულად განსხვავებულ ენობრივ გარემოში მოხვედრამ განაპირობა ამ დიალექტის განვითარების სხვადასხვა ტენდენციები. ერთი მხრივ, შეინიშნება ნასესხობათა დიდი რაოდენობა, ინტერფერენტული მოვლენები და, მეორე მხრივ, ფერეიდნულში შემონახულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

როგორც ცნობილია, ფერეიდნულ დიალექტში დიდი რაოდენობით გვხვდება ახალი სპარსული ლექსიკა. დიდია სპარსულის გავლენა ფერეიდნულის ზმნურ სისტემაზეც. ფერეიდნულში დიდი რაოდენობით გვხვდება ზმნათა ანალიტიკური ფორმები, რომლებიც სპარსული ენის გავლენით ჩანს გაჩენილი. თანამედროვე სპარსულში ზმნური სისტემის შეივსება აღწერითი წარმოების ხარჯზე. ამ ტიპის ზმნებში სახელადი ნაწილი ნასესხებია, ხოლო ზმნა თარგმნილია. გარდა ამისა, გვხვდება ორივე კომპონენტის თარგმნის შემთვევებიც. სპარსულის გავლენაზე მიგვითითებს ზმნათა აღწერითი ფორმების პოვნაირება საშუალო ქართულის ლიტერატურული ძეგლების ენაშიც („რუსუდანი-ანში“, „ვისრამიანში“..). მაგ.: **უზამდი მეემანსა** „ვასტუმრები“, **ფარა-დათი ქენ** „დაისვენე, მოისვენე; **ქეშიკის წევა** „დარაჯობა, მორიგეობა.

გარდა აღწერითი ფორმებისა, ფერეიდნულში გვხვდება, აგრეთვე, ორგანული წარმოების ზმნებიც. მაგ. **აბანდვა** „ასხმა“, „აცმა“ (სპარს. **band kardan** „მიბმა“, დაბმა“); **გამოფაქიზავება** „გამოსუფთავება“ (სპარს. **pākize**“ სუფთა“); **გახარაბება** „გაფუჭება“ (სპარს. **xarāb kardan**);

**გედაობა** „მათხოვრობა“ (სპარს.**gedā** „მათხოვარი“); **დადოსტება** „დამეგობრება“ (სპარს.**dust** მეგობარი); **დასანგვა** „დანაყვა“, „დაჩეჩქვა“ (სპარს. **sang** ქვა); **დაყადიმება** „დამძველება“ (სპარს.**qadim** ძველი); **დაფაყირება** (სპარს.**faqir** ღარიბი); **დუშმნობა** „მტრობა“ (სპარს.**došman** მტერი); **თეჯართობა** „ვაჭრობა“ (სპარს.**tejārat** ვაჭრობა); **მარიზობა** „ავადმყოფობა“ (სპარს.**mariz** „ავადმყოფი“); **მოჩარბვა** „ცხიმის წასმა“ (სპარს. **čarb** „ცხიმი“); **მოხაზირაგება** „გამზადება“ (სპარს.**hāzer** მზა, დამსწრე).

როგორც ცნობილია, ქართულში ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა უმეტესობას მოეპოვება ეკვივალენტი ნასახელარი მარტივი ზმნის სახით. აღწერით ფორმათა გაჩენის საკითხს ენათმეცნიერები სხვადასხვაგვარად აფასებენ. ივ. ქავთარაძის აზრით, აღწერა შეიქმნა რიგი ნაკვთების უქონლობის საკომპენსაციოდ.

ჩვენი აზრით, ფერეიდნულ დიალექტში ორგანული წარმოების ზმნების არსებობა ერთობ საყურადღებოა. ამ ზმნათა ძირი სპარსულია, თუმცა ნასესხები სიტყვა მოქცეულია ქართული ზმნის ყალიბში.

ნ. რ უ ხ ა ძ ე (თბილისი)

### **„სვლის“ აღმნიშვნელ ძირ-ფუძეთა სტრუქტურული თავისებურებისთვის უდიურში**

უდიურ ენაში ცალკეული ძირისაგან ფუძეთა წარმოქმნის მექანიზმი, ისევე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, ტრადიციულ წესს ექვემდებარება და სათანადო აფიქსების გამოყენებას გულისხმობს.

უდიურში ცალკეულ ზმნაში ფუძეთქმნადობის პროცესი ამ ტრადიციულ წესს არ ემორჩილება და თავისებურ წარმოებას გვიჩვენებს. მაგალითად, „სვლასთან“ დაკავშირებული ფუძეები, უდიურში იწარმოება არა აფიქსური მორფემებისა და სხვადასხვა ფორმანტის დართვით, არამედ ძირეული მორფემის, ანუ ამოსავალი, ძირეული ელემენტის სტრუქტურული ცვლილებებით. ეს ცვლილებები იმდენად მასშტაბურია, რომ სხვადასხვა ძირისგან ნაწარმოები ფუძეების შთაბეჭდილებას ქმნის და არა საერთო, ერთი ძირისაგან წარმოქმნილი განსხვავებული აგებულების ფუძეებისა.

„სვლა“ ძირისაგან ნაწარმოები ფუძეები უდიურში ადგილ-მომართულების ჩვენებით ასეთი სახითაა წარმოდგენილი: **ე-სუნ** „**მოსვლა**“-**თამ -სუნ/თა-სუნ** „**წასვლა**“, **ლამ-სუნ** „**ასვლა**“- **ტი-სუნ** „**ჩასვლა**“, **ჰე-სუნ** „**გა-სვლა**“-**ბამ-სუნ/ ბა-სუნ** „**შესვლა**“.

ჩამოთვლილ ფუძეებში **-სუნ** (<-**ეს-უნ**) სუფიქსური ფორმანტია, რომელსაც ერთგვარად ძირის პოზიცია უკავია. ხოლო ცვალებადი ერთეულები: **ე-**, **თამ/თ-**, **ლამ-**, **ცი-**, **ჰე-**, **ბამ/ბა**, პირიქით, ძირეული მორფემებია, რომლებიც ფუძეთქმნადობის უნივერსალური წესის მიხედვით, ერთადერთი ამოსავალი ძირეული მორფემის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და არა – ფუძეთა საწარმოებელი აფიქსების მსგავსად, სხვადასხვა სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძირის ზემოხსენებული ვარიაცია, ფონეტიკური ცვლილებების ფარგლებს სცილდება და სხვაგვარ ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ანალიზს მოითხოვს.

უდიურში ძირ-ფუძეთა ასეთი სტრუქტურული თავისებურება არ ჩანს მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში და ასევე, საფიქრებელია არც სხვა ოჯახების ენებშიც.

მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი (თბილისი)

## **სუფიქსური წარმოება სვანურ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში**

სვანური ფონოსემანტიკური ლექსიკის შედარებითი შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მათი გამოყენება საკმაოდ ხშირია **უსუფიქსოდ** – **მარტივი** (ე. წ. **შიშველი**) **ფუძეებით** (მაგ.: **ბითქ** (ზს., ქს.) „ბათქაბუთქი“, **ბიტყ** (ჩოლ.) „მირტყმა-მორტყმის ხმა“, **რისტ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „გალა-წუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა“, **წყიგ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი“, **ჰკუბ** (ბქ.) „მაფის გაწყვეტის ხმა“; **ფუძის გაორკეცებით** (მაგ.: **ბითქ-ბითქ** (ზს., ქს.), **ბითქ-ბათქ** (ზს., ქს.) „ბათქაბუთქი“,

**ბიტყ-ბიტყ** (ლშხ., ჩოლ.), **ბიტყ-ბატყ** (ლშხ., ჩოლ.) „მირტყმა-მორტყმის ხმა“; **დგუბ-დგუბ** (ზს., ქს.), **დგუბ-დგუბ** (ზს., ქს.) „დუგდუგი; ბაგაბუგი“; **სგუბ-სგუბ** (ბქ.), **სგუბ-სგუბ** (ბქ.) „ბათქაბუთქი; იარადის სროლის ხმა“; **ტყუბ-ტყუბ** (ბქ.), **ტყუბ-ტყუბ** (ბქ.) „თოფის, ნაპერწკლის გავარდნის/ ტყორცნის ხმა“; და **სუფიქსაციით** (მაგ.: **ბურდღ-უნ** (ზს.) „ბურდღუნი“, **ბურთქ-უნ** (ზზ.), **ბურთქ-უნ** (ბქ.) „ბათქუნი, ბათქაბუთქი“, **დგურბ-უნ** (ზს., ქს.) „დუგდუგი; ბაგაბუგი“, **თხურბ-უნ** (ზზ., ლშხ.), **თხურბ-უნ** (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „თუხთუხი; სრუტუნი“, **ტყურსგ-უნ** (ზზ.), **ტყურსგ-უნ** (ბქ.) „ტკაცანი, ტკაცატკუცი“, **ცხურკ-უნ** (ზზ., ლშხ.), **ცხურკ-უნ** (ბქ., ლნტ.) „რაიმეს შეწვის ხმა; ცხუკუნი“, **ხურბ-უნ** (ზზ.) „კრუტუნი (კატისა)“, **ჯურჯღ-უნ** (ჩზხ., ლხმ.) „ჯუჯღუნი, ბუზღუნი“...; **ბგრთქენ** (ზზ.), **ბგრთქენ** (ბქ., ჩოლ.) „ბათქუნი, ბათქაბუთქი“, **დგრდგ-გენ** (ჩზხ.) „დაგადუგი, დუგდუგი“, **ზგრზ-გენ** (ზზ., ლშხ.) **ზგრზ-გენ** (ბქ., ჩოლ.) „ზუზუნი; ბუზღუნი; ზანზარი“, **კგრკ-გენ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „კისკისი“, **მგრტყ-გენ** (ბქ.) „უმნო ჭამა ხმის გამოცემით“, **ჟღგრმ-გენ** (ზზ., ლშხ.), **ჟღგრმ-გენ** (ბქ., ლნტ.) „ჟღავილი“, **ტკგრჩ-გენ** (ზზ., ლშხ., ჩოლ.), **ტკგრჩ-გენ** (ბქ., ლნტ.) „ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლავგი საგნის დარტყმის ხმა“, **შგრშხ-გენ** (ზზ., ლშხ.), **შგრშხ-გენ** (ბქ., ლნტ.) „შიშხინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)“...; **კგრკ-რნ** (ჩოლ.) „კისკისი“, **ფგრღ-რნ** (ჩოლ.) „კანკალი, ცახცახი“, **ყგრყ-რნ** (ზზ.) „პირდაღებული ტირილი“, **ცგრღ-რნ** (ჩოლ.) „კანკალი, ცახცახი“, **ცგრცხ-რნ** (ზზ., ჩოლ.) „დუღილი, ფუცხუნი“...; **ტიმბ-ეგ-ა** (ბქ.) „აურზაური, აყალმაყალი“, **ჭიმბკ-ნე-ე-ა** (ჩოლ.) „ხმაური (ბავშვებისა)“, **ჭკლ-ნე-ა** (ლშხ.) „ხმაური (დიდი)“, **ჭგნჭყ-ნე-ა** (ჩოლ.) „ხმაური (ბავშვებისა)“, **ხლ-ნე-ა** (ჩოლ.) „ხმაური (ხალხისა)“, **ჯგნჯღ-ნე-ა** (ზზ.) „ხმაური (ბავშვებისა)“...). სუფიქსებად, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, გამოყენებულია: **-უნ/-უნ, -გენ/-გენ, -რნ/-ინ** და **-ნე-ე-ა**.

სვანური **-უნ/-უნ** და **-გენ/-გენ** სუფიქსიანი ლექსიკური ერთეულების შესახებ მსჯელობა ამა თუ იმ სახით დასტურდება საენათმეცნიერო ლიტერატურაში (ლ. სანიკიძე, რ. ჭკადუა), **-ინ/-ინ** და **-ნე-ე-ა** სუფიქსიანი ხმაბაძვითი ფორმების შესახებ კი დღემდე არაფერია ნათქვამი.

საინტერესოა, ფონოემანტიკური ლექსიკური ერთეულების აუსლაუტში გამოვლენილი **-უნ/-უნ** და **-გენ/-გენ** წარმოშობით სუფიქსებია თუ უბრალოდ რედუპლიცირებული ფუძის ბოლო სეგმენტები?

იმისათვის, რომ ფონოსემანტიკური ექსპრესიული ფუძეების აუსლაუტში წარმოდგენილი სეგმენტების (-**უნ/-უნ**, -**გნ/-გნ**, -**ინ/-ინ**, -**ეჟ/-ეჟ**) წარმომავლობა გაირკვეს, აუცილებელია ამოსავალი **მარტივი** (ე. წ. **შიშველი**) ფუძეების ჩვენება. ხშირად ამ ფუძეების, ანუ, როგორც არნ. ჩიქობავა უწოდებდა, „პირველადი მასდარების“ გამოვლენა არ ხერხდება, თუმცა ადვილი შესაძლებელია სავარაუდო ფუძეების აღდგენა, რაც მთლიანი ქრონოლოგიური სურათის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

-**უნ/-უნ** და -**გნ/-გნ** სეგმენტის რთული სტრუქტურის ფუძეები (**ჭურჭყუნ** (ბქ.) „მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი“, **ხურჭკუნ** (ბქ.) „ჭამის დროს გამოცემული ხმა“; **ჟგრჟღუნ** (ბქ.) „ჟღარუნი“, **გგრცხუნ** (ბქ.) „დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი“, **კგრჭყუნ** (ბზ., ლშხ.), **კგრჭყუნ** (ბქ., ლნტ.) „ხმაური, ჟრიაშილი, ჭიჭყინი“ და ა. შ.), რომლებიც სავარაუდოდ რედუქციაციის გზით მიღებულად არის მიჩნეული, **სიტყვა-წარმოების დონეზე ფუნქციონირებენ უკვე როგორც დაუშლელი ფუძეები** და შესაბამისად რედუქციაციაც დაჩრდილულია. სტრუქტურული შედგენილობა კი შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

**ბურ+თქუნ, ტყურ+ფუნ, ტგრტ+ყუნ, გგრ+ცხუნ, წურ+წაუნ, კგრ+ჭყუნ, ჯგლ+ჯგუნ** და ა. შ., თუმცა საანალიზო ფუძეების მეორე სეგმენტის აუსლაუტში ბალსზემოურში, ლაშხურსა და ჩოლურულში გამოვლენილი გრძელი ხმოვნები ამგვარ სტრუქტურულ დაყოფას დაბრკოლებას უქმნის.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, უაფიქსო, გაუფორმებელი ძირებიდან (მაგ.: **ბრიგუბრიგ, ბიჩხ, ზიბ, ტურიმ, ღრიჭ, ჩხიკ, ჯიჯგ...**) გაორკეცებით უნდა მიგველო გაორმარცვლიანებული ფუძეები, რომელთაც დაერთო (-**უნ/-უნ**, -**გნ/-გნ**) სუფიქსები. კიდევ ერთი სონანტის დართვას უნდა გამოეწვია რედუქციაცირებული ფუძის მეორე სეგმენტის სონანტის ჩავარდნა, ერთმანეთის მეზობლობაში მოხვედრილი ორი ერთნაირი ხმოვანი კი ერთმანეთს შეერწყა და აღნიშნული ბოლოსართის ხმოვანი დაგრძელდა: **ზიბ** → **\*ზგრ-პგრ** → **\*ზგრ-პგრ-გნ** → **ზგრ-პგუნ** (რ. ჭკადუა). ვფიქრობთ, ეს ვარაუდი აუსლაუტისეული ხმოვნის სიგრძის დადგენის ერთ-ერთი ოპტიმალური საშუალებაა, თუმცა არც სხვაგვარ ინტერპრეტაციას გამოვრიცხავთ.



როგორც საანალიზო ფუძეთა ფონეტიკურმა ტრანსფორმაციამ აჩვენა, **-უნ/-უნ** და **-გნ/-გნ** სუფიქსიანმა ხმაბაძვითმა ლექსიკურმა ერთეულებმა საბოლოო სახის ჩამოყალიბებამდე საკმაოდ გრძელი გზა განვლეს (**ბითქ** → **\*ბირთქ** → **\*ბერთქ** → **\*ბერ+თქერ** → **\*ბერ+თქერ+გნ** → **ბერ+თქ+გნ**; **წყიგ** → **\*წყირგ** → **\*წყერგ** → **\*წყერ+გერ** → **\*წყერ+გერ+გნ** → **წყერ+გ+გნ**; **ხურიმ** → **\*ხრჷიმ** → **\*ხრუმ** → **\*ხურმ** → **\*ხურ+მურ** → **\*ხურ+მურ+უნ** → **ხურ+მ+უნ**; **ჯიჯგ** → **\*ჯილჯგ** → **\*ჯგლჯგ** → **\*ჯგლ+ჯგლ** → **\*ჯგლ+ჯგლ+გნ** → **ჯგლ+ჯგ+გნ** და მისთ.). ჩვენ მიერ წარმოდგენილი რამდენიმე საფეხურიდან ენაში რეალიზდება მხოლოდ ორი ფორმა – ამოსავალი მარტივი ფუძე (**ბითქ, წყიგ, ხურიმ, ჯიჯგ...**) და ამ მარტივი ფუძის გაორკეცებით მიღებული გაორმარცვლიანებული ფორმები (**ბერთქგნ, წყერგგნ, ხურმუნ, ჯგლჯგგნ...**), რომლებიც, მიღებულია სამმარცვლიანი ფუძეებისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (პალატალიზაცია-დეპალატალიზაცია, ბერათა გადასმა, გაჩენა და ა. შ.) გავლით. გაორკეცებულ – **\*ბერთქერ, \*წყერგერ, \*ხურმურ, \*ჯგლჯგლ...** ფუძეებზე -VC სუფიქსის დართვის შედეგად უნდა მიგველო გასამმარცვლიანებული ფუძეები (**\*ბერთქერგნ, \*წყერგერგნ, \*ხურმურუნ, \*ჯგლჯგლგნ...**), რომლებიც ენაში ვერ დამკვიდრდა, სვანური ენის ფონოტაქტიკის წესებიდან გამომდინარე.

საანალიზო ფუძეების სეგმენტაცია და სავარაუდო თავდაპირველი ფუძეების ჩვენება შესაძლებლობას იძლევა გავარკვიოთ, რომ **-უნ/-უნ** და **-გნ/-გნ** საანალიზო ფუძეებში სუფიქსია და არა ძირეული მასალის კუთვნილება. მრავალრიცხოვანი მასალის ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ე. წ. „პირველადი მასდარები“ (**მდრ. ჩხიკ, ბრიგ, ღრიკ, ტურიმ...**) და მარტივი გაორკეცების შედეგად წარმოქმნილი ფუძეებიც (**ჩხიკ-ჩხაკ, ბრიგ-ბრაგ, ღრიკ-ღრაკ, ტურიმ-ტურამ...**), რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე, „პირველად მასდარებად“ მოიხსენიებენ (ფ. ერთელიშვილი), ყოველგვარი მაწარმოებელი აფიქსის გარეშე არიან წარმოდგენილი. ცხადია, ზემოთ დასახელებულ (**-უნ/-უნ** და **-გნ/-გნ** სეგმენტების მქონე) ფორმებში სუფიქსაციასთან გვაქვს საქმე, სუფიქსისეული ხმოვნის სიგრძე კი, როგორც უკვე ითქვა, განაპირობა რედუპლიცირებული ფუძის აუსლაუტისეული თანხმოვნის დაკარგვამ და მორფემათა ზღვარზე ორი იდენტური (**უ + უ, გ + გ**) ხმოვნის შერწყმამ.

ჩვენი დაკვირვებით, **-უნ/-უნ** და **-გნ/-გნ** სუფიქსები გვხვდება ძირითადად ონომატოპოეტურ სიტყვებში, კერძოდ, *მოქმედებისა* და *მდგომარეობის* გამომხატველ, *ხმის* აღმნიშვნელ სახელებში და ა. შ. ამ სახელთა ფუძეები, როგორც სავარაუდო თავდაპირველი ფუძეების ანალიზმა აჩვენა, ნაწარმოებია **o**-ხმოვნისანი ძირებისაგან, ხმოვანთმონაცვლეობის, სუფიქსაციისა და რედუპლიკაციის გზით (შდრ. **ბითქ, ბითქ-ბათქ, ბითქ-ბითქ, ბითქი-ბათქა, ბურთქუნ, ზგრთქენ; კილ, კილ-კილ, კილ-მწ-კილ; ტკიჩ, ტკიჩ-ტკაჩ, ტკიჩ-ტკიჩ, ტკიჩი-ტკაჩა, ტკვრჩენ; ჩხიკ, ჩხიკ-ჩხაკ, ჩხიკ-ჩხიკ, ჩხიკი-ჩხაკა, ჩხვრკენ; ძგუბ, ძგუბ-ძგუბა, ძგუბი-ძგუბა, ძგურბუნ; ხურიმ, ხურიმ-ხურამ, ხურიმ-ხურიმ, ხურმუნ...**).

ვფიქრობთ, **-უნ/-უნ** და **-გნ/-გნ** სუფიქსით ნაწარმოები სახელები შედარებით ახალი წარმოქმნილია სვანურში ამოსავალი მარტივი ფუძეების რედუპლიკაციითა და შემდგომ სუფიქსაციით, რასაც თავდაპირველი შიშველი ფუძეების არსებობაც ადასტურებს.

მოხსენებაში საუბარი იქნება, ასევე, **-ინ/-ინ** და **-ეწ(ა)/-ეწ(ა)** სუფიქსიანი ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეულების შესახებაც.

ნ. ს უ რ მ ა ვ ა (თბილისი)

## **ზოგიერთი ნაწილაკის სემანტიკურ-ფუნქციური დახასიათებისათვის ქართულში**

(აჭარულისა და თურქეთის ქართველთა მეტყველების მონაცემთა მიხედვით)

1. მოცემული დიალექტური ქვესისტემები, რომლებიც დროის საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიულ მონაკვეთზე ქართული ენობრივი სივრცისაგან იზოლაციაში იყვნენ მოქცეული, ყურადსაღებ მასალას გვაწვდიან როგორც კონკრეტული ენობრივი მოვლენების, ისე საერთოქართველური ვითარების საკვლევად.

კვლევის ობიექტია ნაწილაკები: **თუ, ო/პო, და**, რომლებიც საკვლევ მეტყველებაში გამოყენების სიხშირით ხასიათდებიან. მოხსენების მიზანია: იმ სპეციფიკის წარმოჩენა, რაც ამ ნაწილაკების რეალიზებას ახლავს აღნიშნულ ქვესისტემებში, და რაც გასათვალისწინებელია, აღნიშნულ ნაწილაკთა სემანტიკურ-ფუნქციური შესწავლისათვის ქართველურ ენებში; კავშირის ნაწილაკად გარდაქმნის (ტრანსლაციის) საშუალებათა შესახებ არსებული მოსაზრებების კონკრეტულ მასალაზე მორგება.

2. ითვლება, რომ კავშირიდან მომდინარე ნაწილაკებს გადაჰყვებათ პირველადი (შესაბამისი კავშირისთვის დამახასიათებელი) სემანტიკურ-ფუნქციური თვისებები. **თუ** კავშირის ერთ-ერთ ძირითად სემანტიკურ-ფუნქციურ ნიშნად მიჩნეულია *მითითება ორიდან ან რამდენიმედან ერთ-ერთ შესაძლებლობაზე* (ქგლ), რაც კითხვით წინადადებებშიც ვლინდება. **თუ კითხვითი ნაწილაკის** შემთხვევაში, (ჩვეულებრივ მარტივ წინადადებებში), იმის გამო, რომ ალტერნატიული წევრი წარმოდგენილი არ არის, დაპირისპირების ნიუანსი მკრთალდება (ამის დასტურია, ის რომ კითხვაზე პასუხი შესაძლებელია „პო“ და „არა“ ნაწილაკებით), მაგრამ ისევ საგრძნობია.

საკვლევ ქვესისტემებში **თუ** კითხვითი ნაწილაკის სემანტიკური ფუნქციაა ჩაკითხვა – დაკონკრეტება-დაზუსტების ნიუანსით. დამახასიათებელია მისი გამოყენება სასაუბრო სიტუაციებში, საუბრის თემის – წინამავალი გამონათქვამის ან დასმული კითხვის – დამაკონკრეტებელ კითხვებში. მაგალითები: „ღორი ხორცი თქვენ შჭამთა. *ჭამთა თუ?* კად ხორცი ყოფილა.“ „[ამ ნამცხვარს რა ჰქვია?] – სახელი *დავარქვი თუ?* ჩემით გავაკეთე, სახელი კი არ დიმირქმევია, მაგისტვინ.“

**თუ** ნაწილაკი კითხვით წინადადებაში (გამონათქვამში) სიტყვათგანლაგების მხრივ ცვლილებას არ იწვევს. მისი ძირითადი ფუნქცია აქტუალიზაციაა. მაგრამ თავად **თუ** ნაწილაკის პოზიცია მკაცრად განსაზღვრულია (განსხვავებით სალიტერატურო ენისაგან); იგი ყოველთვის მოსდევს და ენკლიტიკად ეკედლება წინადადების წევრს, რომელსაც გამოყოფს. როგორც აქტუალიზატორი იგი ყველაზე ხშირად გამოყოფს ახალი ინფორმაციის მატარებელ პრედიკატს, ანუ მაფოკუსირებელია. შესაძლოა, დაერთოს წინადადების სხვა წევრსაც.

**თუ** კითხვითნაწილაკიანი კონსტრუქციის მიღების გზად მიჩნეულია **თუ** კავშირიანი კონსტრუქციის ელიფსი, ხშირად განმეორებადი მყარი შესიტყვების შეკუმშვა, ცვეთა (ა. დავითიანი, ლ. კვანტალიანი). საკვლევ ქვესიტემებში ასეთ შესიტყვებებად შეიძლება ვივარაუდოთ: **თუ რა არი (რა ალი), თუ რა, თუ არა, თუ რა იქნა...** „აღავ, შეიძლება თუ-მეთქი და რავა გავყიდი ამას მე-მეთქი?!“ [სავარაუდოა ამოსავალ შესიტყვებად: შეიძლება *თუ რა იქნა-მეთქი*].

**2. თუ** კითხვით ნაწილაკს უპირისპირდება **დადასტურებით-ჩა-კითხვითი ნაწილაკი ჰო/ო**. იგი, **თუ** ნაწილაკის მსგავსად, ჩვეულებრივ, ახლავს პრედიკატს (შეიძლება შეგვხვდეს სხვა წევრთანაც), დაისმის წინადადების ბოლოს, პაუზის წინ. კითხვითი ინტონაცია მოდის წინამავალი სიტყვის ბოლო მარცვალზე, რის გამოც ენკლიტიკური პოზიცია იქმნება. მაგალითად: „[რამდენი შვილი გეყოლათ?] – *მეჰო?* დედი (თურქ. შვიდი) მეყოლა.“

კილო-თქმების დონეზე, (ეს მოვლენა განსაკუთრებით ზემოაჭარულის თქმებისთვის არის ნიშანდობლივი), **ჰო** ნაწილაკი გვხვდება მხოლოდ ფონეტიკური ვარიანტის – **ო-ს** სახით, რომელიც შეერწყმის წინამავალ სიტყვას, ჩვეულებრივ ზმნას, და ამგვარად ქმნის ომონიმიას **ო** სხვათა სიტყვის ნაწილაკთან. **ო** კითხვითი ნაწილაკის დიფერენცირება ინტონაციითა და კონტექსტით ხდება შესაძლებელი. კითხვითი ინტონაცია ამ შემთხვევაშიც ნაწილაკის წინა მარცვალზე მოდის (შდრ. ძველი ქართულის **ა** და მეგრულის **ო** კითხვითი ნაწილაკები).

**3. და** ნაწილაკი ძალზე ხშირად გვხვდება სპონტანურ სამეტყველო აქტებში, სასაუბრო სიტუაციებში, მათ შორის დიალოგებში. მისი დანიშნულებაა: ერთი მხრივ, კომუნიკაციური სიტუაციის გააქტიურება, (მონოლოგურ სამეტყველო აქტებში თანამოსაუბრის პასიური ჩართვა), ხოლო მეორე მხრივ, თანამოსაუბრეზე ზემოქმედების მოხდენა – ინფორმაციის ჭეშმარიტების მისგან დამოწმება-თანხმობის მოლოდინით. მაგალითები: „გუშინ ომ ვიყავით, *იქიდანაა* და, ხეიდან.“; „სოკო ვიცით, ვიცით, ხიებზე *გამეძვავს* და.“

**და** ნაწილაკი, ჩვეულებრივ პრედიკატს ეკედლება, მაგრამ მახვილის მატარებელი თავადაა. ეს გვაფიქრებინებს, რომ ის მიღებულია სავარაუდო (ამ დიალექტებისთვის ბუნებრივი) შესიტყვებებიდან: „*და იქნა!*“, „*და იქნება!*“, „*და არი!*“ პრედიკატების ელიფტირების, ცვეთის

გზით; ელიფტირებული პრედიკატიდან ემოციური მახვილი წინამავალ და კავშირზე უნდა იყოს გადმოსული.

**და** ნაწილაკის წინამავალ პრედიკატთან შერწყმის გამო გრამატიკული ომონიმია იქმნება კავშირებითის **და** (<უნდა) ნაწილაკთან, დიფერენცირება შესაძლებელი ხდება ინტონაციისა და კონტექსტის მეშვეობით, აგრეთვე, სტრუქტურულად – ზმნის მწკრივის მიხედვით ტექსტში.

4. სამივე ნაწილაკის – თუ, ჰო/ო, და – ფუნქციონირების „ასპარეზი“ დისკურსია, უშუალო საკომუნიკაციო სიტუაციები, სპონტანური სამეტყველო აქტები, დიალოგები, რაც სპეციალურ განსახილველ მასალას მოითხოვს. მათზე დაკვირვებისათვის გამოვიყენეთ აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, ძირითადად ჩვენივე შესრულებული, რომელთა ადეკვატური ტექსტური ვერსიები შეტანილია ქართულ დიალექტურ კორპუსში.

მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

### **გვარის მიხედვით გაუდიფერენცირებული ფუძეებისათვის ქართველურ ენებში**

ერგატიული წყობის ენებში გარდამავალი ზმნის ფუძის ერთ-ერთი მახასიათებელი გვარების მიხედვით გაუდიფერენცირებლობაა. ეს ფაქტი საფუძვლად დაედო გარდამავალი ზმნის ნეიტრალურობის თეორიას (ჰ. შუხარდტი...), გარდამავალი ზმნის ფუძის ნეიტრალურობა რეალიზებულია გარდამავალი ზმნის P-ისა და გარდაუვალი ზმნის S-ის მსგავსი, და გარდამავალი ზმნის A-ის განსხვავებული მარკირებით ზმნებში (პირი, რიცხვი, კლასი) თუ ზმნასთან შეწყობილ სახელებში (ბრუნვა), ან სახელებშიც და ზმნებშიც.

ქართული (ქართველური) ზმნის უღვლილების სისტემაში დრო-კილოთა სამი ჯგუფი (სერია) გამოიყოფა სათანადო მწკრივებით: 1. აწმყოს

სერია, 2. აორისტის სერია და 3. პერფექტის სერია. გარდამავალი ზმნა ამ ჯგუფებში არაერთგვაროვან კონსტრუქციებს ქმნის, ნ ო მ ი ნ ა ტ ი - უ რ ს – ა წ მ ყ ო ს ჯგუფში, ერგატიულს – აორისტში და და-ტიურს – პერფექტის ჯგუფში. გარდაუვალ ზმნებს სამსავე სერიაში ნომინატიური კონსტრუქცია აქვთ (გარდაუვალ ზმნათა ერთ ჯგუფს დატიური კონსტრუქცია უდასტურდება აწმყოს სერიაში); მეგრულისა და ქანურის განსხვავებული ვითარება მეორეულია (არნ. ჩიქობავა).

ახალ ქართულში გვარის კატეგორია ზმნაში გარჩეულია, თუმცა ეს გარჩევა თანმიმდევრულად არაა გატარებული; აწმყოს ჯგუფებში განსხვავება აქტივისა და პასივის (ი ნ ი ა ნ ი პასივის) ფორმებს შორის გაცილებით მეტია, აორისტის ჯგუფებში – ნაკლები; გარდამავალი ზმნის სასუბიექტო ქცევისა და ინიანი პასივების აორისტის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, აქტივისა და პასივს მხოლოდ სინტაქსი განარჩევს; ძველ ქართულში გვარის კატეგორიის გაურჩევლობა უფრო თვალსაჩინოა.

ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების მიმართება ფორმაწარმოქმნის თვალსაზრისით ერგატიული კონსტრუქციის პირველადობას ადასტურებს, ნომინატიური კონსტრუქცია გარდამავალ ზმნათათვის მეორეული ჩანს. გარდამავალ ზმნათა ნომინატიური კონსტრუქციის ჩამოყალიბება ზმნაში ამოსავალი ასპექტური უღვლილეების ტემპორალურ უღვლილებად გარდაქმნას უკავშირდება: ასპექტური უღვლილების პერიოდში გარდამავალ ზმნას მხოლოდ ერგატიული კონსტრუქცია ჰქონდა სათანადო მომენტური და დიურატიული ნაკვეთებით, გარდაუვალ ზმნას მხოლოდ – ნომინატიური. დიურატიული ასპექტის გარდამავალმა და გარდაუვალმა ზმნებმა ტემპორალურ უღვლილებად გარდაქმნის პროცესში ბუნებრივად შეითავსეს აწმყოს ფუნქცია. ამ პროცესის შედეგია დღემდე ერგატიული კონსტრუქციით აწმყოში შემონახული ტიპობრივი ხოლმეობითები: ი ც - ი - ს, უ წ ყ - ი - ს (მან იგი) (არნ. ჩიქობავა).

გარდამავალი ზმნის ერგატიულსუბიექტიანი ხოლმეობითის ფორმების ნომინატიურ კონსტრუქციად რეინტერპრეტაციასთან მიმართულია არა მარტო ძველი ქართული ენის ზმნის ადრეული ასპექტური უღვლილების ტემპორალურ უღვლილებად ჩამოყალიბების პროცესი, არამედ გარდამავალი ზმნის გვარის მიხედვით გაუდიფერენცირებული (ნეიტრალური) ფუძეების (შდრ., ძვ. ქართ. და - ი - მ ა რ ხ - ა

მან იგი – და - ი - მ ა რ ხ - ა იგი, შ ე - ი - მ ო ს - ა მან იგი – შ ე - ი - მ ო ს - ა იგი და მისთ.) აქტიურ და პასიურ ზმნებად მარკირება (თემის ნიშნების დართვით, სუბიექტისა და, რაც უფრო არსებითია, პირდაპირი ობიექტის ბრუნვათა შეცვლით: და - ი - მ ა რ ხ - ა ვ - ს იგი მას – და - ი - მ ა რ ხ ვ - ი - ს / და - ი - მ ა რ ხ - ე ბ - ი - ს იგი...).

სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის მიცემით ბრუნვად მოქცევით, ასევე, სუბიექტის ერგატიულ ბრუნვის სახელობითად შეცვლით აწმყოს ჯგუფის დროებში იშლება ერგატიულობის მორფოლოგიური მახასიათებელი, რომელიც გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტს ერთი – სახელობითი ბრუნვით წარმოგვიდგენს და განასხვავებს გარდამავალი ზმნის ერგატიული ბრუნვისაგან.

გვარის კატეგორიის მიხედვით გაუდიფერენცირებული ფორმები (სათავისო ქცევისა და ინიანი ვნებითებისა) დასტურდება სვანურშიც, მაგრამ არა აორისტის ჯგუფში, არამედ აწმყოში, აწმყოსეული სინტაქსური კონსტრუქციით. ვიმოწმებთ ბალსზემოური კილოს ფორმებს: ი - რ დ - ი „იზრდის“ – ი - რ დ - ი „იზრდება, ი - ს ყ - ი „იკეთებს“ – ი - ს ყ - ი „კეთდება“, ი - ლ უ რ ე უ - ი „იტყუებს“ – ი - ლ უ რ ე უ - ი „ტყუდება“, ი - შ ხ ბ - ი „იკერავს“ – ი - შ ხ ბ - ი „იკერება“, ი - შ ხ - ი „იწვავს“, ი - შ ხ - ი „იწვის, იწვება“, ი - ც ო რ - ი „ფცქვნის“ – ი - ც ო რ - ი „იფცქვნება“ და სხვა (სვანური ლექსიკონი, 2000).

სვანურის -ი სუფიქსიან მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოსეულ ფორმებში შენარჩუნებულია არა მარტო „გააწმყოებული ხოლმეობითის“ ისტორიული -ი სუფიქსი (არნ. ჩიქობავა), არამედ გარდამავალ ერგატიულ ზმნათათვის ნიშანდობლივი გვარის ფორმათა გაუდიფერენცირებლობის ფაქტიც.

თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი (თბილისი)

## **ადიექტიური ტრანსპოზიციის ქონების სახელთა მაწარმოებლებით**

წარმოებულ ლექსიკურ ერთეულებს შორის ქონების სახელები ერთ-ერთ საკმაოდ დიდ და მრავალფეროვან ჯგუფს ქმნის ქართულ ენაში. მათ მაწარმოებლებად სამეცნიერო ლიტერატურაში სახელდება შემდეგი აფიქსები: **-ა**, **-ედ**, **-იან**, **-იერ**, **-ოვან** და **-ოსან**. ეს სართები ერთმანეთისგან განსხვავდება არა მარტო პროდუქტიულობით სხვადასხვა სფეროს ლექსიკის შექმნისას, არამედ ერთი და იმავე სიტყვისგან სემანტიკურად განსხვავებული ნიუანსის ერთეულების წარმოების უნართაგ. შდრ., ხავერდ-**ოვან**-ი და ხავერდ-**იან**-ი, ჩოხ-**იან**-ი და ჩოხ-**ოსან**-ი, მუცლ-**იან**-ი და მუცელ-**ა** და სხვ. ზემოთ ჩამოთვლილი აფიქსები დაერთვიან როგორც მარტივ (ქუდ-**იან**-ი), ისე უკვე წარმოქმნილ (ცვილ-**იან**-ა) თუ თხზულ (ენამზ-**იან**-ი) ფუძეებს და საინტერესო სურათს გვიჩვენებენ სიტყვათა ტრანსპოზიციის თვალსაზრისით. ჩვენი კვლევის სფეროში ამ ეტაპზე შემოდის ქონების სახელთა მაწარმოებლების მაადიექტივებელი უნარი.

ადიექტივაციად განვიხილავთ ტრანსპოზიციის ისეთ შემთხვევას, როდესაც თავდაპირველად არაადიექტივი სიტყვა სხვადასხვა საშუალების გამოყენებით იძენს სხვა სახელის ნიშან-თვისების გამოხატვის უნარს, აღიჭურვება ადიექტივის ძირითადი ფუნქციებით და ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას სხვა, საზღვრული სახელის ბრუნვასთან მიმართებით გვიჩვენებს.

ქონების სახელთა სართები დაერთვის მარტივ ფუძეს და ადიექტივებს აწარმოებს:

**არსებითი სახელისგან** (ბუსუს-**ა**, ბან-**იან**-ი, ნიჭ-**იერ**-ი, კლდ-**ოვან**-ი);

**რიცხვითი სახელისგან** (ერთ-**ა**, ათას-**იან**-ი);

**ნაცვალსახელისგან** (შენ-**იან**-ი, ჩვენ-**იან**-ი);

**მიმღებობისგან** (ასაწველ-**ა**, შემოსავლ-**იან**-ი);

**საწყისისგან** (ტკაცუნ-**ა**, ბრჭყვიალ-**ა**, დამწერლობ-**იან**-ი, წაგებ-**იან**-ი).



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქონების სახელთა მაწარმოებლები ასევე შეიძლება დაერთოს უკვე წარმოებულ, რთულ სიტყვას. სიტყვაწარმოებითი სხვა აფიქსით უკვე ნაწარმოებ ფუძეს ზემოჩამოთვლილი სა-რთებიდან ძირითადად დაერთვის -ა, თუმცა ასეთ შემთხვევაში უფრო სუბსტანტიური გაგების ერთეულებს ვიღებთ. რაც შეეხება რთულ სახელებს, ქონების სახელთა მაწარმოებლები დაერთვის შემდეგი შემდგენილობის ფუძეებს და ერთ ერთეულად კრავს:

**არსებითი სახელი – არსებითი სახელი** (ა. ფუძის სახითაა პირველი კომპონენტი: ბალახმაყვალ-ა, კუდბაწარ-ა, ძალგულ-იან-ი, გულჯავრ-იან-ი, ენაფხ-იან-ი; ბ. ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა პირველი კომპონენტი: ლომისკბილ-ა, ჭინჭრიფოთოლ-ა, ვაზისტან-ა, ცხენისძალ-იან-ი);

**ზედსართავი სახელი – ზედსართავი სახელი** (ავკარგ-იან-ი, თეთრწითელ-ა);

**რიცხვითი სახელი – რიცხვითი სახელი** (მრავალათას-იან-ი);

**საწყისი-საწყისი** (ციებცხელებ-იან-ი, წერაკითხვ-იან-ი);

**არსებითი სახელი – ზედსართავი სახელი** (ფესვმაგარ-ა, თავთეთრ-ა);

**ზედსართავი სახელი – არსებითი სახელი** (დიდმუცელ-ა, დიდძალ-იან-ი, თეთრტარ-ა, ლურჯკაბ-იან-ი, დაბალხარისხ-ოვან-ი);

**მიმღეობა – არსებითი სახელი** (ჩაზნექილზურგ-იან-ი);

**რიცხვითი სახელი – არსებითი სახელი** (ასწლ-ოვან-ი, ექვსკბილ-ა, მრავალადგილ-იან-ი, მეორეხარისხ-ოვან-ი, ერთსახ-ოვან-ი);

**ნაცვალსახელი – არსებითი სახელი** (ამქვეყნ-იერ-ი);

**არსებითი სახელი – საწყისი** (ენატანტალ-ა, თავცანცარ-ა, ენაჭიკჭიკ-ა).

თუ მარტივ ფუძეზე ქონების სახელთა აფიქსების დართვისას იოლი იყო ადიექტიური ტრანსპოზიციისთვის თვალის მიდევნება, თხზულ ფუძეზე ამგვარ მაწარმოებელთა დართვის შემთხვევები ამ თვალსაზრისით მარტივად არ კვალიფიცირდება, განსაკუთრებით ის რთული სიტყვები, რომელთა შემადგენელი კომპონენტები არაა ერთი და იმავე რაგვარობისა. მართალია, ქონების სახელთა მაწარმოებლების დართვით ამ შემთხვევაშიც ძირითადად ადიექტიური შინაარსის ერთეულები მიიღება (გამონაკლისს ქმნის, მაგ., ბოტანიკური ტერმინები), მაგრამ ტრანსპოზიციის თვალსაზრისით პროცესი განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ამგვარ ლექსიკურ ერთეულთა კვალიფიცირება სიტყვათა კლასებში მათ განსათავსებლად ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა ენის კომპიუტერული დამუშავების დროს.

თ. უთურგაიძე (თბილისი)

## **ძირისა და ფუძის მიმართებისათვის**

ძირი სემანტიკურად მონათესავე სიტყვათა საერთო ნაწილია. ძირის მნიშვნელობის დადგენა ხშირად მხოლოდ რანგობრივ სისტემაში ჩართულ სხვა ელემენტებთან კავშირით ხდება შესაძლებელი, მაგალითად, რომელიმე **გ** ძირის ენობრივ ნიშნად გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ სხვა ელემენტებთან კავშირით: ა-**გ**-ებ-ს და ე-**გ**-ე ფორმებში იგი ორი განსხვავებული მნიშვნელობის ძირია. ამათგან თითოეულის მნიშვნელობა საცნაური ხდება მხოლოდ რანგთა სისტემაში.

ძირეული ელემენტები ძირითადად გამართული ნიშნებია – ისინი დამოუკიდებლადაც საცნობია გამოხატულების პლანითაც და შინაარსის პლანითაც: **კაც**-ები, სა-**კაც**-ე, **კაც**-ური ...**კონსტიტუცია**, **კონსტიტუცი**-ური.

ძირთა განვრცობით მიიღება ორი სახეობის ფუძე: ფლექსიურად გავრცობილი და დერივაციულად გავრცობილი ფუძეები.

ფლექსიურად გავრცობილ ფორმებს, როგორც სახელიდანაც ჩანს, შინაარსის პლანი არ ეცვლება. ასეთია, მაგალითად, ერთი პარადიგმის ზმნური ფორმები, როგორიცაა: აცხადებ-ს, აცხადებ-ა, გამოაცხად-ა.

რადგან გრამატიკული კატეგორიები ზმნას სემანტიკურად ვერ ცვლიან, პარადიგმების გაზრდა შესაძლებელია კატეგორიათა დამატებით ან ჩანაცვლებით ზმნათა ფორმებში, მაგ.: აცხადებ-ს, ცხადებ-ა, აცხადებინებ-ს.

დერივაციულად გავრცობილ ფორმებს ძირი კი აქვთ საერთო, მაგრამ ეცვლებათ დენოტატი განსხვავებული დერივაციული ელემენტების დამატებითა და ჩანაცვლებით; მაგ.: **კაც**-ი, **კაცურ**-ი, **უკაცურ**-ი, **საკაცე** და სხვ. ყოველი ახალი ფუძე ახალ ნიშანს ქმნის.

ფლექსიურად განვრცობილი ფორმების სრულ პარადიგმაში კატეგორიათა მიხედვით გამოიყოფა მიკროპარადიგმების ჯგუფები მწკრივთა მიხედვით, გვარის მიხედვით, ქცევის მიხედვით და სხვ.

სრული პარადიგმების შესაქმნელად საჭიროა მიკროპარადიგმათაშორისი ტრანსლირების წესების ჩამოყალიბება საერთო სემანტიკის ბაზაზე.

ძირთა ფლექსიური განვრცობით იქმნება ახალ-ახალი ფუძეები, რომლებიც ერთიმეორისგან განსხვავდებიან გრამატიკულად, საერთო ძირი კი მათ ერთი ნიშნის ვარიანტებად წარმოგვიდგენს.

ზმნურ ფუძეთა შექმნაში მონაწილეობენ ჩანაცვლებადი კატეგორიები(დრო, კილო, გვარი, ქცევა...), ფუძეში არ შედის პირისა და რიცხვის ნიშნები, რადგან ისინი არ არიან ჩანაცვლებადი – ერთი საერთო სახით შედიან ყველა ზმნური ფორმის შემადგენლობაში, მაშასადამე, ნებისმიერი ზმნური ფორმიდან პირისა და რიცხვის ნიშანთა გამოკლებით მივიღებთ ამა თუ იმ ზმნური ფორმის ფუძეს: ა ც ხ ა დ ე ბ -ს, ც ხ ა დ დ ე ბ -ა, ა ც ხ ა დ ე ბ ი ნ ე ბ -ს, ა ც ხ ა დ ე ბ - ე ნ და სხვ.

რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე (თბილისი)

## **ოცეულების აღმნიშვნელი ორფუძიანი რიცხვითი სახელები ნახურ ენებში**

1. ნახურ ენათა რიცხვითი სახელის მორფოლოგია, მეტყველების სხვა ნაწილებთან შედარებით, თითქოს კარგად არის შესწავლილი. რიცხვით სახელებთან დაკავშირებული საკითხები განხილულია ა. შიფნერის, პ. უსლარის, ზ. მალსაგოვის, ი. ჯავახიშვილის, ნ. იაკოვლევის, ი. დეშერიევის, კ. ჩოქაევის, ა. თიმაევის, თ. ვაგაპოვას, ა. ხალიდოვისა და სხვათა ნაშრომებში. მიუხედავად ამისა, აღდგენილი არ არის ზოგი რიცხვითი სახელის სავარაუდო ფორმა ფუძენახურ ენაში. ოცეულების აღმნიშვნელ რიცხვით სახელთა ანალიზი, ჩვენი აზრით, მათში შემავალი რამდენიმე მარტივი რიცხვითი სახელის ამოსავალი ვითარების დადგენის საშუალებას იძლევა.

2. თვლის სისტემა ნახურ ენებში, როგორც ქართულში, ოცობითია. ოცის აღმნიშვნელია **ტყა** (ტყო, ტყუო – დიალ. ვარიანტები) ჩეჩნურსა და ბაცბურში, **ტყო** – ინგუშურში. ამ სიტყვის ეტიმოლოგიის

ცდების არსებობის მიუხედავად, ნახურ ენათმეცნიერებაში იგი მიჩნეულია მარტივ რიცხვით სახელად.

მომდევნო ოცეულებს აღნიშნავენ:

ჩეჩნურში: შოჟტყა (40), ჯოჟტყა (60), დ-მეჟტყა (80), [ბ'დე (100)-სხვა ფუძეა, მარტივი, ოცეულებს არ გამოხატავს];

ინგუშურში: შოჟტყა (40), ჯოჟტყა (60), დ-მეჟტყა (80), [ბ'წ (100) – ასევე სხვა ფუძეა, როგორც ჩეჩნურში];

ბაცბურში: შაჟტყ (40), ჯოჟტყ (60), დ-ეჟტყ (80), ფხაჟტყ (100); ი. დემერიევს ჩამოთვლილ ბაცბურ სიტყვათა აუსლაუტში ყველგან ა ხმოვანი აქვს დაფიქსირებული.

ნათელია, რომ რიცხვით სახელში „ასი“ ოცის აღმნიშვნელი ტყა მხოლოდ ბაცბურშია წარმოდგენილი, ე. ი. ამ სიტყვაში [ფხაჟტყ (100)] მხოლოდ ბაცბურში არის შემონახული ოცობითი თვლის ძველი სისტემა.

„ორმოცის“, „სამოცის“ და „ოთხმოცის“ აღმნიშვნელ ნახურ სიტყვებში სიძნელეს არ წარმოადგენს „ორის“ (შოჟ/შაჟ), „სამის“ (ჯოჟ/ჯოჟ/ჯოჟ), „ოთხის“ (დ-მე/დ-ეჟ), და „ხუთის“ (ფხაჟ) დაკავშირება შესაბამის მარტივ რიცხვით სახელებთან, როგორცაა: ჩეჩნურ-ინგუშური ში, ბაცბურ ში „ორი“, ჩეჩნურ-ინგუშური ჯოჟ, ბაცბური ჯო „სამი“, ჩეჩნურ-ინგუშური დ-ი, ბაცბური დ-იჟ „ოთხი“ და ჩეჩნურ-ინგუშური ფხი, ბაცბური ფხი „ხუთი“. სპეციალურ ლიტერატურაში დავას არ იწვევს მათი ერთმანეთთან დაკავშირება, საკამათო არც ზ ბგერის საკითხია – იგი ჯერობის გამომხატველი აფიქსია. საკამათოა მარტივ ფუძეთა აუსლაუტისეული თანხმომცნის (ვ/ჟ/უ < ჟ-საგან) კვალიფიკაციის საკითხი, რომელსაც ზოგი მკვლევარი ზ-სთან ერთად ჯერობის აფიქსის შემადგენლობაში განიხილავს (-ვზ-) (ავტორთა კოლექტივის „თანამ. ინგუშ. ენის გრამატიკა. მორფოლოგია“. ნალჩიკი, 2012, გვ. 129).

3. დასახელებული მარტივი რიცხვითი სახელების შედარება იმ ფორმებთან, რომლებიც ოცეულების გამომხატველ რიცხვით სახელებშია, მარტივთა არქექტიპების აღდგენის საშუალებას გვაძლევს. ასე რომ:

ში < \*შაჟ

ჯოჟ < \*ჯაჟ

დ-ი < \*დ-ეჟ < \*დ-აჟ

ფხი < \*ფხაჟ

შენიშვნა: დ-ი („ოთხი“) ფუძეში დ- არის ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანი, რომლის მომდევნოდ ბაცბურში ფარინგალური სპირანტი ‘ განვითარებულია. გარდა ამისა, ამავე სიტყვაში ბაცბურში შემონახულია ლარინგალი’ (დ-‘ივ’), რომელიც მარტივ ჟ-ზე დაბოლოებულ (საანალიზო) მარტივ ფუძეებში აღნიშნულ ენაში დაკარგულია (შეადარეთ ზემოთ დასახელებული ჩეჩნურ-ინგუშური ში, ჯუო, ფხი).

მამასადამე, ოცეულების გამომხატველი რიცხვითი სახელები ნახურ ენებში ორი სხვადასხვა ფუძის შეერთებით შედგენილ კომპოზიტებს წარმოადგენენ. ამ კომპოზიტებში დადასტურებული პირველი ფუძეების ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე ნახურ ენებში „ორის“, „სამის“, „ოთხის“ და „ხუთის“ შესატყვისი ფორმები მეორეულია.

ლ. ფ ა ჩ უ ლ ი ა (თბილისი)

### **„კაცის“ აღმნიშვნელი ლექსემის სემანტიკური სტრუქტურისათვის ზანურში**

ზანურში „კაცის“ აღმნიშვნელი ლექსემაა „კოჩი“, რომელშიც შესაბამისი ქართული სიტყვის კანონზომიერი ბგერათმესატყვისობები ფიქსირდება და ავლენს მასთან სრულ სემანტიკურ იდენტურობას, რაც ქართულისა და ზანურის ახლო ნათესაური კავშირების კიდევ ერთი ღირსსაცნობი მაგალითია.

ზანური **კოჩი**-ს ძირითადი დენოტაციური მნიშვნელობებია „კაცი“, „ადამიანი“; იგი ორი სემანტიკური იპოსტასითაა წარმოდგენილი – „მამრი“ და „მდედრი“, რომლებიც თანაზომიერად თანაარსებობენ „კაცის“ ზოგადი მნიშვნელობით, თუმცა უპირატესი, დომინანტური მდგომარეობა უკავია „მამაკაცს“.

ამა თუ იმ სქესისადმი მიკუთვნებულობის წარმოსაჩენად ქართულის მსგავსად (ხახიაშვილი 2009) ზანურში პოვნეირია თხზული სახელები: **ქომოლკოჩი** „მამაკაცი, მამრი, ვაჟკაცი“ (ა. ქობალია) და **ოსურკოჩი** „დედაკაცი, დიაცი“ (იქვე: 546).

„კოჩის“ სხვა კონოტაციური მნიშვნელობებია: „ქმარი“, „მსახური“ (ზ. კიკვიძე, ლ. ფაჩულია): **ჩქიმი კოჩი** „ჩემი ქმარი“ (ზედმიწ. „ჩემი კაცი“ ქალის მეტყველებაში), **დადიაშ კოჩი** „დადიანის მსახური, ქვეშევრდომი“ (ზედმიწ. „დადიანის კაცი“).

„კოჩი“ ზანურში, ისევე როგორც „კაცი“ ქართულში, დასტურდება შორისდებულის ფუნქციით: **სი კოჩი // კოჩ, მუს მეჩიებუქ** „შე კაცო, რას მეუბნები“. ეს უკანასკნელი საინტერესოა „კოჩ“- სახელური ფუძის მიმართვის ფორმით გამოყენებისა და აღნიშვნის თვალსაზრისით. კერძოდ, „კოჩი“ ვოკატივის ფუნქციით ნაკლებ სავარაუდოა. ზანურისათვის, როგორც წესი, ჩვეულებრივია „კოჩ“- სახელური ფუძის გამოყენება მიმართვის ფორმით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი შორისდებულის სემანტიკის მატარებელია და ახლავს ნაცვალსახელი **სი** „შენ“. ამ შემთხვევაში მიმართვის ფორმის ხმარება თანაზომიერია მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენლისათვის, ე. ი. აღნიშნული ფორმა ერთნაირად გამოიყენება როგორც მამაკაცის, ისე ქალის მეტყველებაში. ამ მხრივ, ზანური მისდევს ქართულს.

ამრიგად, **კოჩ**- სახელური ფუძის გამოყენებისას ერთმანთისაგან უნდა გაიმიჯნოს მიმართვისა და რეფერენციის ფორმები, რადგან ამ შემთხვევაში მათი ფუნქციონირების წესები განსხვავებულია.

ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა (თბილისი)

## **ბგერათშეერთების წესები და აფხაზურ-აბაზურ ძირ-ფუძეთა სტრუქტურა**

ამა თუ იმ ენის ფონემატური სტრუქტურის სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებელია ამ ენის ფონემათა სინტაგმატური ანალიზი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დადგინდეს ბგერათშეერთების წესები და გაირკვეს, როგორ ხდება ამ წესების ასახვა ფონეტიკურ პროცესებში.

აფხაზურსა და აბაზურში მთელი რიგი ფონეტიკური ცვლილებები ხდება მახვილის მოქმედების შედეგად, რაც იწვევს ხმოვნის რედუქციას, შესაბამისად, თანხმოვანთა შეჯრას (ქ. ლომთათიძე).

თანხმოვანკომპლექსთა დაძლევის სხვადასხვა გზა სახელდება სამეცნიერო ლიტერატურაში: თანხმოვანკომპლექსი მარტივდება ან თანხმოვანთა შორის თავს იჩენს **გ** ხმოვანი, ჩვეულებრივ, ორი თანხმოვნის შემდეგ მესამის ზღვარზე (მახვილიანი ხმოვნიდან გადათვლით წინ ან უკან) (ქ. ლომთათიძე), მაგრამ ხშირია ამ კანონის დარღვევის შემთხვევები.

„ორი თანხმოვნის კანონის“ დარღვევის მიზეზად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია აფხაზური ენის ფონოტაქტიკის წესებზე ქართველური სუბსტრატის ზეგავლენა (თ. გვანცელაძე, თ. კიპაროიძე, ჯ. ციმიტია).

ამ თვალსაზრისს რომ დავეთანხმით და აფხაზურის ორზე მეტი წევრისაგან შემდგარი კომპლექსები ქართველური სუბსტრატის გავლენას მივაწეროთ, აბაზურის ვითარება აუხსნელი დარჩება, რადგან თანხმოვანთა შეჯრა ისევე დამახასიათებელია აბაზურისათვის (შდრ. აბაზ. **აქჩჩა** „თუხთუხი“, **აწარფხხა** „მოწესრიგებული“, **ბგზწყაჭჭ** 1. „ენის მიმტანი“. 2. „ჭორიკანა“) 1. „ენის მიმტანი“. 2. „ჭორიკანა“), როგორც აფხაზურისათვის, არადა აბაზურზე ქართველური სუბსტრატის ზეგავლენას ვერ ვივარაუდებთ.

ჩვენი აზრით, თანხმოვანთა შეჯრის სუპერაცია ხდება არა იმიტომ, რომ აფხაზური და აბაზური გაურბის ორზე მეტწევრა მიმდევრობების შექმნას, არამედ იმიტომ, რომ დაიდლოს ამ ენათათვის ფონოტაქტიკურად შეუთავსებელი ბგერათკომპლექსები. სუპერაციისას განმსაზღვრელი ჩანს არა კომპლექსში წევრების რაოდენობა, არამედ ამ ენათა ბგერათშეერთების წესების დაცვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფონეტიკური პროცესების შედეგად შეცვლილია ძირთა და აფიქსთა სტრუქტურა:

CC < CVC: ა-ლა-რ-ყ-დ-რა „კრეჭა (თმის...)“ (შდრ. ა-რ-ყ-დ-რ-ა „id“).

CC < CCV: მრ-ხა-რა „გამლიერება“ (შდრ. მრგ „ძალა, ღონე“).

CVC < CVCV: ა-წ-გწ-რ-ა „დამჟავება“ (შდრ. ა-წ-გწ-გ „მჟავე“).

CVCC < CVCCV: ა-ყაფმ-ხა-რა „გაწითლება“ (შდრ. ყაფმგ „წითელი“).

V-CC < CV-CC: აფხ. -ო-მტ < უა-მტ: ი-ზ-ბ-ო-მტ < ი-ზ-ბა-უა-მტ „ვხედავ“.

V < CV-C: აბაზ. -უ < უგ < უა-ნ: დ-ც-უ-ნ < დ-ც-უგ-ნ < დ-ცა-უა-ნ „ის მიდიოდა“.

აფხაზურსა და აბაზურს, გარდა რედუქციისა, ახასიათებს ისეთი ფონეტიკური პროცესები, როგორცაა ასიმილაცია, დისიმილაცია, დელაბიალიზაცია, ბგერათა დაკარგვა, მეტათეზისი. მათ შესახებაც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში. მოხსენებაში ვეცდებით ეს პროცესები ვრცლად განვიხილოთ.

ბგერათშეერთების წესები საინტერესოდ ვლინდება ნასესხობათა ადაპტაციის დროს. სესხებისას ენა თავის ფონოტაქტიკურ მოდელს უქვემდებარებს უცხო ენიდან შეთვისებულ ლექსიკას. საყურადღებოა, რომ გამსესხებელ ენაში შეიძლება არ იყოს თანხმომავანკომპლექსი, მაგრამ თუ ბგერათა დასაშვები მიმდევრობა იქმნება, მსესხებელ ენაში მოსალოდნელია ბგერათკომპლექსის მიღება (შდრ. აბაზ. საჟუნა „საჟენი“ < რუს. сажень; აფხაზ. ა-მჟაჟ „ქორწინება“ < თურქ.).

ნ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე (თბილისი)

## **მეგრული R-Th.s.-დ-უ-(უ)ნ სტრუქტურის ერთპირიან ზმნათა ფუძის აგებულებისათვის**

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მეგრული R-Th.s.-დ-უ-(უ)ნ სტრუქტურის ზმნები -დ სუფიქსიანი (ე. წ. „დონიანი“) ვნებითი გვარის ზმნებად არის კვალიფიცირებული.

ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ განვიხილავთ R-Th.s.-დ-უ-(უ)ნ სტრუქტურის ერთპირიან ზმნებს დიათეზათა მორფო-სინტაქსური კლასიფიკაციის მიხედვით: R-Th.s.-დ-უ(უ)ნ სტრუქტურის ზმნები მეორე დიათეზის ავტოაქტიური ზმნებია. მათი მორფოლოგიური სტრუქტურა მეგრულში მუდმივად დაკავშირებულია შემდეგ სინტაქსურ კონსტრუქციასთან – **nom-erg-nom-nom**, რაც ასე განიმარტება: **I სერიაში** ამ ზმნათა კონსტრუქცია ნომინატიურია (მაგ., **ზიპონდუუნ**)



**თინა<sub>nom</sub>** „მსხვილდება, სუქდება ის“ **II სერიაში** – ერგატიული (**გოზი-პონდუ თიქ<sub>erg</sub>** „გასუქდა მან“), **III სერიაში**, საერთო წესისამებრ – ნომინტიური (მაგ., **გოზიპინაფელ/რქ(ნ) თინა<sub>nom</sub>** „გასუქებულა ის“,) და მეგრულისთვის სპეციფიკურ **IV სერიაში** – ნომინტიური (მაგ., **გონოზი-პინაფუე(ნ) თინა<sub>nom</sub>** „გასუქდებოდა თურმე ის“).

გვარის სემანტიკური კატეგორიის ფარგლებში **nom-erg-nom-nom კონსტრუქციისა და R-Th.s.-დ-უ(უ)ნ სტრუქტურის** ერთპირიანი ზმნე-ბი აგტაქტივებად უნდა იქნას კვალიფიცირებული, რადგან მათი სუ-ბიექტი თვითმოქმედია, მოქმედება – ინტროვერტიზებული; მაგ.: **გო-ზურ-დ-უ-უ(ნ)** „გაზარმაცდება, შეშინდება, გალაჩრდება(თვითონ)“...

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრის მიხედვით მეგრული **R-Th.s.-დ-უ(უ)ნ** სტრუქტურის ზმნები არაპრო-დუქტიული და მეორეულია.

ჩვენ მიერ მოპოვებულმა ტექსტებმა და ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქარ-თულ ლექსიკონში“ წარმოდგენილმა ჩვენთვის საინტერესო ფორმებმა სხვაგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა მოგვცა; კერძოდ, ემპი-რიულმა მასალამ გვიჩვენა, რომ, დღეისათვის, საკმაოდ პროდუქტიუ-ლია ერთპირიანი **R-Th.s.-დ-უ(უ)ნ** ზმნური სტრუქტურა მეგრულში; ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე **329 -დ სუფიქსიანი** ერთპირიანი ზმნური ფორმა გვაქვს მოძიებული, რომელთა უმრავლესობასაც ზუსტი შესა-ტყვისები არ ეძებნება სალიტერატურო ქართულში; უმრავლესობას **R-th.s.-დ-უ(უ)ნ** სტრუქტურის ზმნები ქმნის, ძალზე მცირე რაოდენობით შეგვხვდა ამავე სტრუქტურის -ი ხმოვანპრეფიქსიანი ვარიანტებიც; მაგ., **თირსონდუ(უ) (ნ) „ივსება; სუქდება“**, **მონჭინდუ(უ) (ნ) „მწიფდება“**, **პიხვონდუ(უ) (ნ) „პუტკუნა, ბუთხუზახდება“**, **რისონდუ(უ) (ნ) „სივდება“**, **„წყიწყონდუ(უ) (ნ) „ლიპდება“**, **ჭვიჭვიონდუ(უ) (ნ) „ლაჟლაჟდება“**, **ზიკონ-დუ(უ) (ნ) „კვდება“**, **ემგვირონდუ(უ) (ნ) „სირცხვილის გამო აილეწება; აი-ბუზება“**, **ეცქვიცქვიონდუ(უ) (ნ) „აიბურძგნება“**, **დლიდლონდუ(უ) (ნ) „მა-ლიან რბილდება, ტალახის მსგავსი ხდება“**, **იბარდუ(უ) (ნ) „იბურდება“**, **ათუდოხოდუ(უ) (ნ) „ქვეშ შეჯდება“**, **ბიზონდუ(უ) (ნ) „სივდება“**, **ბითქონ-დუ(უ) (ნ) „ძალზე სუქდება, სივდება“**, **ბირონდუ(უ) (ნ) შტერდება, ოგნდება“**, **ბირძლონდუ(უ) (ნ) „ბრაზდება“**, **ბურძლონდუ(უ) (ნ) „ბუყდება“**, **გვიგონდუ(უ) (ნ) „შუპდება“**, **გოზგინჯონდუ(უ) (ნ) „გამკვირივდება“**, **გოთქვიშონდუ(უ) (ნ) „გა-თქვირივდება“**, **გონიჩვონდუ(უ) (ნ) „ცხვირს ჩამოუშვებს“**, **გოპირჭონდუ(უ) (ნ) „გაგულისდება“**, **გოჟიჟლონდუ(უ) (ნ) „გაჟინჟლილება“**, **გორსიმონდუ(უ) (ნ)**

„გაილურსება“; გოსირღონდუ(ნ) „სიმაღლეში სწრაფად და უზომოდ გაიზრდება“; გოტკიჩონდუ(ნ) „გატკიცინდება“, გოფიჰვონდუ(ნ) „გაიფუყება“; გოფიხვონდუ(ნ) „ფაფუკად (გადა)იქცევა, გაბუვდება“; გოჩირქონდუ(ნ) „გაშეშდება, გახევდება“, გოჩიჩონდუ(ნ) „გახევდება“ და მრავალი სხვ.

მეგრულ ერთპირიან ზმნათა **R-Th.s.-დ-უ(უ)ნ** სტრუქტურაში რამდენიმე ქვესტრუქტურული ჯგუფი გამოვყავით:

1. **R-Th.s.-დ-უ(ნ)**: ზურ-დ-უ(ნ) „მშიშრ-დ-ებ-ა, მხდალი ხდება“, ნქირონ-დ-უ(ნ) „შეშ-დ-ებ-ა“, პიხვონ-დ-უ(ნ) „პუტკუნ-დ-ება“, ჟღურ-დ-უ(ნ) „ლღვ-ებ-ა“, რგი-დ-უ(ნ), „გრილ-დ-ებ-ა“, სკვან-დ-უ(ნ) „მშვენ-დ-ებ-ა, ლამაზ-დ-ებ-ა“, სქინჩონ-დ-უ(ნ) „მკვრივ-დ-ებ-ა“, ტირკონ-დ-უ(ნ) „ი-ბერ-ებ-ა“.

2. **Prev. – R-Th.s.-დ-უ(ნ)**: მო-ნჭინ-დ-უ(ნ) „და-მწიფ-დ-ება“, გოდლიკონ-დ-უ(ნ) „გა-ი-ბღინძ-ებ-ა“, დო-ჰორ-დ-უ(ნ) „და-ლპ-ებ-ა, ა-ყროლ-დ-ებ-ა“, დო-შურ-დ-უ(ნ) „და-ი-ღლ-ებ-ა“, ეშა-ჰყორ-დ-უ(ნ) „ამო-წყდ-ებ-ა“...).

3. **R-Th.s.-დ-უ-უ(ნ)**: რისონ-დ-უ-უ(ნ) „სივ-დ-ებ-ა“, პიხვონ-დ-უ-უ(ნ) „პუტკუნ-დ-ებ-ა, ბუთხუზ-დ-ებ-ა“, რისონ-დ-უ-უ(ნ) „სივ-დ-ებ-ა“, „წყიწყონ-დ-უ-უ(ნ) „ლიპ-დ-ება“, ჰვიჰვონ-დ-უ-უ(ნ) „დაჟღაჟ-დ-ება“...

4. **Prev. -R-Th.s.-დ-უ-უ(ნ)**: მიშე-შარ-დ-უ-უ(ნ) „ტყუილად შარში გაეხვევა“, მო-თირხონ-დ-უ-უ(ნ) „გა-ი-ბღინძ-ება“, ელა-რჩქინ-დ-უ-უ(ნ) „ამო-ჩნ-დ-ებ-ა, გამო-ჩნ-დ-ებ-ა“.

5. **o-R-Th.s.-დ-უ-უ(ნ)**: ი-სვან-დ-უ-უ(ნ)//ი-შვან-დ-უ(ნ) „ი-სვენ-ებ-ს“, ი-ნიშქვი-დ-უ-უ(ნ) „ჩა-ი-ხრჩ-ობ-ა“, ი-შქვი-დ-უ-უ(ნ) „ი-ხრჩ-ობ-ა“...

6. **Prev. -o-R-Th.s.-დ-უ-უ(ნ)**: დი-ი-ზლო-დ-უ-უ(ნ) „გაწყ-დ-ება“, გი-ი-ცად-უ-უ(ნ) „და-ი-ცდ-ი-ს“...

7. **ე-R-Th.s.-დ-უ-უ(ნ)**: ე-ცქვიცქვონ-დ-უ-უ(ნ) „ა-ი-ბურძგნ-ებ-ა“, ე-ძგვირონ-დ-უ-უ(ნ) „ა-ი-ლეწ-ებ-ა ა-ი-ბუზ-ებ-ა“...

როგორც კორნელი დანელია შენიშნავს, „ვნებითი გვარის პრეფიქსული წარმოების უპირატესობით **კოლხური ძველ ქართულს უახლოვდება**, მაგრამ **სუფიქსური წარმოების იშვიათობით ახალ ქართულს შორდება**, ე. ი. ამოსავალი ვითარება ერთგვარია, განვითარების ტენდენცია კი – სხვადასხვაგვარი“. ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა კი ცხადყოფს, რომ მეგრულში, თანდათანობით, ძველ ქართულთან შედარებით, გზას იკაფავს და მკვიდრდება დონიანი ზმნური ყალიბი.

მოხსენებაში ვისაუბრებთ მეგრული ერთპირიანი ზმნების **R-Th.s.-დ-უ-(უ)ნ** სტრუქტურაში -**დ** სუფიქსის წინ სისტემატურად გამოვლენილ ნარნარა თანხმოვნთან მარცვალზე, მეგრულ ერთპირიან -**დ** სუფიქსიან ზმნათა პროცენტულ რაოდენობაზე **R-Th.s.-უ(ნ)** სტრუქტურის პრეფიქსული წარმოების ერთპირიან ზმნებთან მიმართებით, აგრეთვე, სალიტერატურო ქართულ შესატყვისთა არაერთგვაროვნებაზე.

მ. ლ ლ ო ნ ტ ი (თბილისი)

### **ქართ. ცოდ- მორფემის მორფო-სემანტიკური**

#### **განვითარებისათვის**

(ცოდნა და ცოდვა)

**I.** ოდენ აწმყოს წყების მქონე „ცოდნის“ აღმნიშვნელი ი-**ც**-ის ზმნის უღლების თავისებურება გამოიხატება -**ც**- / **ც(ა)ნ**- / **ც-ოდ** მორფოლოგიური მონაცვლეობით (ი-**ც**-ის – ი-**ცნ**-ობ-ს / ი-**ც-ოდ**-ა...), შდრ. **ც(ა)ნ**- და **ცოდ**- მორფემათა შემცველი ლექსიკური ერთეულები:

1) **ც**-[ან] ძირისეული – **ცნ**-ება, მ-**ცნ**-ება „ბრძანება; დარიგება; სიტყვა“, ძვ. ქართ. მო-**ცნ**-ება „მცნება“, მე-**ცნ**-ავი „მეცნიერი“ გამო-**ცნ**-ობა „ცოდნა“, (ი. აბულაძე), ძვ. ქართ. მე-**ცნ**-ება „ცოდნა“, მე-**ცნ**-ავ-ი და მე-**ცნ**-იერი „მცოდნე; ბრძენი; ნაცნობი“ (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე), **ცნ**-ევა „დარიგება; შეტყობა“ და მ-**ცნ**-ელი „მქადაგებელი; შემტყობი“ (დ. ჩუბინაშვილი), **ცნ**-ობა, **ცნ**-ობიერება, **ცნ**-ობიერი... ;

2) **ც**-[ოდ] ძირისეული – **ცოდ**-ნა, მ-**ცოდ**-ნელობა, **ცოდ**-ინი „გაგება“ (ზ. სარჯველაძე), **ცოდ**-ინება „შეტყობა; ცოდნა“ (დ. ჩუბინაშვილი), მ-**ცოდ**-ნე, მ-**ცოდ**-ინი ...

**II.** **ცოდ**- მორფემის შემცველ ლექსიკურ მარაგში განკერძოებით დგას ქართული **ცოდ-ვა** და მისგან წარმოებულნი: **ცოდ**-ო (< **ცოდ**-ვა), **ცოდ**-ვ-ებ-ა, **ცოდ**-ვ-ილ-ი...

საგულისხმოდ გვესახება ქართ. **ცოდვის** სემანტიკური დეტერმინირება, იმის გათვალისწინებით, რომ **ცოდვა** არის **ღვთის წინაშე სჯულისმიერად ჩადენილი დანაშაული, სიავე და ბოროტება**, შდრ.: „**ცოდვა** ავის ქმნა; ბოროტი, გინა უშჯულოება. **ცოდვილი** ეწოდების ქრისტიანესა შემცოდესა, ხოლო უშჯულო წარმართთა და ქრისტეს ურწმუნოთა, რომელთა არა იცინა ცოდვა, თუ რა არს“ (სულხან-საბა); „**ცოდვა** ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაული; **სცოდავს** დანაშაულს სჩადის ღვთის წინაშე“ (ქეგლ-ი). **ცოდვის** ამავე სემანტიკურ დეტერმინირებას ადასტურებს შესაბამისი უხვი ქართული მრავალსაუკუნოვანი მწიგნობრული, ისე დიალექტური მასალა.

**III.** საძიებელია ქართ. **ცოდვის** სემანტიკური დეტერმინირების ენობრივი (მორფოლოგიურ-სემანტიკური) არჩევანის მოტივი. ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს პირველცოდვის შესაქმისეული თარგმანება.

საკუთარი ბუნებისა და საღმრთო ძალის შესამეცნებლად ღმერთმა სამოთხის პირველ მკვიდრთ დაუწესა **პირველმცნების**, ანუ პირველრჯულის აღსრულება: „ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით სჭამო, ხოლო ხისაგან **ცნობადისა** კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან“ (შესაქმე 2, 17). შესაქმისეული ცოდვით დაცემის აქტით თვალსაჩინოვდება პირველცოდვის ჩადენის განმაპირობებელი სამი მიზეზი: ხორციელი ვნება, თვალსასეირო, ანუ ცნობისწადილის ვნება და ამპარტავნება (1 იოანე 2, 16).

პირველცოდვის მოქმედთა ამგვარი არჩევანის მამოძრავებელი იყო ზედმეტი სურვილი, მიეღოთ ღვთის მიერ „ჟამადმდე“ აკრძალული **ცოდნა**, „**ცნობა**“ (შესაქმე 2, 16-17; 3, 1-7). მათ არ დაიცვეს ერთადერთი ღმრთივბოძებული მარხვა და ამის გამო ველარ შეიძინეს ჩაუძიებელი მორჩილების გამოცდილება, ანუ „ყოველივეს **კეშმარიტი ცოდნა**, არჩევანი და უკვდავი სიცოცხლე“. და ამის წილ, მათთვის განკუთვნილი ღვთაებრივი **ცოდნის** ღვთის ნების გარეშე წინდაწინ მიტაცებითა და **შეცნობით**, ეს **ცოდნა** მათ **ცოდვად** ექცათ და ერგოთ მხოლოდ **ცოდნა ცოდვისა!** (იოანე დამასკელი).

**IV.** ზემოთ წარმოჩენილ შესაქმისეულ (ქრისტიანული საღვთისმეტყველო) მოტივთან ერთად, **ცოდნისა** და **ცოდვის** მიმართების მორფოლოგიური კვალიფიკაციისათვის მოვიხმობთ **წ-** მორფემის ისტორიული განვითარების პროცესს – \*წ- > ნებ- (> ნებ[ებ]) > ნდ-, შდრ.: წ-ებ-ა / ნებ-ებ-ა → ნდ-ომა: აწმყოს მ-ი-წ-ებ-ს / მ-ი-ნებ-ებ-ს, უწყვეტ. მ-ი-წ-ებ-დ / მ-ი-ნებ-ებ-დ., უწყვეტ. ხოლმ. მ-ი-წ-დ-ი / მ-ი-ნდ-ოდ-ა.

ანალოგიურად ამისა გვესახება -**ც**- > **ც(ა)ნ**- > **ცოდ**- მორფემათა ისტორიული მონაცვლეობის პროცესი: აწმყოს მ-ი-**ც**-ი, წყვეტ. ვ-ი-**ცან**; უწყვეტ. მ-ი-**ცოდ**-ე-ს.

ზ. სარჯველაძის მოსაზრებით, XI-XII საუკუნეებისათვის ისტორიული უწყვეტლის **მინდა-გინდა-უნდა** ფორმები უკვე დამკვიდრებული იყო აწმყოს მწკრივის მნიშვნელობით: **მ-ი-ნდ-ა** „მსურს“ (უწყვეტ.: მ-ი-**ნდ**-ოდ-ა). თუმცა უთითებენ (ნ. მაჭავარიანი), რომ სულხან-საბას ლექსიკონის განმარტებით ნაწილში უხვად დასტურდება **გინა** „გინდა“.

**ნ**- > **ნდ**- მორფემათა ამგვარი ისტორიული განვითარების პროცესი გვიმოწმებს, რომ **ნ**- > **ნდ**- და -**ც**- > **ცოდ**- მორფემათა ისტორიულ განვითარებას განსაზღვრავს **დ**-/**ოდ**- მწკრივის სავრცობთა ფუნქციური გარდაქმნა: გრამატიკულმა ფორმანტმა ჯერ იტვირთა დერივაციული ფუნქცია, შემდგომ კი ძირ-მორფემის შემადგენლად დამკვიდრდა: **ნ**- (**ნ-ებ-ა**) > **ნ+დ**- (**ნდ-ომ-ა**); **ც**- / **ც[ა]ნ**- > **ც+ოდ** (**ცოდ-ნა**). განსხვავებით სინონიმური ლექსიკური ერთეულებისგან **ნ**-ება და **ნდ**-ომა („სურვილი; ნდომა“), გრამატიკულ (ზმნურ) ერთეულთა **ცოდნა** „ცოდნა“ და **\*ცოდნა** „ცოდნა (ცოდვისა)“ ომონიმია დაიდგინა სახელზმნურ აფიქსთა ჩანაცვლებით: ცოდ-**ნ**-ა „ცოდნა“ და ცოდ-**ვ**-ა „ცოდვა“.

### ვ. შენგელია (თბილისი)

#### **ძირისა და ფუმის სტრუქტურისათვის**

#### **ქართველურ და ჩერქეზულ ენებში**

(შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი)

ძირად განიხილება სიტყვის დაუშლელი ნაწილი, რომელთანაც დაკავშირებულია სიტყვის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა. სიტყვის ანალიზისა და ძირის გამოყოფის დროს უნდა გაირჩეს სინქრონიული და დიაქრონიული მიდგომა, შესაბამისად – მორფოლოგიური და ეტიმოლოგიური ძირი.

ფუძედ მიიჩნევა ის სეგმენტი, რომელიც რჩება სიტყვისაგან სიტყვაცვალეებითი აფიქსების გამოყოფის შემდეგ. ფუძის სტრუქტურა განსხვავებულია სხვადასხვა ენაში, ასევე შეიძლება სხვაობდეს ერთი ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

ძირისა და ფუძის შესახებ ზემოთ მოცემულ დებულებებზე დამყარებით და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ თვალსაზრისთა გათვალისწინებით წარმოვადგენთ ქართველურ და ჩერქეზულ ფუძეთა და ძირთა შედარებით-ტიპოლოგიურ დახასიათებას.

ქართველური ენების ამჟამინდელი ვითარების, ძველი ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით და ამოსავალი ვითარების რეკონსტრუქციის საფუძველზე ძირისეული მორფემის მთავარ კანონიკურ სტრუქტურად აღიარებულია CVC (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი), ჩერქეზული ენებისათვის კი ნიშანდობლივია CV და CVCV სტრუქტურის ძირები (მ. კუმახოვი), რომელთა მსგავსი ძირეული მორფემები არც ქართველური ენებისათვის არის უცხო. ზოგ შემთხვევაში ჩერქეზული CV ტიპის ძირი შეიძლება CVS ტიპისაგან მიღებულად მივიჩნიოთ.

ძირი შეიძლება ფუძეს ემთხვეოდეს, მაგრამ მეტწილად ფუძე უფრო რთული სტრუქტურისაა – გართულებულია დერივაციული აფიქსებით, რის შედეგადაც ახალი მნიშვნელობის სიტყვებს ვიღებთ. თავად აფიქსები კი სტრუქტურული მრავალფეროვნებით გამოირჩევა: ქართველურ ენებში დერივაციული პრეფიქსი ჩვეულებრივ CV-სტრუქტურისაა, ხოლო სუფიქსი -VC სტრუქტურისა, თუმცა გვაქვს V და C სტრუქტურის აფიქსებიც; ჩერქეზულ ენებში პრეფიქსიცა და სუფიქსიც უპირატესად CV სტრუქტურისაა, მოიპოვება, აგრეთვე, V ტიპის აფიქსიც.

ძირისა და ფუძის სტრუქტურაში, რომელიც ქართველურ და ჩერქეზულ ენათათვის ამოსავლად ივარაუდება, თანხმობანთა კომპლექსი, როგორც წესი, დეცესიური მიმდევრობისაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისის მიხედვით, ქართველურ და ჩერქეზულ ენებში ისტორიულად სახელის ფუძის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი იყო გრამატიკული კლასნიშნის პრეფიქსად, ხოლო დეტერმინანტების სუფიქსად გამოყენება (არნ. ჩიქობავა, გ. როგავა). სხვა თვალსაზრისის შესაბამისად, ქართველურ ენებში სახელისა და ზმნის ფუძის სტრუქტურის განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევა სონანტებისა და აბლაუტის ფუნქციონირება (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი).

საერთოქართველურ და საერთოჩერქეზულ ამოსავალ სისტემაში ძირის, ფუძისა და აფიქსის ძირითადი სტრუქტურული ტიპების გვერდით, ვერ გამოვრიცხავთ სხვა (რაოდენობრივად ნაკლები) სტრუქტურული ტიპების არსებობას.

ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე (თბილისი)

### **კვლავ ძელი/ჯა („ხე“) ლექსემათა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში**

ქართულ **დიდგულა**ს, რომელსაც რაჭულ და ლეჩხუმურ დიალექტებში **ხეყრუა/ხედრუე** ეწოდება, სვანურ ენაში შეესაბამება **გეყრუაჲ**. ძველ ქართულ ლექსიკონებში ამ მცენარეს ვერსად მივაკვლიეთ. როგორც ჩანს, პირველად იგი დასახელებულ იქნა პატრი ფილიპეს „მცენარეთა და პირუტყვთა ლექსიკონში“ (დ. ჩუბინაშვილის ცნობით, 1984: 1741), სადაც მას „დიდგულა“ (бузина) ეწოდება. სხვაგანაც დავით ჩუბინაშვილისთვის **დიდგულა/დუდგულა** „ყრუ ხეა“ (გვ. 477). ამასვე იმეორებს ნ. ჩუბინაშვილიც (1971: 86).

ვნახოთ, რა ვითარებაა მეგრულ-ლაზურში? ვერც ერთ ლექსიკონში ვერ დავადასტურეთ ვერც მოსალოდნელი **ჯაყრუა/ჯადრუა** ან **ხეყრუა** თუ **გეყრუა**, სამაგიეროდ, არაერთ არქაიზმშემონახულმა ენამ – სვანურმა დაიცვა იგი.

ა. ლიპარტელიანის აზრით, **გეყრუაი** „ხის ერთგვარი ჯიშია, ან-წლის მაგვარი ფოთლებით და ნაყოფით. მისი მწვანე ნაყოფისაგან გამოდის მშვენიერი არაყი, რომელსაც რევმატიზმის სამკურნალოდ იყენებნ. „ხედრუასგან“ ამზადებენ ხელთოფას ბავშვები – თხმელის სათესლე გირჩებს ისვრიან, რომელსაც ხმა აქვს“ (ლიპარტელიანი 1994: 81). ბალს ზემოთ დიდგულას ღრუ გულს უღებენ, შიგ თხმელის კვირტებს დებენ და ისვრიან. ამ საბავშვო თოფს და თამაშსაც **ჯა-ყროჭ-წ-ი** ჰქვია სვანეთში. ჩვენს მთქმელებს საანალიზო მცენარის სახელწოდება

დღეს აღარ ახსოვთ. რაც შეეხება მის თანამედროვე ფორმას, ის, როგორც ჩანს, \***ჯყერუაი**’ს დეპალატალიზებული (**გყერუაი**) ვარიანტია. იგივე **ჯა**- ძირი ხომ არ უნდა ვივარაუდოთ ტოპონიმ **ლენჯარ** (<**ლენ-ჯა-ერ** „მუხნარი?“)ში, „მუხის“ სვანურ სახელწოდებაში (ზს. **ჯიჰ-რა**, ქს. **ჯი-რა** (-**რა** მცენარეთა კრებითობის გამომხატველი სუფიქსია) ან „ხის საკაცის“ აღმნიშვნელ ლეჩხუმურ-იმერულ ლექსემაში **ჯალაუერ** (<**ჯა-ლა-იშ უერ** „ხის მიწა“?).

სვანური **ჯიჰრა**’ს საერთოქართველური **ძიელ**- ფუძისგან მიღების საკმაოდ რთულ გზას ირჩევს მარინე ივანიშვილი: **ძიელ**- >**ჯეშ**- >**ჯეჰ**- >**ჯე**- >**ჯე**- >**ჯე/ჯი**- (2004: 103). ჯერ ერთი, ხმოვნის ან მარცვლოვანი სონანტის მომდევნო [**ლ**] ძალზე იშვიათად გადადის /**შ**/ სპირანტში დაყრუების გზით; გარდა ამისა, ფაქტიურად სამებარია სვანურში ფონეტიკური პროცესი **შ** > **ჰ**; ამიტომ ჩვენ გთავაზობთ შედარებით მარტივ სავარაუდო ისტორიულ სურათს:

**ძიელ**- >**ჯეშ**- > **ჯე+ი**- > **ჯი**- > **ჯი**

რაც შეეხება **-ჰ**- თანხმოვანს, ის ზ. ჭუმბურიძის სამართლიანი შენიშვნის (Tschumburidze 1985) მიხედვით, მეორეულია; ამასთანავე, მთავარი ისაა, რომ მხოლოდ **-რა** სუფიქსიან ფორმაში (**ჯიჰრა**) გვხვდება ზემოსვანურში (შდრ. ქს. **ჯი** – „მუხა“, **ჯირა** – „მუხის მორი, ჯირკი, კუნძი ან მასალა“).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ \***ჯეშ**- ფუძეს სხვაგვარი ტრანსფორმაცია განუცდია სვანურში, ანუ არა მარტო პალატალური, არამედ ველარული (უკანა მიმართულების – მ. ქალდანი, 1969) უმლაუტის სახითაც, რომელიც დაცული ჩანს იდიომატურ გამოთქმაში **ჯაჰშ ლიქმინე**.

„ძელის“ (> „მუხის“) აღმნიშვნელი შიშინა მჟღერი აფრიკატის შემცველი მონაცემები არამხოლოდ ზანურ-სვანურშია დაცული; ისინი არაერთხელ გვხვდება დასავლურ ქართულში მაგარი ხის, მისი ნაწილის ან მისგან გაკეთებული რაიმე საგნის აღსანიშნავად; ამასთანავე, შეიძლება მონაცვლეობდნენ როგორც ხმოვნები, ისე სონორები:

ლჩხ. **ჯილე** („გრძელი ჩირგვი“), შდრ. ჩოლ. **ჯირქ** („ბუჩქი“); იმერ./გურ. **ჯირკი/ჯირეკი/ჯორკო** („კუნძი, ხის მოზრდილი მორი“), შდრ. სვან. **ჯი<sup>რ</sup>კ**; ლეჩხ. **ჯი<sup>რ</sup>კუნტალა/ი** („პატარა კუნძი“). გურ. **ჯირეყაი/ჯერაყვი** („პატარა საწნახელი“); გურ. **ჯირხალაი** („ხის ტოტები-



ანი წანაჭერი“), ლეჩხ. **ჯარჯი** („ხეების შეკვრა“); გურ./აჭარ. **ჯარგვალი**/იმერ. **ჯირგვალა** („ძელური“); აჭარ. **ჯარა** („გულგამოთლილი მთლიანი ხის მოგრძო კუდი ან ფიცრებისაგან შეკრული პირღია ჭურჭელი – პირუტყვის ვარცლი; საწნახელი“), ფშ./ ხევს. **ჯარა** („ნართის დასამახავი ხის ხელსაწყო“), შდრ. სვან. **ჯარ** („ვარცლი“, ლნტ. „წვრილი ჯაგნარი“), და ა. შ.

**ჯიმ-ჯინ**- ძირი არც ქართული ენის აღმოსავლური დიალექტებისთვისაა უცხო: ხევს. **ჯიმური** („ხის პატარა კასრი“), ქართლ. **ჯინგოდორა** („წნელის სასიმინდე“), ფშ. **ჯინჯიბახი**, მთიულ-ქიზიყ. **ჯინჯიბაჯი** („წისკვილის ხის ასაწევი ხეები“), შდრ. სვან. **ჯიჯბაჯ** („ხის ჩამოსაცმელი კვერცხებისა და სხვადასხვა ხილისთვის სუფრის კურთხევისას“) და **ჯიჯბაკ** („უფორმო ხმელი ჯირკი“).

სულხან-საბასთვის **ჯიხური** „ხის კოშკია“.

ჩვენს ყურადღება მიიქცია ა. ონიანის „ხეებისა და მცენარეების სახელწოდებათა კრებულში“ (მეგმარემ ი ბალხარე ჟახნლე ხორაჯ, Петроградъ, 1917: 40) დადასტურებულმა ლექსემამ **ჯჰნლა** („მაყვლის ბარდა“). ზემოსვანურში, ლენტეხურსა და ჩოლურულში გვხვდება **ჯჰნლა**. კ. დონდუას მიხედვით (2001: 398), **ჯჰნლა** „მაყვლისა და ჟოლოს ბუჩქია“. ვფიქრობთ, იგი უკავშირდება „პატარა ცოცხის“ აღმნიშვნელ **ჯჰ** სიტყვას (მას აკეთებენ არყის ხის ტოტებისგან). ყველაფერი ეს კი, ალბათ, მომდინარეობს ზემოსვანური **ლგჰელჰე** (ბზ.)/**ლგჰალჰე** (ბქ.) <**ლგ-ჯაელ-აჰ-ე** ფორმისაგან, სადაც ფუძისეული **-ჯელ-** ელემენტი ძველ ქართულ **ძელ-** („ხე“)ს შეესატყვისება. თავის მხრივ, **ჯჰნლა/ჯჰნლა**სთვის კი ამოსავალია ისტორიულად „ხის“ აღმნიშვნელი **ჯჰ** (<**ჯაჰ**, ე. წ. ველარული უმლაუტის საფუძველზე). რასაკვირველია, მთელ სვანეთში გავრცელებული წყევლაც – **ჯაჰნშ** (<**ჯაჰ-ა-იშ** < ქართ. **ძელ-ის**) ლიჭმინე („ძირფესვიანად ამოგდება, ამოთხრა, ამოწყვეტა“) – ჩვენ მიერ გაანალიზებულ ლექსემათა **\*ჯაჰ**- ძირს უკავშირდება როგორც სტრუქტურულად, ისე სემანტიკურად.

საგულისხმოა, რომ ლეჩხუმში **ძეგვ**-ი ჰქვია „გაუვალ, ეკლიან ჩირგვს“, ხოლო გურიაში (სოფელ ნაბელღავში) გვხვდება ტოპონიმი **ძეგვ-ილ-ა** „გაუვალი ტყის“ აღსანიშნავ ადგილზე მისათითებლად. რაკი ონომასტიკის სფერო მოვიშველიეთ, აუცილებელია გავიხსენოთ ლაზური წარმომავლობის პატრონიმი **ჯა-ში** და სვანური შტო-გვარი **ჯა-შა** („ჯას შთამომავლობა“), აგრეთვე, ოფიციალური გვარი **ჯა-იან-ი**,

რომელთათვის ამოსავალი უნდა იყოს საერთოქართველური **ძე**-ძირი სვანურში მოსალოდნელი **\*ჯე**-ს ნაცვლად **ჯაჷ** ფორმად რეინტერპრეტირებული. ამ უკანასკნელს ჩვენ აღდგენის სიმბოლოს (ე. წ. ვარსკვლავს) არ ვუკეთებთ, რადგანაც იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდშიის სამთავროების ისტორიულ დოკუმენტებში (1466-1770 წ.წ.) დადასტურებულია ანთროპონიმი **ჯავაშერ**, რომელიც სვანური **ჯაშა**'ს მრავლობითი რიცხვის ფორმა უნდა იყოს (**\*ჯე-ჷ-ა-შა-ერ**) და ალბათ ერთ-ერთ შტო-გვარს აღნიშნავდა. **ჯაულ** (<**\*ჯე-ულ** < საერთოქართველური **\*ძე-ულ**) ახლაც ჰქვიათ სვანეთში მამაკაცებს.

ასე რომ, ნიკო მარისგან მომდინარე შეპირისპირება (1912: 1096) – ძვ. ქ. **ძელ-ი**, მეგრ. **ჯა** და ლაზ. **ნ'ჯა/მ'ჯა** („ხე“) –, რომელიც საყოველთაოდაა გაზიარებული სპეციალისტების მიერ, მოითხოვს დამატებით მტკიცებულებებს. მას უნდა დაემატოს სვანური **ჯაჷ** < **\*ჯეჷ** ძირიც და **\*ძელ**- არქეტიპი უნდა აღდგეს არა მხოლოდ ე. წ. ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისათვის, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული (Климов 1964: 237, Klimov 1998: 285; გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965: 163; ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 623; Fähnrich 2007: 603-604), არამედ საერთოქართველური ენის დონისათვის.

მ. ჩ უ ხ უ ა (თბილისი)

**ინდოევროპული dw- → სომხ. rk ფონეტიკური ტრანსფორმაციის კავკასიური (სუბსტრატული) ხასიათისათვის**

ინდოევროპული dw- კომპლექსის ერთობ მოულოდნელი რეფლექსაცია (rk) სომხურში, რომელიც ნათლად ჩანს ორის აღმნიშვნელ (ინდოევრ. \*dw- → სომხ. erk „ორი“ -- ა. მეიე, ე. ბენვენისტი) ფუძეში, დიდხანს საეჭვოდ იყო მიჩნეული; ოთხმოციან წლებში ვიაჩესლავ ივანოვმა დამაჯერებლად ახსნა სომხური d→k ტრანსფორმაციის მექანიზმი და აჩვენა, რომ მსგავსი რეფლექსაცია დამახასიათებელი იყო ლუ-

ვიურ-ლიკიურისთვისაც, ანუ  $d \rightarrow k$  გადაბგერების არეალურობა დამტკიცდა იმით, რომ ფონეტიკური პროცესი მხოლოდ ინდოევროპულ ენათა მცირეაზიულ ჯგუფში განხორციელდა (ლუვიური, ლიკიური, სომხური).  $d \rightarrow k$  რეფლექსაციის რეალურობა კარგად ჩანს გენეტიკურად საერთო მასალაში: ინდოევრ. \*dw- „ორი“  $\rightarrow$  ლიკ. kbi, სომხ. erk „ორი“...

ცხადია, ჩვენ ვიზიარებთ  $d \rightarrow k$  პროცესის ინდოევროპულობას სომხურში, მაგრამ, ლუვიურ-ლიკიურისაგან განსხვავებით, აქ სხვა ფონეტიკური გარდაქმნაც ვლინდება, თანაც მონათესავე ენებისაგან რადიკალურად განსხვავებული. კერძოდ, თუ ლუვიურ-ლიკიურში  $w \rightarrow b$  (\*dw  $\rightarrow$  kbi) ახსნადია, კითხვები ჩნდება  $w \rightarrow r$  როტაციზმთან დაკავშირებით სომხურში, ასევე, დასადგენია ტრანსფორმირებული  $r$ -ს მეტათეზისის საფუძველი სომხურში. ამ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ  $w$ -ს დაკარგვა-გაუჩინარების ივანოვისეულ კვალიფიკაციას. თუ საერთოინდოევროპულ dw კომპლექსში  $d \rightarrow k$ -ში გადავიდა, მაშინ  $w \rightarrow r$  პროცესიც დასაშვებია ასევე სომხურისათვის, მეტათეზისთან ერთად – \*dw  $\rightarrow$  kr  $\rightarrow$  rk და ამას (როგორც  $w \rightarrow r$ -ს, ისე  $r$ -ს წინ გადასმას) საფუძველად დაედო სუბსტრატული ენის (ენების) ფონეტიკური პროცესი, რომელიც ნახურ-ურარტულ-ჰურიტულში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა; მას განაპირობებს ლაბიალიზებულ კომპლექსთა მოშლის საერთო ტენდენცია ამ იბერიულ-კავკასიურ ენებში, რაც არაერთი მაგალითით მოწმდება, შდრ. ს.-ქართვ. \*ნესვ- „ნესვი“ : ს.-ნახ. \*ნარს „კიტრი“, სადაც აშკარად ჩანს როგორც  $w \rightarrow r$  ფონეტიკური გარდაქმნა, ისე მისი მეტათეზისი ტრანსფორმაციის მომდევნო საფეხურზე. ხოლო CW  $\rightarrow$  RC ნახურ-ურარტულ-ჰურიტულ ენებში განპირობებულია აქცესიურ კომპლექსებში კლებადი ღიაობის კანონის მოქმედებით, როცა მოცემულ ენაში (ენებში) დაუშვებელია კონსონანტი + სონორი ნებისმიერი კომბინაცია.

რ. ჭკადუა (თბილისი)

## ერთი ზმნური ფუძის მიგრაციისათვის სვანურში

ქართველური ენებისათვის (ისევე, როგორც ბევრი სხვა ენისათვის) დამახასიათებელია ერთი რომელიმე ზმნური ფუძისაგან ახალი ფუძის წარმოება. ამ მოვლენას „ზმნურ ფუძეთა მიგრაციას“ უწოდებენ. ზოგადად, ფუძე მიჩნეულია პერმანენტულად ცვლად მონაცემად, რომელიც თანმიმდევრულად გართულებულ სისტემას წარმოქმნის.

ფუძეთა ნაირსახეობაში იგულისხმება არა მხოლოდ ერთი სისტემის ფონეტიკური ვარიანტები, არამედ ერთმანეთისგან ნაწარმოები მორფოლოგიური ეკვივალენტები.

ფუძედრეკადთა კატეგორიის ერთი ზმნის მაგალითზე ვეცდებით ვაჩვენოთ წარმოქმნილ (ზმნურ და მიმღეობურ) ფუძეთა ფორმობრივი და ფუნქციური ურთიერთმიმართებანი სვანურში.

CVCC სტრუქტურის ძირ-ფუძე **ფიცხ** სვანურში ომონიმური მნიშვნელობით არის წარმოდგენილი:

1. ფიცხი, ფიცხელი.
2. სულ მცირე, „ერცახე“, ნამცეცი (თარგ. კ. დონდუასი)

**ფიცხ** „სულ მცირე“-ს მნიშვნელობით სვანურში გამოიყენება, ერთი მხრივ, რაიმე მყარი საგნის მცირე ნაწილის აღმნიშვნელად და, მეორე მხრივ, „მცირე ხმა“-ს, „ჩქამს“ აღნიშნავს.

ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ის ძირითადად გაქვავებულ გამოთქმებში იხმარება: **ფიცხიშ ლიდნე** || **ფიცხიშ** ლიკედ „ჩქამის გაღება“.

ზემოაღნიშნული ფუძე აწმყოში წარმოდგენილია აქტივში **ი**- გახმოვანებითა და ოდენ ე- სუფიქსით, ხოლო პასივში **ე**- გახმოვანებითა და აუსლაუტში **-ენ-ი** დაბოლოებით.

ძირ-ფუძეები „ფიცხ“ და „ფეცხ“ გრამატიკული ფუნქციით დაპირისპირებული ერთი და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის მქონე მორფემებია. თუ გავითვალისწინებთ უღლების პარადიგმებს და სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიებს, სადაც ეს ძირ-ფუძეები მონაწილეობენ, მივიღებთ სამ და მეტ საფეხურიან გახმოვანებას (-ი-, -ე-, -ა-, -გ-, -ღ-).

მხოლოდ ამ ერთი ზმნური ფუძის მიხედვით შეგვიძლია წარმოვადგინოთ ფორმობრივად და ფუნქციურად შეპირობებული წარმოქმნილი ზმნების ფართო სპექტრი.

1. **ფიგხ-ფეხხ** ძირ-ფუძეები მეორადი წარმოების ზმნურ ფორმებში: **ფიგხ-ე** „მცირე რაღაცას შუაზე ციცქნის“, **ხ-ა-ფეხხ-ე** „მცირე ნაწილს აცლის“, **ა-ფეხხ-გრ-ე** „ანამცეცებს“, „ერთმანეთისგან აშორებს“, **ა-ფგრეხხ-ინ-ე** „აკოწიწებს მცირე ნაწილებისაგან“, **ხ-ე-ფენეხხ-ურ-ე** „ანამცეცებს აცლის“, **ი-ფენეხხ-ურ-ი** „ანამცეცებად იშლება და ა. შ.

2. **ფიგხ-ფეხხ** ნაზმნარ სახელებში: **ნა-ფიგხ-ჴ** „ნამცეცი“, „ნაწილი“ **ლგ-ფიგხ** „მოციცქნილი“ **ლგ-ფენეხხ-გრ-ე** „დანაწევრებული, დაშორებული“ **ლგ-ფენეხხ-ურ-ე** „დანამცეცებული“, **მგ-ფეხხ-გრ-ე** „დამნამცეცებელი“, **ნა-ფეხხ-გრ** „დანამცეცები“ და ა. შ.

ზემოთაღნიშნულ ფორმებში სხვადასხვა მაწარმოებელი ელემენტებით გართულებული ფუძეები ძირითადად გრამატიკული ფუნქციით უპირისპირდება ერთმანეთს, თუმცა გვაქვს მნიშვნელობის ნიუანსირების რამდენიმე შემთხვევა.

ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

### **ყურ- ძირისა (ეყურება „ესმის“) და მასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური ცვლილებისათვის**

